რევოლუციის აფიშა

ლელო

ვაჟიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 აპრილი ოთხშაბათი 2016
№ 077 (14 811) ფასი 1 ლარი

მორჩა თამაში ყანაში...

...ცხვარზე და ოციანზე

4

ვინ ვის წააქცევს

დღეს პირველი ნახევარფინალური მატჩებია

2

ზაზას დალასმა NBA გააკვირვა

ვერსია: ფაჩულია და ჩიკაგო

12-13

ფავორიტების გარეშე

ეგრეთ წოდებული საგაზაფხულო მარათონი გრძელდება: აპრილში უმაღლეს ლიგაში ოთხი ტური ხომ ჩატარდა, თვის ბოლომდე კიდევ ორი ტურია, ხოლო სამ გუნდს დღეს სათასო პაექრობაც ელოდება, თანაც - თასის ერთ-ერთ ყველაზე გადამწყვეტ ეტაპზე, სადაც ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ფინალისტის ვინაობა პირველი ნახევარფინალის შემდეგ ირკვევა.

იმედი დავიტოვოთ, რომ ორივე ნახევარფინალური მატჩი, ისევე, როგორც საპასუხო შეხვედრები, საინტერესოდ და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად სპორტული პრინციპების დაცვით ჩატარდება. ანუ, გვინდა, ვისურვოთ, რომ ფინალში ის გუნდები გავლენ, რომლებიც ამას თამაშით დაიმსახურებენ, და არა - „გარკვეული მოსაზრებების" გამო...

რამდენიმე დღის წინ დინამომ და ჩიხურამ ჩემპიონატში დიდი ბრძოლა გამართეს. როგორ იქნება თასზე?
ფოტო fcdinamo.ge

ბევრი საეჭვო რამ...

...არადა, საქართველოს თასის 26-წლიან ისტორიაში, რამდენიც გნებავთ, იმდენი შემთხვევა ყოფილა, როცა სწორედ ნახევარფინალურ სტადიაზე „ირკვეოდა"... თასის მფლობელის ვინაობა. აღარაფერს ვამბობთ იმ შემთხვევებზე, როცა სწორედ ნახევარფინალში ხდებოდა „პრიორიტეტების არჩევა", რასაც სხვაგვარად „გატარება-გამოტარებას" ვუწოდებდით. სქემა მარტივია - ერთი გუნდი მეორეს ფინალისკენ გზას გაუხსნიდა, სამაგიეროდ, ჩემპიონატში ამავე გუნდისგან 3 ქულა ჰქონდა გარანტირებული.

საბედნიეროდ, დღეს ერთი ისეთი ნახევარფინალური წყვილია, ყველანაირი ეჭვები უნდა გამოვრიცხოთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ „სიონი" და „ვიტ ჯორჯია" დღესდღეობით სხვადასხვა ლიგაში გამოდიან.

აი, რაც შეეხება მეორე წყვილს, აქ საქმე ბევრად „რთულადაა": ორი მატჩის ჯამში თუ „დინამო" გაიმარჯვებს, მავანნი უმალვე ეჭვქვეშ დააყენებენ ამ გუნდების ბოლო დაპირისპირების შედეგს (შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის ბოლო უქმეებზე „ჩიხურამ" 1:0 მოუგო ექსპერიმენტული შემადგენლობით მოთამაშე „დინამოს"), ხოლო თუ საპირისპიროდ მოხდა და ორი მატჩის ჯამში „ჩიხურამ" მოიპოვა ფინალის საგზური (თასის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს დიდი სენსაცია არ იქნება), ამ შემთხვევაშიც უნდა ველოდოთ „უცნაურ ვარაუდებს".

სამწუხაროა, რომ ასეთ თემებზე გვიწევს საუბარი სათასო ნახევარფინალების წინ, მაგრამ, ზემოთაც აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ - ქართულ საკლუბო ფეხბურთში (თუნდაც, სათასო მატჩებში) იმდენი ნეგატივია მომხდარი, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ საეჭვოდ მოჩანს...

დინამო რევანშზეც იფიქრებს, ჩიხურა ევროპას თასიდანაც დაუმიზნებს

დიდი დრო უნდა გავიდეს, საქართველოს თასზე თბილისის „დინამოს" შედეგი სხვა გუნდმა რომ გააუმჯობესოს: ამ საპატიო პრიზის 12-გზის გამარჯვებული გუნდი მიმდინარე გათამაშებაშიც უპირველესი ფავორიტია. თანაც, „დინამოს" სავსებით რეალურად ხელეწიფება დუბლის შესრულება: ჩემპიონობა ხომ მართლაც დროის ამბავია, თასზე კი ორი მატჩის ჯამში შეეცდება „ჩიხურას" ბარიერის დაძლევას.

ამას გარდა, დინამოელებს რევანშიც ექნებათ ასაღები: სულ ახლახან „ჩიხურამ" 1:0 მოუგო ჩემპიონატის მატჩში ყველაზე ტიტულიან გუნდს. ისე, საინტერესოა, თუ რა შემადგენლობას აირჩევს დღევანდელი მატჩისათვის **იურაი იარაბეკი**: „დინამოს" სლოვაკ თავკაცს საქმე ხომ ასარჩევად აქვს, თანაც - ყველა რგოლში.

„დინამო" რომ ნახევარფინალშია, ეს ჩვეულებრივი ამბავია, აი, „ჩიხურასთვის" კი დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ეს ფაქტიც და, საერთოდ, მიმდინარე სეზონიც - საჩხერელები ხომ ჩემპიონატიდანაც ინარჩუნებენ ევროსაგზურის შანსს. არც ის დაგვავიწყდეს, რომ **სოსო ფრუიძის** „ჩიხურა" წინა სამ წელიწადში ორჯერ იყო ფინალში, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა თავის დღევანდელ მეტოქესთან.

ვნახოთ, შეძლებს თუ არა გამოცდილი მწვრთნელი „ჩიხურასთან" ერთად ფინალში მესამედ გასვლას. ისიც საინტერესოა, კოლეგის მსგავსად, რა შემადგენლობას დაეყრდნობა საჩხერელთა მწვრთნელი: ბოლო წლებში ხომ ტრადიციასავით დამკვიდრდა „დინამოს" ფეხბურთელთა განათხოვრება „ჩიხურაში".

ოღონდ, ამ ორ კლუბს შორის ასეთი თბილი ურთიერთობის მიუხედავად, „დინამოს" ხელმძღვანელობა ყოველთვის როდი თანხმდებოდა, „ჩიხურაში" იჯარით გაშვებულ ფეხბურთელს მის წინააღმდეგ ეთამაშა...

მხოლოდ ერთი ფინალი შვიდი ნახევარფინალიდან

საინტერესო უნდა გამოდგეს მეორე ნახევარფინალიც და ეს იმის მიუხედავად, რომ ერთმანეთს სხვადასხვა ლიგაში მოასპარეზე გუნდები ხვდებიან. ჯერ ერთი, უკვე აღარავის უკვირს პირველი ლიგის წარმომადგენლის ხილვა ნახევარფინალურ სტადიაზე. მერე გუნდსაც ხომ გაარჩნია?!

იმედი დავიტოვოთ, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წარმატებულ ქართულ კლუბს - „ვიტ ჯორჯიას", თავის უცვლელ პრეზიდენტ **გურამ რუხაძესთან** ერთად, მომდევნო სეზონში უმაღლეს ლიგაში ვიხილავთ და ძალიან დიდი ალბათობით ასეც იქნება - **თენგიზ კობიაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ვეტერინარები" პირველი ლიგის გათამაშების დასრულებამდე 5 ტურით ადრე II ადგილზე არიან და ამ პოზიციას, ალბათ, არც დათმობენ.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ახალგაზრდული გუნდი თასის გათამაშებას მეორეხარისხოვნად ჩათვლის - მიმდინარე გათამაშებაში „ვიტ ჯორჯიამ" უკვე არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა, როცა უმაღლესი ლიგის 3 წარმომადგენელი ჩამოიცილა გზიდან.

„ვიტ ჯორჯია" ნახევარფინალში მერვედ არის გასული, თუმცა ფინალში მხოლოდ ერთხელ იასპარეზა და ის შანსიც ხელიდან არ გაუშვა - 2010 წელს თბილისის „დინამოს" მოუგო.

აი, ბოლნისში კი კვლავაც საოცნებოდ რჩებათ სათასო ტრიუმფი: ერთადერთხელ იყო, „სიონმა" ფინალში რომ იასპარეზა, მაგრამ ძალიან ძლიერ მეტოქესთან ვერაფერს გახდა. ვგულისხმობთ 2003 წლის ფორმაციის თბილისის „დინამოს", რომელსაც **ივო შუშაკი** წვრთნიდა და რომლის ლიდერებიც, **რატი ალექსიძესთან, ვიტალი დარასელიასა** და **გიორგი ანჩაბაძესთან** ერთად, ის **ლადო ბურდულიც** გახლდათ, დღესდღეობით „სიონის" დირექტორი რომაა, და კიდევ - მართლაც უბერებელი **ალექსანდრე გოგობერიშვილი,** დღესაც ბოლნისელთა გუნდში რომ თამაშობს...

„სიონი" თავის ისტორიაში მეოთხედ იასპარეზებს ნახევარფინალში. ამ სტადიამდე გუნდი **ვარლამ კილასონიამ** მიიყვანა, რომელიც ერთი კვირის წინათ მისმა ასისტენტმა **არმაზ ჯელაძემ** შეცვალა. ახალ მწვრთნელს ჩემპიონატში წარმატებული დებიუტი ჰქონდა, ახლა კი სათასო პაექრობებში უნდა დაამტკიცოს საკუთარი სამწვრთნელო შესაძლებლობები.

გია ტუხაშვილი

დინამო (თბ)-ჩიხურა

20.04. თბილისი. დინამო არენა. **18:00**

ურთიერთშეხვედრები თასზე

9: +5 =3 -1, 17:6

ჩიხურას გზა 1/2 ფინალამდე

1/16 ფინალი

ჩიხურა-მერცხალი 1:0
(თ. მუმლაძე)

მერცხალი-ჩიხურა 0:4
(გ. ჯოხაძე - 2, მ. სარდალიშვილი, ბ. დეკანოიძე)

1/8 ფინალი

საპოვნელა-ჩიხურა 2:0
(მ. სარდალიშვილი, გ. ჭანკოტაძე)

ჩიხურა-საპოვნელა 0:0

1/4 ფინალი

ჩიხურა-შუქურა 2:0
(მ. სარდალიშვილი, ჭ. ჭეჭელაშვილი)

შუქურა-ჩიხურა 1:1
(ბ. დეკანოიძე)

დინამოს გზა 1/2 ფინალამდე

1/8 ფინალი

დინამო (თბ)-კოლხეთი (ფ) 1:0
(ჯ. ჯიღაური)

კოლხეთი (ფ)-დინამო (თბ) 0:1
(გ. ქვილითაია)

1/4 ფინალი

ტორპედო-დინამო (თბ) 0:1
(გ. ქვილითაია)

დინამო-ტორპედო 2:1
(გ. ქვილითაია, მ. ცინცაძე)

ვიტ ჯორჯია-სიონი

20.04. მცხეთა. მცხეთა პარკი. **16:00**

დისკვალიფიკაცია: **გიორგი კალანდია** (ვიტ ჯორჯია)

ურთიერთშეხვედრები თასზე

2: +1 =1 -0, 4:3

ვიტ ჯორჯიას გზა 1/2 ფინალამდე

1/16 ფინალი

საბურთალო-ვიტ ჯორჯია 0:2
(ვ. მათიაშვილი, ზ. ღირდალაძე)

ვიტ ჯორჯია-საბურთალო 1:1
(კ. კახაბრიშვილი)

1/8 ფინალი

ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) 3:2
(კ. კახაბრიშვილი - 2, ე. ლებანიძე)

დინამო (ბთ)-ვიტ ჯორჯია 0:1
(კ. კახაბრიშვილი)

1/4 ფინალი

ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია 1:0
(ლაშხია)

ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი 1:0, პენ 5:3
(ვ. კურდღელაშვილი)

სიონის გზა 1/2 ფინალამდე

1/16 ფინალი

სიონი-რუსთავი 0:0
რუსთავი-სიონი 1:1
(ლ. ბერუაშვილი საკ. კარში)

1/8 ფინალი

გურია-სიონი 0:2
(გ. მიქაბერიძე, გ. მანჯგალაძე)

სიონი-გურია 1:1
(დ. საჯაია)

1/4 ფინალი

სამტრედია-სიონი 0:0
სიონი-სამტრედია 0:0 პენ. 2:0

გზაგასაყარზე

ვაწაძე: ორჰუსიდან წასვლა მინდა!

საქართველოს ნაკრების ფორვარდს ბელგია და ჰოლანდია შესთავაზეს, უარი თურქეთს...

მას შემდეგ, რაც დანიური „ორჰუსი" ახალმა მწვრთნელმა გლენ რიდერსჰოლმმა ჩაიბარა, საქართველოს ეროვნული ნაკრების 27 წლის ფორვარდი მათე ვაწაძე ძალიან იშვიათად თამაშობს ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

არადა, ის ერთ დროს „ორჰუსის" ლიდერი იყო და უთამაშებლობის მიუხედავად, ჯერაც ინარჩუნებს მიმდინარე სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირობის შანსს.

რა ხდება ვაწაძის თავს? ამ და სხვა კითხვებით მათეს დანიაში შევეხმიანეთ...

„რა უნდა გითხრათ?.. არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორიც მე მინდა. ახალი მწვრთნელი მოვიდა, მოიყვანა თავისი ფეხბურთელები და შანსი აღარ მეძლევა. რა თქმა უნდა, მინდა გუნდიდან წასვლა და წავალ კიდეც, როგორც კი ვიპოვი კლუბს, რომელიც შემომთავაზებს შესაბამის პირობებს. ეგაა, „ორჰუსთან" კიდევ წელიწად-ნახევრით მაკავშირებს კონტრაქტი", - გვითხრა **მათე ვაწაძემ**.

მაინც, რატომ აითვალწუნა ის გუნდის ახალმა დამრიგებელმა? ამის თაობაზე ჩვენებურს ზუსტი პასუხი არ აქვს:

„არ ვიცი, ვერ ვიტყვი ზუსტად, რა ხდება. ფაქტია, არ ვთამაშობ და ჯერაც გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ვარ. თამაშებს რომ ვიგებდეთ და შედეგი გვქონდეს, კიდევ გავიგებდი, მაგრამ ვაგებთ და მაინც არ მეძლევა შანსი... ალბათ, საქმე მაინც მწვრთნელის გემოვნებაშია. როგორსაც ადრე ვთამაშობდით, ისეთ ფეხბურთს აღარ ვთამაშობთ. მწვრთნელი ითხოვს უბრალოდ წინ დარტყმას და მერე მიდის ბრძოლა „მეორე ბურთზე", - გვეუბნება ნაკრების ფორვარდი.

როგორც ირკვევა, არის შანსი, რომ მან კონტრაქტის ამოწურვამდე დატოვოს „ორჰუსი", ახალი ვარიანტების დაკონკრეტებას კი ჯერჯერობით ერიდება:

„მიმდინარეობს მოლაპარაკებები. მთავარია, ჯერ მე დავინტერესდე ახალი გუნდით და მერე მათ შეძლონ თანხის გადახდა. გაშვებით, ალბათ, გამიშვებენ. შემომთავაზეს კიდეც ჰოლანდიური და ბელგიური კლუბების ვარიანტები. „ვიტესი"? არა, სხვა გუნდია".

სხვათა შორის, ვაწაძისთვის ერთ-ერთ თურქულ კლუბში განათხოვრებაც შეუთავაზებიათ, რაზეც მას შორს დაუჭერია. მოგეხსენებათ, ჩვენს სამეზობლოში მთლად დალაგებული სიტუაცია ვერ არის და ჩანს, ეს უნდა იყოს სწორედ უარის მიზეზი.

„რა თქმა უნდა, სათადარიგო სკამზე ჯდომა არ მსიამოვნებს, მაგრამ ეს ფეხბურთია და რაღაცას უნდა გაუძლო, ახალი უნდა ეძებო... მე ძველებური მონდომებით ვვარჯიშობ და შანსს ველოდები. ალბათ, ზაფხულში მაინც წავალ".

და, ბოლოს, ვაწაძეს საქართველოს ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელზეც ვკითხეთ:

„გულწრფელად ვამბობ, ვლადიმირ ვაისზე პირველი შთაბეჭდილება დადებითია. თუ რა ფეხბურთის მიმდევარია სლოვაკი სპეციალისტი, ამაზე ცოტა დრო რომ გავა, მერე უფრო ზუსტად გიპასუხებთ. ჯერჯერობით კი შემიძლია ეს გითხრათ - ვაისის ვარჯიშები და წვრთნის ინტენსივობა ძალიან მომეწონა".

მათე ვაწაძე
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ტორპედო

შტელინი საქმეს დაუბრუნდა

ალექსანდრ შტელინმა გურია-ტორპედოს მატჩს ლოჟიდან ადევნა თვალი

ზუსტად სამი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ქუთაისის „ტორპედო" მთავარი მწვრთნელის, **ალექსანდრ შტელინის** გარეშე დარჩა. ამის მიზეზი ცნობილია - ტორპედოელთა უკრაინელ დამრიგებელს გულის ოპერაცია გაუკეთეს და ცხადია, რეაბილიტაციას დრო დასჭირდა.

უკრაინელი სპეციალისტის არყოფნაში „ტორპედოს" მისი ასისტენტები - **მიხეილ აშვეთია** და **გიორგი სუხიაშვილი** ავარჯიშებდნენ. ქუთაისელებმა ამ პერიოდში ოთხი შეხვედრა ჩაატარეს, რომელთაგან 1 მოიგეს და 3 წააგეს.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, შტელინი უკვე მომჯობინდა და თავს კარგად გრძნობს. 17 აპრილს ის ლანჩხუთში „გურიასა" და „ტორპედოს" მატჩსაც დაესწრო, ოღონდ, სათადარიგოთა სკამზე არ ყოფილა, თამაშს თვალს სტუმართა ლოჟიდან ადევნებდა.

გუშინ კი შტელინი საღორიას საწვრთნელ ბაზაზე მივიდა. მართალია, „გურიასთან" მატჩის შემდეგ „ტორპედო" ისვენებდა, მაგრამ მან დღევანდელი საწვრთნელი პროცესი დაგეგმა.

ასე რომ, 24 აპრილს, ბოლნისის 'სიონთან" საშინაო მატჩისთვის „ტორპედოს" კვლავ შტელინი მოამზადებს.

მერაბ მამულაშვილი

ტრავმები

თევდორაძისთვის დასრულდა, ცინცაძისთვის განახლდა

რევაზ თევდორაძისთვის მიმდინარე სეზონი ნაადრევად დასრულდა. თბილისის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი მარტვილის „მერანთან" ფრედ (1:1) დასრულებულ შეხვედრაში დაშავდა - მატჩის მერე გაირკვა, რომ 28 წლის მეკარემ კუნთი გაიწყვიტა.

„ფეხი თამაშამდეც, მთელი ერთი თვე მაწუხებდა, მაგრამ მკურნალობას ექვემდებარებოდა. ამ პერიოდში, „ლოკომოტივს" მნიშვნელოვანი თამაშები ჰქონდა და ამის გამო, თავს დასვენების უფლება ვერ მივეცი. სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვეღარ გავძელი. ეს „მერანთან" თამაშის ბოლოს მომივიდა, როცა გამოსვლაზე ვთამაშობდი და კუნთი ნაწილობრივ გავიწყვიტე. ჩვენ 3 შეცვლა გაკეთებული გვქონდა და მოედნიდან ვეღარ გავედი", - ამბობს თევდორაძე და იქვე აგრძელებს:

„სამკურნალოდ თვე-ნახევარი დამჭირდება, სრულ დატვირთვებზე კი მხოლოდ ამის შემდეგ გადავალ, ასე რომ, ჩემთვის სეზონი დასრულებულია. არადა, „ლოკომოტივში" ძალიან მაგარი სეზონი მქონდა. სულ 10 თამაში ჩავატარე, საიდანაც 6 მატჩში გოლი არ გავუშვი და იმედი მქონდა, სეზონის ბოლომდე კიდევ უკეთეს ფორმაში შევიდოდი. გული მწყდება, რომ ასე მოხდა".

მართლაც ცუდია ამბავია, კარგი კი ბოლოსთვის შემოვინახეთ: ტრავმირებული იყო თბილისის „დინამოსა" და ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები **მათე ცინცაძე,** რომელიც მეორე წრეში გუნდს ვერ ეხმარებოდა. მაგრამ 20 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა ვარჯიში განაახლა და მოედანსაც, წესით, მალე დაუბრუნდება.

„თერჯოლის „საპოვნელასთან" მეორე წრის პირველივე შეხვედრაში დავშავდი და მენისკის ოპერაცია გავიკეთე. მერე კი საკმაოდ ხანგრძლივი რეაბილიტაციის პროცესი გავიარე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ, გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე დავიწყე და იმედია, ფორმასაც მალე აღვიდგენ", - იმედოვნებს ცინცაძე.

მეჩრაბ მამულაშვილი

რევაზ თევდორაძე

ლეგიონი გუშინ...

ეინდჰოვენს ვერ გაუმკლავდნენ

ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალურ მატჩში არნემის „ვიტესმა" სტუმრად 0:2 წააგო ჩემპიონობის მაძიებელ „პსვ ეინდჰოვენთან". **გურამ კაშიამ** და **ვაკო ყაზაიშვილმა** მინდორზე 90-90 წუთი გაატარეს.

პოლონეთის ექსტრაკლასას საჩემპიონო ჯგუფში კი შჩეცინის „პოგონმა" გასვლაზე ასევე 0:2 დათმო შეხვედრა უკეთეს ფორმაში მყოფ „ლეხიასთან". **ლადო დვალიშვილი** „პოგონის" სასტარტოში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს.

ალეკო კაკაურიძე

ბურთით ოთარ კიტეიშვილი
ფოტო fcdinamo.ge

ახალი ხედი...

ოთარ კიტეიშვილი

როცა ქვეყნის ღირსებას იცავ, შენზე ბედნიერი არავინაა

20 წლის ოთარ კიტეიშვილი ის ფეხბურთელია, მომავალს იმედით რომ გვაყურებინებს. მისი პროგრესი თვალსაჩინოა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ის უკვე ჩამოყალიბდა თბილისის „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერად. არის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი და, ჩვენი აზრით, აღარც ის დრო არის შორს, როცა კიტეიშვილი ეროვნული გუნდის კარს შეაღებს.

ის თავმდაბალი ადამიანი და, ასაკის მიუხედავად, საკმაოდ დახვეწილი მოსაუბრეა. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენთან ინტერვიუში ალექსანდრე იაშვილმა თავის ერთ-ერთ შესაძლო შემცვლელად სწორედ კიტეიშვილი დაასახელა...

ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ინტერვიუ ახალი თაობის ფეხბურთელთან...

- ფეხბურთს პირველად როდის „დაუმეგობრდით"?

- რუსთავში დავიბადე და გავიზარდე. ბავშვობიდან ფეხბურთი იქცა ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. თავიდან ყველაფერი უბანში დაიწყო. ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, მურად პაიჭაძე გვავარჯიშებდა... გავიდა ცოტა ხანი და ჩემი თამაში ვარლამ კილასონიამ ნახა. მინდა, მას დიდი მადლობა გადავუხადო. ძალიან ბევრი გააკეთა ჩემთვის, უდიდესი ამაგი აქვს.

- მსმენია, რომ ძალიან კარგად სწავლობდით. არ გიჭირდათ სწავლისა და ფეხბურთის შეთავსება?

- მართლაც კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ვერ მოგატყუებთ, თითქოს ბოლომდე ასე იყო. დამამთავრებელ კლასებში უფრო ფეხბურთისკენ გადავიხარე, თუმცა ხელი არც სწავლაზე ამიღია. ჩემი აზრით, თუ არის სურვილი და მონდომება, ფეხბურთისა და სწავლის შეთავსება ნამდვილად შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, მე არ მიჭირდა და სხვისი არ ვიცი.

- ვუყურებ თქვენს თამაშს და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ბავშვობიდან თავისუფალ თამაშს შეგაჩვიეს. არ უფრთხით მეტოქის მოტყუებას, გამამწვავებელ პასს...

- ეს სწორედ ვარლამ კილასონიას დამსახურებაა. ის თავიდანვე გვაჩვევდა ლაღ თამაშს. ბავშვობაში შედეგზე ნაკლებად ვფიქრობდით, თუმცა ეს შედეგი თავად მოდიოდა. მწვრთნელი ჩვენგან სიტუაციის მიხედვით თამაშს ითხოვდა. როცა მოსატყუებელია კაცი, უნდა მოატყუო, როცა პასია მისაცემი, უნდა მისცე - ასე გაგვზარდა კილასონიამ.

- ორივე ფეხით თანაბრად კარგად თამაშობთ...

- ჩემთვის „მუშა" მაინც მარჯვენა ფეხია, მაგრამ მარცხენითაც შემიძლია პასის გაკეთება, დარტყმაც...

- რას არის თქვენთვის დღევანდელი თბილისის „დინამო"?

- ერთი დიდი ოჯახი! ჩვენ ყველას ბოლომდე გვაქვს გათავისებული, რას ნიშნავს, იყო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი. მიმდინარე სეზონი კარგად მიდის ჩვენთვის და ვეცდებით, ასევე ჩავამთავროთ. ჩემპიონობასთან ახლოს ვართ და თასსაც ვუმიზნებთ.

- თუმცა ბოლო უქმეებზე „ჩიხურასთან" დამარცხდით...

- ვფიქრობ, საკმარისად გვქონდა საგოლე მომენტები, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო ჩვენს მეტოქეს გაუმართლა. მაინც დამაჯერებლად ვლიდერობთ და დიდი იმედი მაქვს, უახლოეს ტურებში ჩემპიონები გავხდებით.

- ის დრო მინდა გაგახსენოთ, როცა უფულო „მეტალურგი" უმაღლეს ლიგაში ერთმანეთზე უკეთეს თამაშებს გვთავაზობდა...

- მართლაც ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, პერსპექტიული... რამდენიმე ისეთი თამაში მოვიგეთ, არავინ რომ არ ელოდა. ყველამ იცის, რა მდგომარეობაშიც ვიყავით. წყალი და შუქიც კი არ გვქონდა... მუდამ ასეთ ვითარებაში ვერ იქნები, ელემენტარულად - ვერ გაძლებ. მაშინ პატარა ბიჭები ვიყავით, არ ვფიქრობდით არც ფულზე და არც სხვა პირობებზე, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული.

- გამიგონია, რომ ბავშვობაში მაგარი გუნდი გყავდათ. დღეს თუ თამაშობს ვინმე იმ გუნდიდან უმაღლეს ლიგაში?

- მხოლოდ გიორგი კილასონია. ის ახლა ბოლნისის „სიონშია". გიორგის ახლა ტრავმა აქვს და მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მალე გამოჯანმრთელება და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო.

- რას ნიშნავს თქვენთვის, დაიცვათ ქვეყნის ღირსება?

- ვამაყობ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი რომ ვარ. როცა ქვეყნის ღირსებას იცავ, შენზე ბედნიერი არავინაა და, ამავე დროს, პასუხისმგებლობის გრძნობაც დიდია. უნდა შეძლო და ყველაფერი გააკეთო! მათ შორის ისიც, რაც შენს ძალებს აღემატება.

- ამბობენ, ოთარ კიტეიშვილი ძალიან თავმდაბალი ბიჭია, ზოგჯერ ზედმეტად თავმდაბალიცო...

- რა ვიცი... ჩემს თავზე ვერ ვილაპარაკებ. ვარ ის, რაც ვარ.

- რა არის თქვენი ნაკლი?

- ბევრს ვმუშაობ ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებაზე. იმაზეც, რომ მინდორზე უფრო სწრაფად მივიღო გადაწყვეტილება... დამეთანხმებით, აზროვნების სისწრაფე ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ფეხბურთში.

- საქართველოს ჩემპიონატში ისეთი მოედნებია, გადაწყვეტილების სწრაფად მიღება ძალიან ჭირს...

- მართალი ხართ. არაერთხელ გვითამაშია ასეთ მოედანზე. მე ასე ვიტყოდი - რა თქმა უნდა, ჩვენი ჩემპიონატი არ არის სასურველი დონის, მაგრამ ეს მხოლოდ ინფრასტრუქტურისა და პირობების ბრალი არ მგონია. ჩვენ, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებმა, ამის მიზეზები არა მხოლოდ გარე ფაქტორებში, არამედ საკუთარ თავშიც უნდა ვეძებოთ. თბილისის „დინამოში" ყველანაირი პირობაა ფეხბურთელის განვითარებისთვის - მცოდნე მწვრთნელი, დიდებული გარემო, შესანიშნავი თანაგუნდელები...

- ოთარ კიტეიშვილი და რეჟიმი...

- ...მაგრად მეგობრობენ ერთმანეთთან. უამისოდ ფეხბურთში არაფერი გამოვა. შრომა მიყვარს. მიყვარს, როცა ყველაფერს ვაძლევ საყვარელ საქმეს. თავიდანვე ვიცოდი, რომ ფეხბურთელობა მინდოდა და ისიც ვიცოდი, რომ საამისოდ ძალიან ბევრი შრომა მომიწევდა.

- ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი...

- ალბათ, ის მატჩი, რომლის დასრულების შემდეგაც მოვიგე ჩემი პირველი ტიტული - საქართველოს თასის ფინალში „სამტრედიას" 5:0 რომ მოვუგეთ...

- გამორჩეული გოლი?

- ალბათ, უფრო გოლები. 19-წლამდელთა ნაკრებში ორი გოლი გავუტანე რუმინეთს. არადა, იმ შეხვედრას ვაგებდით...

- თუ გიფიქრიათ იმაზე, რატომ წყვეტენ ზრდას ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელები?

- ალბათ, ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება ჩემპიონატის დონეა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს დონე ჩვენვე უნდა ავწიოთ.

- თუ არის საქართველოს ჩემპიონატში გუნდი, რომლის წინააღმდეგაც განსაკუთრებით გსიამოვნებთ თამაში, გუნდი, რომელიც ლაღად თამაშობს, დაცვაში არ იკეტება?

- ასეთი გუნდი „საბურთალოა" - ძალიან კარგი, ახალგაზრდული, შემტევი გუნდი...

- რომელია თქვენი საყვარელი ფეხბურთელი და გუნდი?

- ლიონელ მესი და „ბარსელონა". უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ორივე მათგანის ცქერა.

- ბევრს კითხულობთ?

- ვცდილობ, თუმცა ახლა აღარ მრჩება ბევრი დრო საამისოდ. ძალიან მიყვარს წიგნი... საერთოდ, ადამიანი ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს იმისკენ, რომ რაც შეიძლება მეტი იკითხოს და შეითვისოს.

- გამორჩეული ნაწარმოები?

- ერთ კონკრეტულს ვერ გამოვარჩევ...

- ბოლოს რა წაიკითხეთ?

- „ოსტატი და მარგარიტა". ძალიან მომეწონა.

- რა არის თქვენი კარიერის მიზანი?

- გამოვადგე ჩემს ქვეყანას, გავახარო გულშემატკივრები, ვიარო სულ წინ...

ალეკო კაკაურიძე

...თავიდანვე ვიცოდი, რომ ფეხბურთელობა მინდოდა და ისიც ვიცოდი, რომ საამისოდ ძალიან ბევრი შრომა მომიწევდა...

ალეკო კაკაურიძის რუბრიკა
ოთხშაბათის საკითხავი

უფესვო ხეები

ანუ რევოლუცია ტკივილის გარეშე არ მოდის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თქვა, რომ მომავალი სეზონიდან ეროვნულ ჩემპიონატში ვერ ითამაშებს კლუბი, რომელსაც არ ექნება ლიცენზია. ეს ამბავი ბეჭედდასმულია და არაფერი შეიცვლებაო, ესეც დაამატეს „ქართული ფეხბურთის სახლის" ბინადრებმა...

რომ არ იყოს გარდაქმნა მხოლოდ გარდაქმნისთვის...

ლიცენზირების კრიტერიუმი ხუთია: სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო-ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური. სათაურში სიტყვა „რევოლუცია" ტყუილად როდი გამოვიტანეთ. ჩვენს უმაღლეს ლიგაში ბევრი ისეთი კლუბი როდი გვეგულება, რომელიც ამ პროცესს წარმატებით გაივლის.

ლიცენზირების ამბავი ადრეც ხშირად გვესმოდა, თუმცა ბოლო წამს ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს ლოიალობა გადასძალავდათ ხოლმე. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამჯერად ასე აღარ იქნება და ესა თუ ის კლუბი უმაღლესში შეპირებისა და, თუნდაც, ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ ვეღარ ითამაშებს.

რა თქმა უნდა, ეს ძალზე მტკივნეული პროცესია, მაგრამ უნდა შევეგუოთ იმასაც, რომ რევოლუციურ გარდაქმნას ტკივილი მუდამ ახლავს. ქართული ფეხბურთი კი ახლა ისეთ დღეშია, რომ „გარდაქმნა მხოლოდ გარდაქმნისთვის" საქმეს ვერ უშველის.

სხვანაირადაც რომ არ გამოდის?

ბუნებრივია, ჩვენ გვაწუხებს იმ გულშემატკივრის ბედი, რომელიც უმაღლესი ლიგის მატჩების გარეშე დარჩება. გვაწუხებს იმ ფეხბურთელების ბედი, ამ გუნდებში რომ თამაშობენ, მაგრამ ყველაზე მეტად ქართული ფეხბურთის მომავალი სვე გვაწუხებს და ამაში გასაკვირი არაფერია.

სწორედ ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლეს ლიგაში უნდა ითამაშოს მხოლოდ იმ კლუბმა, რომელსაც აქვს სტადიონი, აქვს ელემენტარული ფინანსური პირობები, მოწესრიგებული აქვს საშტატო საკითხები და აქვს აკადემიაც, რომელიც, ასე თუ ისე, ნორმალურად ფუნქციონირებს.

ზოგიერთი კლუბის მესვეურს ისიც კი უთქვამს - რად მინდა ლიცენზირების პროცესის გავლა, უმაღლეს ლიგაში ისედაც ვითამაშებო. ეს არ იქნებოდა, რომ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელობის სწორედ რომ ლოიალური გადაწყვეტილებები.

არაფერია ჩემთვის იმაზე უსიამოვნო, ვიდრე იმ ხალხის კრიტიკა, რომელიც უკვე აღარ არის ქართული ფეხბურთის სათავეში, მაგრამ სხვანაირადაც რომ არ გამოდის? სწორედ მათ დროს დამკვიდრდა იმის პრეცენდენტი, რის იმედიც კიდევ აქვთ კლუბის ხელმძღვანელებს.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი ვერაფრით იქნება კონკურენტუნარიანი ტურნირი მანამ, ვიდრე ყანაში ვითამაშებთ ფეხბურთს, მოთამაშეები მინდორზე უხელფასოდ ირბენენ, არ გვექნება საკლუბო აკადემიები და ჭაბუკთა გუნდებიც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გვეყოლება.

ამ შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა დავეთანხმოთ. თან დროც აღარ ითმენს. თუ კარდინალური ცვლილებები არ განხორციელდა, ისე ჩვენი ფეხბურთის პროგრესი ზღაპარია. ეს ოთხი წელიც სწრაფად გაფრინდება და ფედერაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას უკვე გაკეთებულ საქმეებზე მოვთხოვთ ანგარიშს.

ჩვენ მოვთხოვთ და მათ სათქმელი უნდა ჰქონდეთ. საიდუმლო არავისთვისაა - საქართველოს ჩემპიონატის შედარებითი პროგრესიც კი უმნიშვნელოვანესი ლაკმუსის ქაღალდი იქნება ფედერაციის დღევანდელ ჩინოსანთა საქმიანობის შესაფასებლად.

ცხვარი და ოციანი

ყველა დაგვეთანხმება: საქართველოს პირველობის დონე დღეს არნახულად დაცემულია. კომაში მყოფს კი შოკური თერაპიით სჭირდება მკურნალობა. დღეს ჩვენი ჩემპიონატი ძალიან ჰგავს მოყვარულთა შეჯიბრებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ცოტაც და, ბიჭები „ცხვარზე და ოციანზე" ითამაშებენ.

არა, საერთოდ რაზე უნდა წერო და ილაპარაკო, როცა ჩვენი გუნდების სოლიდურ ნაწილს ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვერ უპოვია, ძირითად შემადგენლობაში რომ დააყენოს. რომ არა აუცილებლობა, გვერწმუნეთ, ისინი ამას არამც და არამც არ გააკეთებდნენ.

მეტი რა ჩარაა - მწვრთნელი ახალგაზრდა ფეხბურთელს აყენებს სასტარტო შემადგენლობაში და სულ რაღაც 10-15 წუთში ცვლის. ამ საჭირბოროტო საკითხს მალე ჩვენს გაზეთში კარგად არგუმენტირებული, ცალკე წერილი მიეძღვნება. ახლა კი მხოლოდ ამას ვიკითხავთ - რა უნდა უმაღლეს ლიგაში კლუბს, რომელსაც ორი კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელიც ვერ აღუზრდია?!

ალბათ, ამ კლუბების მწვრთნელ-ხელმძღვანელებიც დაგვეთანხმებიან, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს ფსიქოლოგიურად „ვკლავთ", როცა ასე ვექცევით. როგორი საქმეა, იწყებ თამაშს და ზუსტად იცი, რომ 10 წუთში (ჰა-ჰა 15-ში) უნდა შეგცვალონ?

არადა, საქმე ეხება ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელიც დღითიდღე უნდა იზრდებოდეს, დიდ ნაბიჯებს დგამდეს პროგრესისკენ... ასე კი, ის რეგრესისკენ მიდის და ამის უარყოფა უბრალოდ შეუძლებელია.

ერთ გუნდს მეც შევაკოწიწებ...

არ მესმის, რატომ აღიქმება ჩვენი კლუბების მხრიდან პირველ ლიგაში ასპარეზობა ტრაგედიად. არ ჯობია, ითამაშო რანგით დაბალ ლიგაში, მოაწესრიგო ბაზა, სტადიონი, აკადემია, ფინანსური მდგომარეობა და ამის შემდეგ იფიქრო უმაღლეს ლიგაში თამაშზე?

ასეთ შემთხვევაში, უძლიერესთა შორის, იქნებ, გაცილებით დიდხანს დარჩე და ფესვები გაიმაგრო. არადა, დღეს ჩვენში ძალიან ბევრი კლუბი უფესვო ხეს ჰგავს. ძალიან, ძალიან გამკვირვებია ჩვენი კლუბების ზოგიერთი მესვეურისა.

კი, მაგრამ, თუ ფული სხვამ მომცა, თუ ბაზა არ მჭირდება, აკადემია არ მჭირდება, სტადიონი არ მჭირდება და სავარჯიშო მინდორიც ზედმეტი ფუფუნებაა, მაშინ ერთ გუნდს მეც შევაკოწიწებ...

საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა არასოდეს მქონია, მაგრამ თუ ეს არის საჭირო მინიმუმი, რატომაც ვერა?!

...მცირე ლირიკულ გადახვევას აქ მოვრჩეთ და ისევ საქმეზე ვთქვათ. ჩვენთან რომ უმნიშვნელოდ მიაჩნიათ, ამ ლიცენზირების გამო ევროპაში არაერთი კლუბი დააქვეითეს რანგით დაბალ დივიზიონში, უფრო მეტი კი ევროთასებზე არ დაუშვეს.

მოკლედ, ქართულ ფეხბურთში რევოლუციის ხმა გვესმის. რევოლუცია მოდის, გვიახლოვდება. გვეტკინება, მაგრამ უნდა გავუძლოთ!

ინფრასტრუქტურა

საჩხერეში იმედი გაცოცხლდა

ბერიკა შუკაკიძე: ეს ისევ ჩვენს ფეხბურთს წაადგება!

გაცვეთილი თემაა - საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რამდენიმე ისეთი გუნდია, რომელიც საკუთარ ქალაქში ვერ თამაშობს: „ზუგდიდი", ბათუმის „დინამო", „საპოვნელა", „ჩიხურა".

საკუთარ ქალაქში, თუმცა სხვის არენებზე მასპინძლობენ მეტოქეებს „კოლხეთი", „საბურთალო"... „ცხინვალის" ამბავი კი გასაგებია...

ცხადია, ეს მაყურებელთა დასწრებაზე მოქმედებს. ერთ-ერთი ხიზანია „ჩიხურა", რომელიც მეტოქეებს საკუთარ რაიონში, კერძოდ, სოფელ ივანწმინდის სტადიონზე იღებს. მაგრამ ეს მაინც არ არის საკუთარი სტადიონი...

მწვანე შუქი რეკონსტრუქციას

ჯერ კიდევ 2009 წელს იყო ლაპარაკი იმაზე, რომ საჩხერის არენას გენერალურ რეკონსტრუქციას ჩაუტარებდნენ. ის საქართველოში გამორჩეული სტადიონი უნდა ყოფილიყო - 10 ათას მაყურებელს დაიტევდა და ისე ააშენებდნენ, საქართველოს ნაკრების ამხანაგური მატჩიც რომ ჩაეტარებინა.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი აუხდენელ ოცნებად დარჩა, მაგრამ იმედი ისევ გაცოცხლდა. ეს ამბავი „ლელოს" საჩხერის „ჩიხურას" დირექტორმა **ბერიკა შუკაკიძემ** გაუმხილა:

„ჩვენი დიდი სურვილია, უახლოეს პერიოდში საჩხერის ცენტრალურ სტადიონს რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს. ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილს ვესაუბრე. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო პროგრამა დამატებით ინფრასტრუქტურულ პროგრამასაც ითვალისწინებს. დავინტერესდით, ამ პროგრამის ეგიდით შესაძლებელი იყო თუ არა ჩვენი არენის განახლება და კობიაშვილისგან დადებითი პასუხი მივიღეთ. გვსურს, ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე 5 ათასზე მეტი ტევადობის არენა ავაშენოთ, სადაც იქნება მოთამაშეთა საცხოვრებელი კორპუსი და ფიტნეს-დარბაზი. ტრიბუნები უნდა იყოს მოედნიდან გარკვეულ სიმაღლეზე და აუცილებლად - გადახურული. ჩანაფიქრის მიხედვით, ტრიბუნები სამ მხარეს უნდა განთავდეს, გასასვლელი - ცენტრალური ქუჩის მხარეს. პლუს ამას, განათების თანამედროვე სისტემის დამონტაჟებაც გვსურს, რათა თამაშები საღამოს ჩავატაროთ", - ამბობს შუკაკიძე.

თუ კარგად შევფუთავთ, დაინტერესებაც იქნება...

„ჩიხურას" დირექტორმა თავისი მოსაზრება გაგვიმხილა საქართველოს ჩემპიონატზეც:

„ახლა ფეხბურთისა და ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებაზეა ლაპარაკი. ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ კლუბებს სტაბილური დაფინანსება ჰქონდეთ, რამდენიმე ძლიერი ლეგიონერი დავიმატოთ და მაყურებელს სანახაობა შევთავაზოთ. ჩემი აზრით, დონის ამაღლება, ერთი შეხედვით, წვრილმანი საკითხების მოგვარებაზეც არის დამოკიდებული. საჩხერესა და მთლიანად რაიონის სოფლებში ჩავატარეთ გამოკითხვა და საინტერესო სურათი მივიღეთ - თუ გუნდი საღამოს, ხელოვნურ განათებაზე ითამაშებს, სავსებით რეალურია, რომ სტადიონი შევავსოთ. ასეთ დროს თამაშს სულ სხვა ხიბლი აქვს და ეს იქნება დამატებითი პუნქტი, რომლითაც ჩვენი ჩემპიონატის შეფუთვა და ხალხის დაინტერესება იქნება შესაძლებელი. თან საჩხერის სტადიონს უნიკალური მდებარეობა აქვს - მდინარე ყვირილის ნაპირზე, სადაც ბულვარის მოწყობა იგეგმება".

ივანწმინდაში ბაზას მოვაწყობთ...

შუკაკიძე იმედოვნებს, რომ სტადიონის აშენება გუნდის სერიოზული წინსვლის საფუძველი გახდება:

„ასეთ შემთხვევაში, „ჩიხურას" მშვენიერი ინფრასტრუქტურა ექნება. ამჟამად, ივანწმინდის სტადიონზე ვთამაშობთ, რომელსაც მერე ბაზად გამოვიყენებთ. საჩხერეში არის ხელოვნურსაფრიანი მოედანი, რომლითაც „ჩიხურას" საფეხბურთო სკოლა ისარგებლებს, გუნდის განკარგულებაში კი იქნება ცენტრალური სტადიონი. ამას გარდა, გვსურს, მის გვერდით მდებარე ასევე სტანდარტული სავარჯიშო მოედანიც გამოვიყენოთ და საფარი შევცვალოთ. როცა კლუბს აქვს საფეხბურთო სკოლა, სტადიონი და საწვრთნელი ბაზა, იქ მუშაობა ეფექტურია".

საუკეთესონი საჩხერეში ჩამოგვყავს

შუკაკიძე საფეხბურთო სკოლების ქსელზეც გველაპარაკა:

„ახლოს არაფერს ვიტყვი - ფეხბურთის განვითარება თუ გვსურს, ბავშვთა ფეხბურთში დიდი ფული უნდა დავაბანდოთ. თავის დროზე, ამაში „ჩიხურას" ბიძინა ივანიშვილი დაეხმარა. ამან საშუალება მოგვცა, საკმაოდ კარგი საფეხბურთო სკოლა დაგვეფუძნებინა. წინა სეზონში მასზე 300 ათასი ლარი დავხარჯეთ. სკოლაში 25 მწვრთნელი მუშაობს და ყველას ლიცენზია აქვს. ჯგუფი საჩხერის რაიონის ყველა სოფელშია. ანუ რაიონში მასობრიობის პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. ერთ სოფელსაც ვერ იპოვით, საჩხერიდან ყველაზე მოშორებულსაც კი, სადაც ბავშვს ვარჯიშის საშუალება არ აქვს. წვრთნები ზამთარში სოფლების დარბაზებში მიმდინარეობს, ხოლო ზაფხულში - სოფლის სტადიონებზე. საუკეთესო ბავშვები კი საჩხერეში ჩამოგვყავს და ვავარჯიშებთ".

მოსამზადებელი ცენტრის სიკეთეები

შუკაკიძის თქმით, საჩხერის რაიონში კარგი მოსამზადებელი ცენტრის ჩამოყალიბებაცაა შესაძლებელი:

„ჩვენი რაიონის სოფლებში, ლიჩსა და კვერეთში, საკურორტო ზონაა და მარადმწვანე ხეების მასივებია. გაითვალისწინეთ ადგილმდებარეობაც: ეს სოფლები რაჭას ესაზღვრება და მშვენიერი კლიმატი გამოარჩევთ, საქართველოს ცენტრალური საავტომობილო ტრასიდან კი სულ რაღაც 50 კილომეტრშია. იქ მოსამზადებელი ცენტრებისთვის ტერიტორიაც არის და 2-3 სტადიონის აშენებაც თავისუფლად შეიძლება. ჩვენ თუ ზაფხულის მოსამზადებელი ცენტრების მოწყობაზე ვიფიქრებთ, თურქეთსა და ყირიმში განვითარებული მოვლენების ფონზე, სპორტული მომზადების ცენტრებთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარებაც რეალურია. შუა აზიის ქვეყნების, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, უკრაინისა და რუსეთის თუნდაც დაბალი ლიგის კლუბებისთვის ევროპაში გამგზავრება დიდი ფუფუნებაა. საქართველო კი ტერიტორიულადაც ახლოსაა, შედარებით იაფიც იქნება და ქვეყნის ბიუჯეტშიც დამატებითი შემოსავალი შევა. ეს ქართულ ფეხბურთსაც წაადგება, რადგან უცხოელებთან ხშირი თამაშებითა და ურთიერთობებით საქმიანი კავშირებიც ჩამოყალიბდება და სპარინგმატჩების დეფიციტიც აღარ იქნება. საქართველოს რეალურად შეუძლია, რომ ჩამოსულ კლუბებს თუნდაც სლოვენიაზე არანაკლები პირობები შეუქმნას. ასეთ შემთხვევაში, უცხოეთში გამგზავრებაზე უარს ჩვენი უმაღლესი ლიგის კლუბების ნაწილი მაინც იტყვის და ადგილზე მომზადებას ამჯობინებს. დარწმუნებული ვარ, ეს პერსპექტიული მიმართულებაა".



ბერიკა შუკაკიძე

მერაბ მამულაშვილი



პლეი ოფში ერთი ვაკანტური ადგილი დარჩა

18 აპრილს, საქართველოს ფუტსალის ლიგის მორიგი კალენდარული ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელსაც ტრადიციულად ახალმა სპორტის სასახლემ უმასპინძლა. სანაკრებო შეხვედრებით გამოწვეული პაუზის გამო VI ტურშიც ორი შეხვედრა გაიმართა.

განსაკუთრებული ინტერესი პლეოფის საგზურისთვის მებრძოლი ორი გუნდის, **აფხაზეთის** და **სპარტაკის** დაპირისპირებას ახლდა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე შეხვედრაში გამარჯვება „შავიზღვისპირელებმა" მოიპოვეს **12-7** და პლეი ოფის საგზურიც გაინაღდეს. გარდა გუნდური დაპირისპირებისა, ამ მატჩში ბომბარდირის წოდების მაძიებელთა მიკროდუელიც გაიმართა - აფხაზეთის შემტევმა მელტონ ახალაიამ მიმდინარე გათამაშების რეკორდი გაიმეორა და ერთ შეხვედრაში 6 გოლის გატანა შეძლო, რითიც საგოლე მონაგარი 20 ბურთამდე აიყვანა და სამი ბურთით გადაუსწრო უშუალო კონკურენტს, „სპარტაკის" კაპიტან აბი აჰი ალფონსესს, რომელსაც ამ მატჩში გატანილი 4 გოლის შემდეგ 17 ბურთი დაუგროვდა.

რაც შეეხება „სპარტაკის" საპლეიოფო შანსებს, მათ დარჩენილი ორი შეხვედრიდან ორივეს მოგება მართებთ, რაც ურთულესი მისიაა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ისინი მხოლოდ საკუთარ შედეგზე არ იქნებიან დამოკიდებულები.

პლეი ოფში გასვლის თეორიულ შანსებს ინარჩუნებს **უფლისციხეც**, რომელმაც გუშინ ჩემპიონატის აუტსაიდერს, **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის** გუნდს სძლია **4-2**. ოთხეულში მოსახვედრად, გორელები „სპარტაკის" მსგავსად მხოლოდ თავიანთ თავზე ვერ იქნებიან დამოკიდებულები, რაც მომდევნო ეტაპზე ასპარეზობის გაგრძელების შანსს უფრო მიზერულს ხდის. ეს ყოველივე კი დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული თუ როგორ ითამაშებს „თბილისი", რომელსაც რეზერვში სამი თამაში აქვს დარჩენილი და ამ მხრივ უპირატესობაც გააჩნია.

რაც შეეხება VI ტურის დარჩენილ ორ დაპირისპირებას, ისინი 9 მაისს გაიმართება. თბილისის „დინამო" „ბათუმთან" ითამაშებს, ხოლო თსუ და „სტუ-თელასი" რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდის წოდებისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

18.04.2016.

საქართველოს ფუტსალის ლიგა

VI ტური

აფხაზეთი – სპარტაკი 12–7 (4–5)

გოლები: 1:15′ ხარაიშვილი (1-0), 3:02′, ალფონსე (1-1), 4:30′ კირკიტაძე (1-2), 11:46′ ახალაია (2-2), 13:48′ დუ ჟუნიორ (2-3), 16:10′ ოთინაშვილი (3-3), 18:20′ ალფონსე (3-4), 18:52′ ახალაია (4-4), 19:06′ ალფონსე (4-5), 22:44′ სებისკვერაძე (5-5), 25:44′ ღუღუნიშვილი (6-5), 34:46′ ხარაიშვილი (7-5), 36:45′ სებისკვერაძე (8-5), 37:21′ ახალაია (9-5), 37:29′ ახალაია (10-5) 38:34′ ღუღუნიშვილი (საკ. კარ) (10-6), 38:49′ ალფონსე (10-7), 39:29′ ახალაია (11-7), 39:43′ ახალაია (12-7)

გაფრთხილება: კვარაცხელია, ტვილდიანი; **გაძევება**: ალფონსე

აფხაზეთი: გელაშვილი, ხარაიშვილი, ღუღუნიშვილი, სებისკვერაძე, ახალაია
სათ.: ფიფია, შველიძე, ქეშელაშვილი, ტვილდიანი, ლევან ლეჟავა, კვარაცხელია, ლაშა ლეჟავა, ოთინაშვილი, გედენიძე

სპარტაკი (თბ): ქუთათელაძე, ალფონსე, კურატიშვილი, დუ ჟუნიორ, ბოიომო
სათ.: კირკიტაძე, კანდარელი

უფლისციხე – IBSU 4–2 (2–1)

გოლები: 11:43′ ლუკაშვილი (1-0), 12:29′ ადუაშვილი (2-0), 14:23′ მაისურაძე (2-1), 27:57′ სულთანიშვილი (3-1), 34:06′ დევაძე (3-2), 39:59; ბალიაშვილი (4-2)

გაფრთხილება: მჟავანაძე

უფლისციხე: თათანაშვილი, ადუაშვილი, ლუკაშვილი, ბალიაშვილი, კბილაძე
სათ.: სულთანიშვილი, ნონიკაშვილი

IBSU: ბუჯიაშვილი, მჟავანაძე, სეფერთელაძე, ლოლუა, მაისურაძე **სათ.**: კალანდია, ზატუაშვილი, დევაძე, გველესიანი, ბაირამოვი, წურწუმია

საქართველოს ფუტსალის ლიგის ტექნიკური პარტნიორები არიან გერმანული სპორტული ბრენდი ***SALLER*** და ესპანური სპორტული ბრენდი **JOMA**

. ღონისძიების პარტნიორები და მხარდამჭერები არიან: იურიდიული ჯგუფი „ერისთავი და პარტნიორები", „ტატიშვილის სამედიცინო და სპორტული რეაბილიტაციის ცენტრი", „წყალი მარგებელი", SPORT City , Apple City

მედიაპარტნიორები: რადიოები, „იმედი", JAKO FM, „კომერსანტი", ვებპორტალები, mysports.ge, sportall.ge, worldsport.ge, goal.ge, და გაზეთი „ლელო".

სპორტული სააგენტო SBM-ის პრესსამსახური

ამბები

მხოლოდ ერთჯერადი...

ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** დღეს ერთჯერად ვარჯიშს ჩაატარებს. პირველი ასეთი ვარჯიში ადრე უკვე იყო. ამჯერად, ტრავმების გამო წვრთნას დააკლდებიან **ლევან გეგეჭკორი** („შუქურა") და **გიორგი ფანცულაია** („საბურთალო"). ასევე, თბილისის „დინამოს", „ჩიხურას", „სიონის" და „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები, რომლებიც დღეს საქართველოს თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩებში ითამაშებენ.

გია გეგუჩაძე

გეგუჩაძემ ერთჯერადი ვარჯიშისთვის 22 ფეხბურთელი მიიწვია:

მეკარეები - **ლაზარე კუპატაძე** (ლოკომოტივი), **ბექა ქურდაძე** (საბურთალო), **ოთო გოშაძე** (საბურთალო);

მცველები - **გრიგოლ ჩაბრაძე** (საბურთალო), **ირაკლი კომახიძე** (შუქურა), **გაგი მარგველაშვილი** (საბურთალო), **ზურაბ მალანია** (შუქურა), **ლუკა ნოზაძე** (გურია), **ანრი ჭიჭინაძე** (ტორპედო), **დაჩი ცნობილაძე** (სამტრედია), **დავით უბილავა** (ლოკომოტივი);

ნახევარმცველები - **გიგა სამხარაძე** (დილა), **სანდრო ალთუნაშვილი** (საბურთალო), **ვლადიმერ მამუჩაშვილი** (საბურთალო), **ირაკლი ბიძინაშვილი** (საბურთალო), **თენგიზ წიქარიძე** (დილა), **გიორგი ხარაიშვილი** (საბურთალო);

თავდამსხმელები - **გურამ გოშთელიანი** (საბურთალო), **ილია კერძევაძე** (შუქურა), **ბუდუ ზივზივაძე** (სამტრედია), **ბექა მიქელთაძე** (დინამო თბ), **დავით ჯიქია** (სამტრედია).

ჯანო სრული დატვირთვით

ჯანო ანანიძე „სპარტაკთან" ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ის ფრონტიტით იყო ავად, ახლა კი ბოლომდე გამოჯანმრთელდა და სათამაშოდაც მზადაა.

23 წლის ანანიძეს „სპარტაკში" სათამაშო პრაქტიკა აკლია და კარგი იქნება, თუ ტრავმები მაინც არ შეუშლის ხელს ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად გაჩაღებულ კონკურენციაში.

ალეკო კაკაურიძე

ჯანო ანანიძე

სტოკი-ტოტენჰემი. გამოხმაურება

არასოდეს დანებებდე

„ტოტენჰემმა" „ლესტერის" წაბორძიკებით ისარგებლა და სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა. „დეზებმა" „ბრიტანიაზე" თითქმის სრულყოფილი მატჩი ჩაატარეს და იმარჯვეს.

ჰარი კეინმა და **დელე ალიმ** წყვილ-წყვილი გოლი გაიტანეს. შედეგად, კეინი 24 ბურთით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. განსაკუთრებით ლამაზი მისი პირველი გოლი გახლდათ. ალიმაც კარგად იბურთავა, მაგრამ ერთი ისეთი მომენტი გააფუჭა, რომ ეს პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე გამოსარჩევ გაცუდებულ მომენტად იქცა - კარგო კომბინაციის მერე, ალიმ თავიდან ყველაფერი მშვენივრად შეასრულა ოსტატური პაუზის ჩათვლით, მაგრამ ცარიელ კარში ძელს გაარტყა ბურთი, რასაც **მაურისიო პოჩეტინოს** ისტერიული რეაქცია მოჰყვა, მაშინ ჯერ მხოლოდ 0:2 იყო და არგენტინელი სპეციალისტი ჯერ კიდევ ძალიან ნერვიულობდა. გოლი არ გაუტანია **კრისტიან ერიქსენს** (ერთხელ ძელს გაარტყა), მაგრამ მაინც კეინი-ალის ფონზეც კი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, იმდენად კარგი და პროდუქტიული იყო. დანიელმა 2 საგოლე პასი გააკეთა და ახლა სულ 12 აქვს, იგი მხოლოდ **მესუთ იოზილს** ჩამორჩება.

„ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა, რომელსაც ამ მატჩშიც მოგება უნდოდა. „სტოკი" ზეწოლას ცდილობდა, მაგრამ კარგად ვითამაშეთ და ძალიან ამაყი ვარ. შემართულები ვიყავით და ვნებით ვთამაშობდით, ხასიათი გამოვაჩინეთ. ჩემი ბიჭები შესანიშნავ სეზონს ატარებენ და შექება ეკუთვნით. 4:0 დიდებული ანგარიშია, მაგრამ მეტს გატანაც კი შეგვეძლო და რამდენიმე მომენტს უფრო ყურადღებით უნდა მოვკიდებოდით. რა თქმა უნდა, ჩვენ ვაგრძელებთ ოცნებასა და ბრძოლას. ფეხბურთში არასდროს არ უნდა დანებდე" - თქვა პოჩეტინომ.

ჰარი კეინი: *„ჩვენ არსად გავმქრალვართ და ბრძოლას ვაგრძელებთ. თუ ასე ვითამაშებთ, ყველას გაუჭირდება ჩვენი დამარცხება. ვფიქრობთ, რომ შანსი კიდევ გვაქვს და, რასაკვირველია, „ლესტერის" დევნას გავაგრძელებთ. „მელიები" ჯერ კიდევ უფრო მომგებიან პოზიციაში არიან, მაგრამ ჩვენ სხვაობა შევამცირეთ და წინ 4 მატჩია".*

დელე ალიმ ასე იზეიმა მორიგი გოლი

ინგლისი. პრემიერლიგა.

გადმოტანილი მატჩი

ნიუკასლი–სიტი 1:1

გოლები: 0:1 აგუერო (14), 1:1 ანიტა (31)

ნიუკასლი (4-2-3-1): დერლოუ - ანიტა, მბემბა, ლასკელსი, დამეტი - ტოიტე, კოლბეკი - თაუნსენდი (81. ვერნალდუმი), სისოკო, აიოსე პერესი (90+2. აარონსი) - სისე (55. მიტროვიჩი)

სიტი (4-2-3-1): ჰარტი - საბალეტა, კომპანი, მანგალა, კოლაროვი - ფერნანდო, დელფი (68. სტერლინგი) - დე ბრუინი, ნავასი (84. ბონი), იაია ტურე (73. ფერნანდინიო) - აგუერო

გაფრთხილება: ანიტა, აიოსე პერესი, სისოკო - კომპანი, მანგალა

კუთხური: 5-3 **ჯარიმა**: 13-8 **თამაშგარე**: 2-3 **კარში დარტყმა**: 5(3)-9(5) **ბურთის ფლობა**: 43%-57%

მაყურებელი: 46 424

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ლესტერი	34	21	10	3	59-33	73
2. ტოტენჰემი	34	19	11	4	64-25	68
3. სიტი	34	18	7	9	62-34	61
4. არსენალი	33	17	9	7	56-34	60
5. მანჩესტერი	33	16	8	9	40-30	56
6. ვესტ ჰემი	33	13	14	6	54-42	53
7. საუთჰემპტონი	34	14	9	11	45-35	51
8. ლივერპული	32	14	9	9	52-43	51
9. სტოკი	34	13	8	12	37-47	47
10. ჩელსი	33	11	11	11	49-45	44
11. ევერტონი	33	9	14	10	53-44	41
12. უოტფორდი	33	11	8	14	32-37	41
13. ბორნმუთი	34	11	8	15	41-57	41
14. ვესტ ბრომვიჩი	33	10	10	13	31-40	40
15. სუონსი	34	10	10	14	34-45	40
16. კრ. პალასი	34	10	9	15	36-43	39
17. ნორვიჩი	34	8	7	19	35-60	31
18. სანდერლენდი	33	7	9	17	39-57	30
19. ნიუკასლი	34	7	8	19	36-62	29
20. ასტონ ვილა	*34*	*3*	*7*	*24*	*23-65*	*16*

ბომბარდირები: 24 - ჰარი კეინი (ტოტენჰემი), ჯეიმი ვარდი (ლესტერი), სერხიო აგუერო (სიტი); 18 - რომელუ ლუკაკუ (ევერტონი)

სტატისტიკა

* „ტოტენჰემს" ბოლო 16 პრემიერლიგური საგარეო მატჩიდან მხოლოდ 1 აქვს წაგებული (9 მოგება, 6 ფრე). სტუმრად ჩატარებულ უკანასკნელ 13 თამაშში კი „დეზებმა" მხოლოდ 9 ბურთი გაუშვეს.

* წინა სეზონის დაწყებიდან დღემდე ჰარი კეინს უკვე 45 გოლი უგროვდება. მასზე მეტი ოდენ სერხიო აგუეროს აქვს - 47.

* 20 წლისა 7 დღის დელე ალი გახდა პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ნახევარმცველი, რომელმაც ერთ სეზონში 10 ან მეტი გოლი გაიტანა.

* ალის 10 გოლიდან 8 საგარეო თამაშები აქვს გატანილი.

* 2016 წელს კრისტიან ერიკსენმა 58 საგოლე შანსი შექმნა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ინგლისის ჩემპიონატის ფეხბურთელებს შორის.

* „სტოკმა" პრემიერლიგის საშინაო შეხვედრა 4-ბურთიანი უპირატესობით მხოლოდ მეორედ წააგო. პირველად ეს 2013 წლის იანვარში მოხდა, როდესაც „ბრიტანიას" ბინადრები ასევე ანგარიშით 0:4 დამარცხდნენ „ჩელსისთან".

გიორგი კაკაბაძე

ნაპოლი-ბოლონია 6:0

გოლები: 1:0 გაბიადინი (10), 2:0 გაბიადინი (35-პენ.), 3:0 მერტენსი (58), 4:0 მერტენსი (80), 5:0 მერტენსი (88), 6:0 დავიდ ლოპესი (90)

ნაპოლი (4-3-3): რეინა - ჰიუსაი, ალბიოლი, კულიბალი, გულამი - ალანი, ჟორჟინიო, ჰამშიკი (81. დავიდ ლოპესი) - მერტენსი, კალეხონი (77. ელ ქადური), გაბიადინი (73. ინსინიე)

ბოლონია (4-3-3): მირანტე - მბაიე, ოიკონომუ, როსეტინი, კონსტანტი - ბრიგი, დიავარა (83. დონსა), ტაიდერი - ცუნიგა, ჯაკერინი (60. მუნიერი), აკვაფრესკა (60. ფლოკარი)

გაფრთხილება: ალბიოლი - მბაიე, დიავარა

კუთხური: 8-2; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 16-2 (13-0); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 45 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	33	25	4	4	62-17	79
2. ნაპოლი	34	22	7	5	72-29	73
3. რომა	33	18	11	4	70-36	65
4. ინტერი	33	18	7	8	44-30	61
5. ფიორენტინა	33	17	8	8	54-36	59
6. მილანი	33	14	10	9	43-35	52
7. სასუოლო	33	12	12	9	41-38	48
8. ლაციო	33	13	9	11	44-42	48
9. კიევო	33	12	9	12	38-40	45
10. ტორინო	33	11	9	13	42-44	42
11. ჯენოა	33	11	7	15	38-41	40
12. ემპოლი	33	10	9	14	36-45	39
13. ატალანტა	33	9	10	14	34-41	37
14. ბოლონია	34	10	7	17	31-44	37
15. სამპდორია	33	9	9	15	46-50	36
16. უდინეზე	33	9	8	16	29-48	35
17. კარპი	33	7	10	16	33-51	31
18. ფროზინონე	33	8	6	19	31-61	30
19. პალერმო	33	7	7	19	29-61	28
20. ვერონა	33	3	13	17	28-56	22

ბომბარდირები: 30 - გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 15 - კარლოს ბაკა (მილანი), მაურო იკარდი (ინტერი); 14 - პაულო დიბალა (იუვენტუსი); 13 - იოსიპ ილიჩიჩი (ფიორენტინა).

ოთხშაბათი. 20 აპრილი

სასუოლო-სამპდორია 20:30

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: მისიროლი, ანტეი, ლარიბი, ტერანოვა, გაცოლა - კარბონერო, სალა, ივანი, კასანო

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 9 თამაში: +2=5-2, (12-11)

ემპოლი-ვერონა 22:45

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ლივაია, სკორუპსკი, ლაურინი - ფარესი, ჰელანდერი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 9 თამაში: +3=4-2, (6-6)

იუვენტუსი-ლაციო 22:45

დისკვალიფიკაცია: მორატა (იუვენტუსი)

ტრავმა: კასერესი, კიელინი, პერეირა, ნეტო, მარკიზიო - დე ვრი, რადუ, კიშნა, მაური, ბრაავჰეიდი

ბოლო 6 მატჩი

+6=0-0 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 52 თამაში: +27=12-13, (83-56)

რომა-ზორინო 22:45

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: დინე - აველარი, იმობილე, ასკუა, ბენასი, მაქსი ლოპესი

ბოლო 6 მატჩი

+3=3-0 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +16=9-2, (44-21)

კიევო-ფროზინონე 22:45

დისკვალიფიკაცია: მეჯორინი, კაჩატორე (კიევო)

ტრავმა: დაინელი, ფრეი, მპოკუ - სამარკო, დიონისი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 4 თამაში: +4=0-0, (8-1)

ჯენოა-ინზერი 22:45

დისკვალიფიკაცია: იძო - კონდოგბია

ტრავმა: ბურდისო, პანდევი, პერინი, რინკონი (ჯენოა)

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 24 თამაში: +5=5-14, (24-45)

პალერმო-ატალანტა 22:45

დისკვალიფიკაცია: გოლდანიგა - მაზიელო, კურტიჩი

ტრავმა: კარმონა, ბასი, პინილია (ატალანტა)

ბოლო 6 მატჩი

+0=1-5 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +6=6-7, (23-25)

უდინეზე-ფიორენტინა 22:45

დისკვალიფიკაცია: ფელიპე (უდინეზე)

ტრავმა: მერკელი, დი ნატალე, არმერო - ბენალუანი, ბაბაქარი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 40 თამაში: +13=7-20, (50-67)

სერიები

მოგებები: იუვენტუსი - 7
წაგებები: იუვენტუსი - 23
ფრეები: რომა - 2
მოუგებელი: პალერმო - 12
წაგებები: პალერმო - 3

ბურთის ფლობა

59,5%	ნაპოლი
58,7	ფიორენტინა
55,6	რომა
54,7	იუვენტუსი
54	ლაციო

საგოლე პასები

10	პიანიჩი (რომა)
10	ინსიგნიე (ნაპოლი)
9	საპონარა (ემპოლი)
9	პოგბა (იუვენტუსი)
8	დიბალა (იუვენტუსი)

ხუთშაბათი. 21 აპრილი

მილანი-კარპი 22:45

დისკვალიფიკაცია: კუტკა - გალიოლო

ტრავმა: ნიანგი - განორე, ბრკიჩი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +1=1-0, (2-1)

ჯურინი სკუდეტოს მოლოდინში

საჩემპიონო გზაზე ტურინის „იუვენტუსი", რომელმაც ბოლოს 69 შესაძლებელი ქულიდან მოიპოვა, საჩემპიონო გზაზე რომის „ლაციოს" შეეჩეხება.

დიდი ინტრიგა ტურინში

„იუვენტუსი" შესანიშნავ ფორმაშია, თამაშს თამაშზე იგებს და მორიგ სკუდეტოს უახლოვდება. თავის მხრივ, „ლაციოსაც" წარმატებული სერია აქვს, პროგრესი კი გუნდში ახალი მნვრთნელის დანიშვნას მოჰყვა. **სიმონე ინძაგის** 100%-იანი შედეგი აქვს, თუმცა ასეთი მძიმე გამოცდის წინ, ის არასდროს მდგარა. წესით, „იუვენტუს არენაზე" დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს და თითქოს, „ლაციოც" ჰგავს იმ გუნდს, რომელმაც ტურინულ გრანდს პრობლემები უნდა შეუქმნას...

ალვარო მორატაა დისკვალიფიცირებული და ამიტომ, „იუვენტუსი" **პაულო დიბალას** და **მარიო მანჯუკიჩის** ტანდემით შეუტევს. ტურინელებს **კლაუდიო მარკიზიო** დააკლდებათ, რომელმაც წინა ტურში უმძიმესი ტრავმა მიიღო და არათუ მოახლოებულ მატჩს გამოტოვებს, დაახლოებით 6 თვე მოუწევს უქმობა. მარკიზიოს არყოფნაში, ძირითად შემადგენლობაში **მარიო ლემინას** გამოჩენას უნდა ველოდოთ, რომელიც **სამი ხედირასთან** და **პოლ პოგბასთან** ერთად საყრდენ ხაზს გაამაგრებს. ისევ ტრავმირებულია **ჯორჯო კიელინი** და შესაბამისად, დაცვის ცენტრში **ანდრეა ბარძალისთან** და **ლეო ბონუჩისთან** ერთად, **დანიელე რუგანი** გაირჯება.

სიმონე ინძაგი 4-3-3 ტაქტიკას იყენებს, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **მიროსლავ კლოზეს** ეყრდნობა. ფლანგებიდან გერმანელს **ბალდე კეიტა** და **ანტონიო კანდრევა** დაეხმარებიან. ინძაგის თქმით, ფეხბურთელები მოტივირებულნი არიან, რომ სეზონი მაჟორულ ნოტზე დაასრულონ და „იუვენტუსს" იოლად არაფერს დაუთმობენ.

სავარაუდო შემადგენლობები

იუვენტუსი (3-5-2): ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, რუგანი - ლიხტშტაინერი, ხედირა, ლემინა, პოგბა, სანდრო - დიბალა, მანჯუკიჩი

ლაციო (4-3-3): მარკეტი - ბასტა, ბიშევაჩი, ჯენტილეტი, ლულიჩი - ონაზი, ბილია, პაროლო - კანდრევა, კეიტა, კლოზე

ინტერის რთული მისია

„ინტერს" რთული მისია აქვს, რადგან ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურს, „რომას" კი 4 ქულით ჩამორჩება. ამასთან, „ნერაძურის" „ჯენოასთან" უწევს სტუმრობა, გენუაში მოგება კი იოლი საქმე ნამდვილად არაა. **მაურო იკარდია** კარგ ფორმაში და სწორედ ის იქნება გამოკვეთილი ფორვარდი, სიღრმიდან კი **ივან პერისიჩი**, **მარტინს ედერი** და **როდრიგო პალასიო** დაეხმარებიან.

„რომა" „ტორინოს" უმასპინძლებს და შეეცდება, რომ ნავსი გატეხოს. ბოლო 2 შეხვედრაში, დედაქალაქელებმა 4 ქულა დაკარგეს და „ინტერს" ცხრილში მიახლოების საშუალება მისცეს. რომაელებს ცეცხლთან თამაში არ სურთ და ამიტომ, „ტორინო" აუცილებლად უნდა დაამარცხონ. თუმცა სურვილი ერთია, საქმეს კი „სტადიო ოლიმპიკოზე" ვნახავთ.

ლაშა წიკლაური

იტალიური ამბები

ჯოტი კოსმოსში?

„სქაი სპორტსის" ინფორმაციით, **ფრანჩესკო ტოტი** შესაძლოა, „ნიუ იორკ კოსმოსში" გადაბარგდეს. 39 წლის ფეხბურთელი „რომას", დიდი ალბათობით, სეზონის ბოლოს დატოვებს, რადგან კონფლიქტი აქვს გუნდის თავკაცს **ლუჩანო სპალეტისთან**. ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ სპალეტიმ დაიმუქრა, თუ ტოტის ხელშეკრულებას გაუგრძელებთ, მე გუნდიდან წავალო. ტოტი „რომას" აღზრდილია და მთელი კარიერა ამ კლუბში აქვს გატარებული, „იმპერატორს" „რომას" რეკორდი ეკუთვნის, როგორც თამაშების რაოდენობით, ასევე გოლებით.

პოგბა 100 მილიონზე ძვირფასია

„გაძეტასთან" ინტერვიუში „იუვენტუსის" თავკაცმა მასიმილიანო ალეგრომ განაცხადა, რომ გუნდისთვის უკეთესია შეინარჩუნოს პოლ პოგბა და არ აიღოს მის სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო. „გუნდს დიდი მომავალი აქვს, ამისთვის კი პოგბა აუცილებლად უნდა დარჩეს ტურინში", - განაცხადა ალეგრომ.

მორატი: რაფა შეცდომა იყო

მილანის „ინტერის" ყოფილმა პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** აღიარა, რომ **რაფა ბენიტესის** დანიშვნა შეცდომა იყო. ბენიტესი „ინტერში" 2010 წელს მივიდა. მას მერე, რაც **ჟოზე მოურინიომ** ერთდროულად სამი ტიტული მოიგო: *„ეს იყო შეცდომა, ჩვენ მის დროს ტერორის ვითარებაში ვცხოვრობდით"*. შეგახსენებთ, რომ ადრე დახლოებით იგივე თქვა **მარკო მატერაციმაც**. „ინტერის" ყოფილი კაპიტნის თქმით, ესპანელმა პირველი, რაც გააკეთა, ჟოზე მოურინიოს ფოტოები ჩამოხსნააგუნდის გასახდელიდან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კანტე იტალიაში მიდის

„ლესტერის" ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი **ნ'გოლო კანტე** შესაძლოა, სერია A-ში აღმოჩნდეს. ფრანგით იტალიური ფეხბურთის გრანდი „იუვენტუსი" დაინტერესდა. ტურინელებმა მუხლის სერიოზული ტრავმის გამო საკმაო ხნით დაკარგეს **კლაუდიო მარკიზიო** და ისედაც ფიქრობდნენ შუა ხაზის კიდევ უფრო გაძლიერებაზე. ერთიცაა, „ბებერ ქალბატონს" 25 წლის კანტეში ბევრი შემცილებელი ეყოლება და არც „მელიები" ისურვებენ ნ'გოლოს იაფად გაშვებას.

გიორგი კაკაბაძე

19 აპრილი

ესპანიოლი-სელტა 1:1

გოლები: 0:1 ასპასი (28), 1:1 ასენსიო (39)
ესპანიოლი (4-3-3): პაუ ლოპესი - ხ. ლოპესი, ა. გონსალესი, ო. დუარტე (71. როკო), რ. დუარტე - ვ. სანჩესი, დიოპი, აბრაამი (65. კასედო) - ე. პერესი, მორენო (80. ბურგუი), ასენსიო
სელტა (4-2-3-1): ს. ალვარესი - ხონი, კაბრალი, ს. გომესი, პლანასი - რადოია, მ. დიასი - ორელიანა (90. ბონგონდა), პ. ერნანდესი, ნოლიტო - ასპასი (70. გუიდეტი)
გაფრთხილება: სანჩესი - ერნანდესი
კუთხური: 2-2; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 8-3 (3-1); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.
მაყურებელი: 14 227

ბეტისი-ლას პალმასი 1:0

გოლი: 1:0 ვან ვოლფსვინკელი (83)
ბეტისი (4-2-3-1): ადანი - მოლინერო (57. სეხუდო), პეცელა, ბრუნო, ვარელა (66. ვან ვოლფსვინკელი) - პეტროში, ნ´დიაი - კადირი (53. მუსონდა), ხოაკინი, სებალიოსი - რ. კასტრო
ლას პალმასი (4-3-3): ლისოაინი - დ. გარსია, აიტამი, ბიგასი, გარიდო - ტანა (46. დ. სიმონი), ვისენტე, მონტორო - ნილი (70. ელ ჟარი), ვილიან ჟოზე, მომო (81. ერნანი)
გაფრთხილება: სეხუდო, ვან ვოლფსვინკელი - აიტამი, ვილიან ჟოზე
გაძევება: აიტამი (41)
კუთხური: 6-3; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 22-3 (8-0); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
მაყურებელი: 30 634

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	33	24	4	5	88-29	76
2. ატლეტიკო	33	24	4	5	57-16	76
3. რეალი	33	23	6	4	98-30	75
4. ვილიარეალი	33	17	9	7	42-28	60
5. ბილბაო	33	16	6	11	51-40	54
6. სელტა	34	15	9	10	47-54	54
7. სევილია	33	13	10	10	46-40	49
8. მალაგა	33	10	11	12	30-30	41
9. ეიბარი	33	11	8	14	45-49	41
10. სოსიედადი	33	11	8	14	41-44	41
11. ბეტისი	34	10	11	13	31-46	41
12. ლას პალმასი	34	11	7	16	38-46	40
13. ვალენსია	33	10	10	13	38-40	40
14. დეპორტივო	33	7	17	9	42-48	38
15. ესპანიოლი	34	10	7	17	35-63	37
16. ვალეკანო	33	8	10	15	45-65	34
17. გრანადა	33	7	9	17	33-60	30
18. სპორტინგი	33	7	8	18	33-54	29
19. ლევანტე	33	7	7	19	30-56	28
20. ხეტაფე	33	7	7	19	29-61	28

ბომბარდირები: 31 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 26 - ლუის სუარესი (ბარსელონა); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 22 - ქარიმ ბენზემა (რეალი)

ოთხშაბათი. 20 აპრილი

დეპორტივო-ბარსელონა 22:00

დისკვალიფიკაცია: ლოპო, არიბასი - პიკე
ტრავმა: ლუქსი, ალბერტო (?), რიერა (?), ფაბრისიო - რაფინია (?), სამპერი, მატიო, ვერმალენი, რამირესი, თურანი (?)

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 87 თამაში: +20=18-49, (101-194)

სპორტინგი-სევილია 22:45

დისკვალიფიკაცია: მასკარელი -
ტრავმა: კანელია, მენენდესი, ესპინოსა, ლორა (?), ბარერა (?), ვრანიეში (?) - ტრემულინა, გამეირო (?), ანდრეოლი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 73 თამაში: +27=11-35, (89-115)

მალაგა-ვალეკანო 22:45

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: კარლოსი, კამენი - კობენიო, ტონიო, პიტი, ებერტი, კრესპო (?), კასტრო (?)

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 17 თამაში: +7=2-8, (29-28)

ვალენსია-ეიბარი 22:45

დისკვალიფიკაცია: ბარაგანი -
ტრავმა: ჩერიშევი (?), ბაკალი, პიატი - ეკიზა, ხიმენესი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 3 თამაში: +2=1-0, (5-2)

ბილბაო-აზლეზიკო 22:45

დისკვალიფიკაცია: - გაბი
ტრავმა: მერინო, ლაპორტი, ადურისი - ტიაგო, ხიმენესი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 157 თამაში: +60=28-69, (240-249)

რეალი-ვილიარეალი 00:00

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: კარვახალი (?), ბეილი - მუსაჩო, სამუ, პინა (?), კოსტა (?)

ბოლო 6 მატჩი
+6=0-0 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 31 თამაში: +19=9-3, (66-28)

ხუთშაბათი. 21 აპრილი

სოსიედადი-ხეტაფე 22:30

დისკვალიფიკაცია: რული, ოლაზაბალი - ლეონი, სუარესი
ტრავმა: აგირეჩე, მარტინესი, კანალესი - პერეირა, კალა, ველასკესი (?), გოიტომი (?)

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები
სულ 17 თამაში: +4=7-6, (19-16)

გრანადა-ლევანტე 23:00

დისკვალიფიკაცია: - ხუანფრანი
ტრავმა: ფერნანდესი (?), ელ-არაბი (?), ლოპეში (?), როჩინა (?), მარკესი (?) - ფულკიე - ტონიო, ლოპესი

ბოლო 6 მატჩი
+0=4-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +3=1-5, (9-14)

დარჩენილი ტურები

ტური	ბარსელონა	ატლეტიკო	რეალი
XXXIV	დეპორტივო (ს)	ბილბაო (ს)	ვილიარეალი (შ)
XXXV	სპორტინგი ხ (შ)	მალაგა (შ)	ვალეკანო (ს)
XXXVI	ბეტისი (ს)	ვალეკანო (შ)	სოსიედადი (ს)
XXXVII	ესპანიოლი (შ)	ლევანტე (ს)	ვალენსია (შ)
XXXVIII	გრანადა (ს)	სელტა (შ)	დეპორტივო (ს)

სერიები

მოგებები: რეალი - 7
წაგებები: რეალი - 7
მოუგებელი: ხეტაფე - 13
წაგებები: ხეტაფე, ბარსელონა - 3
მშრალი სერია: ბილბაო - 2
უგოლო სერია: გრანადა, მალაგა

ბურთის ფლობა

62,6%	ბარსელონა
56,1	რეალი
55,1	სელტა
54	ვალეკანო
53,3	ლას პალმასი

საგოლე პასები

13	კოკე (ატლეტიკო)
12	სუარესი (ბარსელონა)
11	რონალდო (რეალი)
10	ბეილი (რეალი)
10	ნეიმარი (ბარსელონა)

ვიწყებთ თავიდან ან თითქმის თავიდან...

არ იუზრდელო, არ იმკითხავო და არ დაინტერესდე

თუკი დარჩენილ მატჩებს მოიგებს, ჩემპიონი მაინც „ბარსელონა" გახდება

ტოპ-5 ლიგებში ლა ლიგა ერთადერთია, სადაც მართლაც სასწორზეა ჩემპიონის საკითხი. საფრანგეთში დიდი ხანია, ჩემპიონი ცნობილია (პსჟ); იტალიაში (იუვენტუსი) და გერმანიაში (ბაიერნი) ეს მალე გაცხადდება; მცირე ინტრიგა კიდევ რჩება ინგლისში, სადაც „ლესტერს" „ტოტენჰემი" ხუთ ქულაში მიჰყვება, მაგრამ ეს ახლოსაც ვერ მოვა იმ სიტუაციასთან, რაც ესპანეთის სამ გრანდს შორისაა ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე.

საჩემპიონო სამეული

სიმართლე ითქვას, რომ არა „ბარსელონას" კრიზისი, არც ლა ლიგა დაიძაბებოდა, მაგრამ **ლუის ენრიკეს** გუნდმა ზედიზედ ბოლო სამ ტურში წააგო და უპირატესობაც საპნის ბუშტივით გაქრა. „ბარსა" „ატლეტიკოს" ქულებით ვეღარ უსწრებს, ხოლო „რეალს" მხოლოდ ერთი ქულა აშორებს ჩემპიონთან.

საჩემპიონო ბრძოლა თავიდან კი იწყება, მაგრამ კატალონიელებს ერთი უპირატესობა შერჩათ - მათი ბედი ისევ მათ ხელშია - თუკი „ბარსელონა" დარჩენილ ხუთ მატჩს მოიგებს, ჩემპიონი გახდება, რადგან „ატლეტიკოს" ურთიერთშეხვედრებში სჯობს. იგივე იქნება, თუ „ატლეტიკო" ჩამორჩება და „რეალი" შეძლებს ქულებით გათანაბრებას, ასე რომ, ჩემპიონი კვლავ პირველ ფავორიტად რჩება.

ლუის ენრიკე: მიმიფურთხებია

სწორედ ეს ფავორიტი, რომელიც საშინელ ფორმაშია, ლა კორუნიას სტუმრობს. მართალია, „დეპორტივომ" უკვე თითქმის გაინაღდა დარჩენა, მაგრამ ის კატალონიური გრანდისთვის ისტორიულად პრინციპული მეტოქეა. წარსულს მრავალი დიდი მატჩი ახსოვს ამ გუნდებს შორის. „ბარსას" სისუსტე ახლა ცუდი ფორმაა, ლუის ენრიკემ რაღაც უნდა შეცვალოს. მეორე მხრივ, კატალონიელებს აღარ აღელვებთ მეორე ფრონტი, რომელსაც უდიდესი ენერგია მიაქვს - ჩემპიონთა ლიგა. შეუძლიათ სრული კონცენტრაცია ლა ლიგის მატჩებისთვის.

ლუის ენრიკე: *„პირველ რიგში, „დეპორტივოს" უნდა მოვუგოთ და აღვიდგინოთ დაკარგული პრესტიჟი. სტუმრად მოგება ყოველთვის ძნელია და „დეპორთან" ბოლო მატჩიც ცუდად გვახსენდება. თუ ისე ვითამაშებთ, როგორც „ვალენსიასთან", ამჯერად, სულ სხვა შედეგი იქნება. ჟურნალისტ მალოს კი ბოდიშს არ მოვუხდი. მე შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია და თუ თქვენ ჩემი სტილი არ მოგწონთ, რბილად რომ ვთქვა, მიმიფურთხებია ამისთვის".*

სიმეონე: მკითხავი არ ვარ

დიეგო სიმეონეს გუნდი მეცხრე ცაზეა - დეკლარირებულ მიზანს სიმეონემ უკვე მიაღწია - ვინ წაართმევს „კოლჩონეროს" მესამე ადგილს? თუმცა, ყველამ ვიცით, რომ გუნდი გაცილებით მეტისთვის იბრძვის. ამ გზაზე კი თანალიდერს ძალიან რთული ბრძოლა ელის ევროსაგზურისთვის მებრძოლა, ევროპალიგიდან გამოვარდნილ დაჭრილ „ატლეტიკთან". თანაც, თამაში ბილბაოში, „სან მამესზეა".

დიეგო სიმეონე: *„მკითხავი არ ვარ, ძნელია, იმის თქმა, რა იქნება მომავალში. მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ „ატლეტიკოს" ბედი ჩვენს ხელშია. სამეული უკვე გავინაღდეთ, ახლა მიზანი უფრო მაღალ ადგილზე ჩემპიონატის დასრულებაა. „ბილბაოსთან" რა შემადგენლობით ვითამაშებთ, ხვალ გადავწყვეტ".*

ზიდანი: ბარსელონაზე არ ვფიქრობ

ზინედინ ზიდანის გუნდი „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ვილიარეალს" მასპინძლობს, სეზონის აღმოჩენას, რომელმაც თითქმის მოიპოვა მე-4 ადგილი და ამიტომაც, ცოტა, უმოტივაციოა. მაინც არა გვგონია, „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" იოლად დათმოს რამე. ზიდანი კი ჯერ სათანადოდ გამოცდილი მწვრთნელი არაა, რომ სტუმრების ყველა „ტორპედო" წინასწარ ამოიცნოს - „რეალი" ფრთხილად უნდა იყოს. მით უფრო, რომ მცირე ტრავმის გამო გუნდს **გარეთ ბეილი** დააკლდება.

ზინედინ ზიდანი: *„ამბობენ, რომ „რეალი" ყველა დარჩენილ მატჩს მოიგებს. მე კი გეტყვით, რომ ჩვენ ჯერ არაფერი მოგვიგია. მთელი ბრძოლა წინ გველის. ჯერ ერთი, „ბარსელონას" და „ატლეტიკოს" თავად შეუძლიათ ქულის დაუკარგავად დასრულება. ასე რომ, მოდუნების მიზეზი არ გვაქვს. „ბარსელონაში" კრიზისია? ვერ გეტყვით, რადგან მე ამ გუნდზე არ ვფიქრობ. ჩვენი მეტოქე „ვილიარეალი" ძალიან კარგი გუნდია. მასთან ბრძოლა ძალიან ძნელია. ის დაცვაშიც კარგია და ისეთი შემქმნელი ფეხბურთელებიც ჰყავს, როგორიც დენის სუარესია".*

ესპანური ამბები

ვის შეხვდა რონალდო პარიზში?

„ფრანს ფუტბოლის" ინფორმაციით, მადრიდის „რეალის" ფორვარდი **კრიშტიანო რონალდო** პარიზულ სასტუმროში საიდუმლოდ შეხვდა პსჟ-ს პრეზიდენტ **ნასერ ალ-ხელაიფის**. ეს 13 აპრილს მოხდა, მას მერე, რაც რონალდომ „ვოლფსბურგის" კარში ჰეთ თრიკი შეასრულა. პარიზული კლუბი ამ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებს. თუმცა, დიდი ხანია, რაც პორტუგალიელს „პარი სენ-ჟერმენს" უკავშირებენ.

ფეისბუქი საუკეთესოებს გამოავლენს

„ფეისბუქის" საფეხბურთო ნომინაციები პირველად გამოავლენს ესპანეთში საუკეთესო ფეხბურთელებს. საუკეთესოები სულ 9 სხვადასხვა კატეგორიაში გამოვლინდება, თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაა. სულ 6 ნომინანტია: **იან ობლაკი** (ატლეტიკო), **დიეგო გოდინი** (ატლეტიკო), **სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა), **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **ლუის სუარესი** (ბარსელონა), **კრიშტიანო რონალდო** (რეალი).

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ფეხბურთელები, რომლებიც ევრო 2016-ს უკვე დააკლდნენ

კლაუდიო მარკიზიო მოედნიდან საკაცით გაიყვანეს

დიდი საფეხბურთო ფორუმის წინ, განსაკუთრებულად დასანანია, როდესაც მოთამაშე მძიმე ტრავმას იღებს და შესაბამისად, ევროპის, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება უწევს. წინ, ევრო 2016-ია და უკვე გამოჩნდნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც დააკლდებიან საფეხბურთო დღესასწაულს.

კლაუდიო მარკიზიოს ტრავმამ მთელი საფეხბურთო იტალია დააღონა, რადგან „სკუადრა აძურას" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ლიდერი დააკლდა. 30 წლის ნახევარმცველმა ჯვარედინი მყესი გაიწყვიტა და 6-თვიანი სარეაბილიტაციო კურსი აქვს გასავლელი, ევროპის ჩემპიონატი კი ორ თვეში იწყება და ბუნებრივია, რომ იქამდე გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს.

იტალიის ნაკრებს **მატია პერინიც** დააკლდა, რომელიც **ჯანლუიჯი ბუფონის** დუბლიორად უნდა ნასულიყო საფრანგეთში, თუმცა მანაც უმძიმესი ტრავმა მიიღო და მასაც 6 თვე მოუწევს მკურნალობა. „აძურაში" მეორე მეკარე ალბათ **სალვატორე სირიგუ** იქნება, 23 წლის პერინი კი შესაძლოა 17 წლის **ჯანლუიჯი დონარუმამ** ჩაანაცვლოს.

აპრილში, მძიმე ტრავმა მიიღო **ფაბიო კოენტრაომ** და ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრებს ვერ დაეხმარება. მართალია, კოენტრაოს დიდი ხანია ჩავარდნა აქვს, რის გამოც „რეალიდან" „მონაკოში" გაუშვეს, მაგრამ პორტუგალიის ნაკრებისთვის მაინც დიდი ძალაა.

პორტუგალიის დანაკლისი ამით არ მთავრდება - პირენეელებს ევროფორუმზე არც **დანის** იმედი ექნებათ, რომელიც „ზენიტის" ერთ-ერთი ლიდერია, „სპარტაკთან" შეხვედრაში კი მუხლის ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვე მოუწევს უქმობა. იმავე პრობლემის გამო, დანიმ ევრო 2012 გამოტოვა და ვერც მოახლოებულ ტურნირზე ითამაშებს.

ქარიმ ბენზემა საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ **მატიო ვალბუენას** შანტაჟისა და შესაბამისად, სკანდალში გახვევის გამო, მოკვეთეს ეროვნული ნაკრებიდან. მოკლედ, ბენზემას არც მუხლი აწუხებს და არც მყესი გაუწყვიტავს, მაგრამ თავში აქვს პრობლემები და ამიტომ, ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს. საფრანგეთს ვერც **კურტ ზუმას** იმედი ექნება, ახალგაზრდა მცველის, რომელმაც „ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და ყველა პროგნოზით, საფრანგეთის ნაკრების განაცხადში უნდა მომხვდარიყო, თუმცა მუხლის მძიმე ტრავმამ ამის შანსი მოუსპო.

ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრება ირლანდიელი მეკარე **რობ ელიოტი**, რომელიც ტრავმის მიღებამდე „ნიუკასლის" ძირითად შემადგენლობაში შესანიშნავად ირჯებოდა და ბოლო პროგნოზით, სწორედ ის უნდა ყოფილიყო ნაკრების ძირითადი მეკარე და არა 40 წლის **შეი გივენი**. თუმცა, ელიოტი დაშავდა და გეგმებიც შეიცვალა.

კიდევ ერთი მეკარე, რომელიც ევროფორუმზე ვერ გაემგზავრება, **ჯეკ ბატლენდია**, რომელიც ინგლისის ნაკრებში **ჯო ჰარტის** მთავარი დუბლიორი უნდა ყოფილიყო. 23 წლის უნიჭიერეს მეკარეს „სტოკში" შესანიშნავი სეზონი ჰქონდა და ჰარტთან ერთად, **როი ჰოჯსონი** სწორედ მასზე ამყარებდა იმედებს, თუმცა ტრავმამ ბატლენდი ევროპის ჩემპიონატის გარეშე დატოვა.

ცუდი ამბავი შეემთხვა **კრის ბრანტს**, 31 წლის მცველს, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიასთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე მოხვდა და შესაძლოა, ეს მისი ბოლო შანსი იყო, რომ დიდ საფეხბურთო ფორუმზე ეთამაშა. „ვესტ ბრომვიჩის" მარცხენა მცველი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო და შესარჩევ ეტაპზეც ბევრი იბრძოლა, თუმცა მუხლის მძიმე ტრავმა მისთვის ფატალური გამოდგა.

ლაშა წიკლაური

სავარაუდო ტრანსფერი

პაპენი გრიზმანს: დარჩი მადრიდში

„ჩელსი" **ანტუან გრიზმანს** არ ივიწყებს და ლონდონელები აპირებენ ფრანგი ფეხბურთელის შესაძენად ბრძოლა გააგრძელონ. 25 წლის გრიზმანს ამ სეზონში „ათლეტბის" მაისურით ჩატარებულ 46 შეხვედრაში (ყველა ტურნირზე) 29 გოლი აქვს გატანილი და **დიეგო სიმეონეს** მთავარი ჯარისკაცია. „ლურჯებს" „ათლეტბთან" კარგი საქმიანი ურთიერთობა კი აქვთ აწყობილი, მაგრამ „ჩოლოს" დიდი ალბათობით, გრიზმანის გაშვება არ ენდომება. ლონდონური კლუბი კი შეეცდება **დიეგო კოშტაც** ჩართოს შესაძლო ტრანსფერში, რომლის „ვისენტე კალდერონზე" დაბრუნების საწინააღმდეგოც „ატლეტიკოში" არაფერი აქვთ. ამაზე ცოტა ხნის წინათ, კლუბის პრეზიდენტმა **ენრიკე სერესსომაც** ისაუბრა.

აი, ლეგენდარული ფრანგი თავდამსხმელი **ჟან-პიერ პაპენი** კი გრიზმანს „როხიბლანკოდ" დარჩენას ურჩევს და ვერ ხედავს მიზეზს თუ რატომ უნდა დატოვოს მისმა თანამემამულემ კლუბი, რომელიც ყოველწლიურად მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და რომელშიც ძირითადში თამაში გარანტირებული აქვს. თანაც, გადავიდეს გუნდში, სადაც შესაძლოა, მეტი კონკურენცია იყოს, გუნდში, რომელიც შემდეგ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე არ იქნება.

„დატოვო „ატლეტიკო", რომელიც ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგაზეა და ლა ლიგაში „ბარსელონასა" და „რეალს" ტოლ-სწორად ებრძვის, ალოგიკური მგონია. ვერ ვხვდები, რატომ უნდა გაირთულოს საქმე ანტუანმა, არ მგონია ზაფხულში იგი სადმე წავიდეს. გრიზმანისთვის ერთგულებაც მნიშვნელოვანი ფაქტორია და თუ უკვე დიდ გუნდში თამაშობ, რატომ უნდა წახვიდე?" - აღნიშნა პაპენმა.

გიორგი კაკაბაძე

ანტუან გრიზმანის ხელში ჩაგდება „ჩელსის" ძალიან სურს

ამბები

ორი მუსა დემბელე ერთ გუნდში?

„ტოტენჰემს" უკვე ჰყავს ერთი **მუსა დემბელე** და მეორის დამატებაზეც ფიქრობს. „ფულჰემის" 19 წლის შემტევით, რომელიც ჩემპიონშიპში მშვენიერ სეზონს ატარებს, პრემიერლიგის არაერთი კლუბია დაინტერესებული. თუმცა „დეზების" შანსები მცირდება, მას მერე, რაც საქმეში აქტიურად ჩაერთო მათი შეძლებული თანაქალაქელი „ჩელსი". როგორც ირკვევა, ნორჩი დემბელე „ლურჯებისა" და „სიტის" მატჩზე იყო დაპატიჟებული და დაესწრო კიდეც „სტემფორდ ბრიჯზე" გამართულ შეხვედრას. იგი „ჩელსის" წინადადებით დაინტერესებულია.

მოლაპარაკება გადაიდო

ლონდონის „არსენალს" **ალექსის სანჩესთან** და **მესუთ იოზილთან** ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები სეზონის ბოლომდე გადაიდო. ფეხბურთელებს სურთ, იმაში დარწმუნდნენ, რომ „მეთოფეთა" ხელმძღვანელობა სწორ ნაბიჯებს გადადგამს, კარგ ტრანსფერებს განახორციელებს და შემდეგ სეზონში კლუბს ტიტულებისთვის ბრძოლის რეალური შანსი ექნება. სხვა შემთხვევაში, ისინი წასვლაზე იფიქრებენ. ალექსის სანჩესს უკვე აქტიურად ექაჩება და მიუნხენში ეპატიჟება მისი თანამემამულე **არტურო ვიდალი**. ჩილელი შემტევის საწინააღმდეგო, სავარაუდოდ, არც „ბაიერნის" ახალ მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის** ექნება რამე.

კეინი გრანდებს სურთ

„რეალი" და „ბაიერნი" „ტოტენჰემის" თავდამსხმელით **ჰარი კეინით** დაინტერესდნენ. მადრიდელები და მიუნხენელები აპირებენ, უახლოეს მომავალში ოფიციალურად შეეხმიანონ „დეზებსა" და კონკრეტულად 22 წლის ინგლისელ ფორვარდს, რომელიც ამჟამად 24 გოლით პრემიერლიგის ბომბარდირთა სათავეშია. სავარაუდოდ, კლუბი კეინის გაყიდვას არ ისურვებს, რადგან „ტოტენჰემს" შორსმიმავალი გეგმები აქვს, მაგრამ ფასსაც გააჩნია... თავად ჰარიც, რომელიც იქ გაზრდილია, თავისი ნებით ამ ეტაპზე ნაკლებად ისურვებს „უაით ჰართ ლეინის" დატოვებას.

მაინც სიტი?

„დორტმუნდი" აღარ უარყოფს, რომ „მანჩესტერ სიტი" **ილქაი გიუნდოგანითაა** დაინტერესებული. როგორც ჩანს, მხარეები შეთანხმებასთან მართლაც ძალიან ახლოს არიან და 25 წლის ნახევარმცველი „ქალაქელების" ახალი მთავარი მწვრთნელის **ხოსეპ გვარდიოლას** პირველი შენაძენი გახდება. გარდა ამისა, პეპი ბუნდესლიგაში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს უტრიალებს და „ეტიჰადზე" მათ გადაყვანაზეც იმუშავებს.

ფორსტერი ჩელსის სამიზნეა

ლონდონის „ჩელსი" მეკარის ძიებაშია, რადგან **ტიბო კურტუას** შესაძლო წასვლის შემთხვევაში (**ასმირ ბეგოვიჩიც** გუნდის დატოვებით იმუქრება), რთულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. თუ აქამდე „ლურჯთა" სკაუტები ინგლისს ფარგლებს გარეთ ეძებდნენ გოლკიპერს, ახლა შიდა ბაზარსაც გადაავლეს თვალი და უცბად აღმოაჩინეს, რომ „საუთჰემპტონისა" და ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი მეკარე **ფრეიზერ ფორსტერი** არცთუ ურიგო ვარიანტი იქნებოდა. მართალია, ფორსტერი 23 წლის კურტუაზე 5 წლით უფროსია, მაგრამ მეკარისთვის ეს ჯერ კიდევ ადრეული ასაკია.

გიორგი კაკაბაძე

ვენგერის მორიგი ბრილიანტი

ალექს აივობი პირდაპირ ქარიშხალივით შევარდა ინგლისური ფეხბურთის ძალიან კონსერვატიულ სამყაროში. პრემიერლიგაში ისეთი სეზონი გამოდის, არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს, თუმცა 19 წლის ნიგერიელი, სერ **არსენ ვენგერის** მიერ ნაპოვნი ბრილიანტი, მართლაც რომ ყველას აკვირვებს, უფრო ბოლო მატჩებში.

ოკოჩას პროტეჟე, არსენის რჩეული

როგორი საქმეა, სეზონის გადამწყვეტი ნაწილი დგას. ვენგერის გუნდი პრემიერლიგაში საუკეთესოობის ერთ-ერთი საუკეთესოობისთვის იბრძვის. ამ დროს ფეხბურთში ყველაფრის მნახველი ფრანგი მოსიე სათადარიგოთა სკამზე ტოვებს **არონ რემსისა** და **ოლივიე ჟირუს**. „ვესტ ჰემთან" შეხვედრაში აივობი თამაშობს და დიდებულადაც. მაინც ვინ არის არსენის ახალი აღმოჩენა?

ის დაიბადა ლაგოსში, თუმცა არაერთი ნიგერიელი ვარსკვლავის მსგავსად მას ამ ქალაქის ხალხმრავალ და ჭუჭყიან ქუჩებში არ უდევნია ბურთისათვის. 4 წლის იყო ალექსი, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ინგლისში გადავიდა და ჩვენი წერილის გმირმა ფეხბურთის თამაში ხავერდივით მინდვრებზე ისწავლა.

მაგალითისათვის, ალექსს შორს წასვლა არ სჭირდება. მას ისეთი ახლო ნათესავი ჰყავს, როგორიცაა ახლო წარსულში დიდებული ნიგერიელი ფეხბურთელი, **ჯეი-ჯეი ოკოჩა**.სწორედ მისი რეკომენდაციით მიიღეს პატარა ალექსი „არსენალის" საფეხბურთო აკადემიაში. სხვათა შორის, უნდა გახსოვდეთ, რომ თავის დროზე ნიგერიის ისტორიაში ერთი საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ „მეთოფეთა" ღირსებას იცავდა.

„ის ჩემთვის ყველაფერია. სულ ვგრძნობ, რომ გვერდით მიდგას. ძალიან განიცდის ყველაფერს, რაც ჩემს კარიერასთანაა დაკავშირებული." - ასე თქვა ოკოჩას შესახებ აივობიმ. დაკვირვებული თვალი მათ შორის არაერთ მსგავსებას აღმოაჩენს. თუნდაც პასის კულტურა, ძალიან თავისებური ტექნიკა და პლასტიკა ავიღოთ.

ალექსმა „არსენალის" საკლუბო სტრუქტურის ყველა საფეხური გაიარა. მას არასოდეს დაავიწყდება 2013 წლის 25 სექტემბერი. სწორედ ამ დღეს ჰქონდა აივობის დებიუტი"მეთოფეთა" შემადგენლობაში. ეს მოხდა ლიგის თასზე, „ვეს ბრომვიჩთან" გამართულ შეხვედრაში.

2015 წელს „არსენალმა" ფეხბურთელთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტი გააფორმა. რა თქმა უნდა, ეს არსენ ვენგერის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. *„ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ისეთ გუნდში თამაში, როგორიც „არსენალია". ჩემთვის დიდი პატივია ის ნდობა, რასაც კლუბის ხელმძღვანელობა მიცხადებს.*

ვეცდები, ბოლომდე გავამართლო გაცემული ავანსები. „არსენალთან" ერთად ბევრი ტიტულის მოგება მსურს." - თქვა მაშინ ახალგაზრდა ნიგერიელმა. ტიტულების რა მოგახსენოთ და, გაცემულ ავანსებს ის ძალიან სწრაფად ამართლებს.

„ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან დიდ ტალანტთან. მე მხიბლავს მასთან მუშაობა და ზუსტად ვიცი, რომ ჩვენი შრომა შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ის დაბადებულია ფეხბურთისათვის." - თქვა თავის დროზე არსენ ვენგერმა. ფრანგი სიტყვებს ჰაერზე არასოდეს ისვრის.

ფესვების ამბავი

თუ ალექსს მთელი კარიერა ერთ კლუბში აქვს გატარებული, იმავეს ვერ ვიტყვით ნაკრების შესახებ. ინგლისის ასაკობრივი ნაკრებების დამრიგებლებს თვალთახედვის არედან არ გამოჰპარვიათ ნიჭიერი ბიჭი. აივობიმ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გარდა ამ ქვეყნის იუნიორთა ყველა ნაკრებში ითამაშა.

ბოლოს, საფუძვლიანი და საბოლოო არჩევანის გაკეთების დრო რომ დადგა, ალექსმა მაინც ნიგერია აირჩია. ჩვენ ამ საკითხზე შეგვიძლია, მხოლოდ შორიდან ვიმსჯელოთ. ვერ ვიტყვით, რომ ალექსს ინგლისის ნაკრებში მოხვედრის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ასეთი არჩევანი გააკეთა.

როგორც ჩანს, მაინც ფესვების ძალამ გააკეთა თავისი. მეორეც, ოკოჩას ფაქტორიც არ უნდა გამოვრიცხოთ. ფაქტია, ნიგერიას გარკვეული პაუზის შემდეგ ძალიან მაგარი თაობა ჰყავს, თუნდაც, შემტევები - **ოდიონ იგალო**, ალექს აივობი და სხვები.

აივობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2015 წლის 8 ოქტომბერი. მაშინ ბელგიის ქალაქ ვიზეში ნიგერიამ ამხანაგური შეხვედრა 2:0 მოუგო კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს. აივობი მინდორზე 75-ე წუთზე გამოჩნდა, მან **აჰმედ მუსა** შეცვალა.

„მშობლიური ქვეყნის ნაკრების მაისურით თამაში განსაკუთრებული ბედნიერებაა. უნდა გამოვტყდე, მთელი ღამე არ მეძინა თამაშის წინ." - თქვა აივობიმ. ნიგერიას მაგრად გაუმართლა, ხელში ასეთი ტალანტი რომ ჩაიგდო.

ალექსი ძალიან კარგი ბიჭია. არ უყვარს სკანდალები და არ ჰგავს ბევრ აფრიკელ ვარსკვლავს, თავში სიო კი არა, ქარიშხალი რომ უქრის. ცხადია, ეს ძალიან დიდი პლუსია.



ალექს აივობი

ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲐ

ᲐᲛ ᲑᲘᲭᲛᲐ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ!

რას მოუყვება შვილიშვილებს ხერონიმო რული?

ხერონიმო რული

„ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲡ" ბოლო წლებში ძალიან უჭირს სან სებასტიანში თამაში. კატალონიურ გრანდს ბასკეთში ამჯერადაც გაუჭირდა. „სოსიედადის" ყველა ფეხბურთელმა თავი დადო გოლიათის შესაჩერებლად, თუმცა მაინც უნდა გამოვარჩიოთ ერთი ფეხბურთელი, ვინც **ლუის ენრიკეს** და მის ბიჭებს განსაკუთრებით მოუშალა ნერვები. ეს გახლავთ „სოსიედადის" ახალგაზრდა არგენტინელი მეკარე, **ხერონიმო რული**. მან ამ შეხვედრაში რამდენიმე მეფური „სეივი" შემოგვთავაზა.

რული 23 წლისაა. ის „სოსიედადში" ოჯარის წესით თამაშობს. მისი სატრანსფერო უფლებები ბრაზილიურ-ინგლისურ საინვესტიციო ფონდს ეკუთვნის. ფორმალურად ის ურუგვაის მეორე დივიზიონის კლუბის, „დეპორტივო მალდონადოს" კუთვნილებაა.

2014 წელს ის ამ გუნდში „ესტუდიანტესიდან" მივიდა, მაგრამ არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია. მერე იყო ბასკეთი. ზაფხულში მისი ყიდვა „ვალენსიას" უნდოდა, თუმცა ბევრისათვის მოულოდნელად, რულიმ „სოსიედადში" დარჩენა გადაწყვიტა.

ნოემბერში „სოსიედადმა" 0:4 წააგო „ბარსელონასთან". მაშინ რულიმ თქვა, რომ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხების მიუხედავად, ის ძალიან ბედნიერია. *„გავა ბევრი წელი. მე მეყოლება შვილიშვილები და მე მათ ვუამბობ, როგორ ვითამაშე დიდებული „ბარსელონას" წინააღმდეგ, როგორ იყვნენ ჩემი მონინააღმდეგეები მესი, ნეიმარი და სუარესი. „ბარსელონა" ფეხბურთში ცალკე სამყაროა და მე ბედნიერი ვარ, რომ ამ სამყაროსთან უშუალო შეხება მქონდა. მხოლოდ ამ დღისთვის ღირდა ჩემი ფეხბურთელობა. ღმერთს მადლობა, რომ ეს დღე დადგა."* - თქვა მაშინ რულიმ.

საინტერესოა, ახლა რას მოუყვება შვილიშვილებს რული. მით უმეტეს, მოსაყოლი ახლა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მაშინ იყო. ახლა ის „ბარსელონას" თითოეულ ფეხბურთელს ძალიან კარგად ახსოვს.

სხვათა შორის, რულის ყველა ახასიათებს, როგორც ძალიან თავმდაბალ წესიერ და მშრომელ ადამიანს. ამაზე მისი სიტყვებიც ნათლად მეტყველებს. *„მე გამიმართლა, რადგან შევძელი და ფეხბურთელი გამოვედი. ეს ოცნება ამიხდა. არ უნდა დავივიწყოთ ისინი, ვინც ეს ვერ შეძლო. სულ ვეკითხები ჩემს თავს, რა გამომარჩევდა მათგან და ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ვიღებ - მე მეტს ვშრომობდი."*

რულის კარიერა აღმა მიდის. მას არგენტინის ნაკრებში უკვე დაუძახეს, თუმცა ჯერ მისი დებიუტი „ალბისელესტეში" არ შემდგარა. ახალგაზრდა გოლკიპერი დიდი მოთმინებითა და იმედით ელის ამ დღეს.

„ზუსტად ვიცი, რომ შანსი მექნება. მე არსად მეჩქარება და მზად ვარ, ბოლომდე ვიბრძოლო ამ შანსისათვის. როგორც ყველა არგენტინელისათვის, ჩემთვისაც უძვირფასესი გუნდია ეროვნული ნაკრები. რაც თავი მახსოვს, მისი თავგადაკლული ქომაგი ვარ და ტელეეკრანთანაც ბევრი ღამე გამიტეხია." - ამბობს ხერონიმო.

ისევ „ბარსელონასთან" შეხვედრას დავუბრუნდეთ. სან სებასტიანში გამართულ შეხვედრაში არგენტინელმა მეკარემ ექვსჯერ იხსნა თანაგუნდელები. ამათგან სამ შემთხვევაში ბასკთა კარში გოლი გარდაუვალი ჩანდა.

„ფეხბურთელის კარიერაში არის კარგი და ცუდი მატჩები. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი დღე იყო." - ამბობს თამაშის გმირი და იქვე ამატებს, რომ განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენია. ეს მისი აზრია, მაგრამ ერთი კატალონიელებსაც ვკითხოთ. მათ უმნიშვნელოვანესი შეხვედრა წააგეს, რითაც „ატლეტიკოსა" და „რეალს" მიახლოების საშუალება მისცეს.

რა თქმა უნდა, თუ ასე გაგრძელდა, „სოსიედადს" არგენტინელის შენარჩუნება გაუჭირდება. სხვათა შორის, ბასკური კლუბი განთქმულია კარგი მეკარეებით. რაღა შორს წავიდეთ, სწორედ ბასკეთში დაიგდო დიდი სახელი „ბარსას" ამჟამინდელმა კარის დარაჯმა, ჩილელმა **კლაუდიო ბრავომ**.

ზემოთ არგენტინის ნაკრებზე ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, „ალბისელესტეს" უამრავი დიდებული ფეხბურთელი ჰყავს. ამ გუნდში თითოეულ პოზიციაზე უდიდესი კონკურენციაა. შეიძლება, გამორჩეული იყო კლუბში და სანაკრებო მატარებელმა ჩაგიქროლოს.

ერთადერთი პოზიცია, სადაც კონკურენცია შედარებით ნაკლებია, მეკარის პოზიციაა, ეს კი რულის შანსებს კიდევ უფრო ზრდის. თუ სასწაული არ მოხდა, მას აუცილებლად ვიხილავთ ამ ზაფხულს გასამართ „კოპა ამერიკაზე" სადაც, ცხადია, არგენტინა მხოლოდ უმაღლესი მიზნებისათვის იბრძოლებს.

ახლა ცოტა რამ რულის წარსულზე. ის „ესტუდიანტესის" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია. კარიერა ამ კლუბში დაიწყო, თუმცა ძირითადში ეგრევე მოხვედრა გაუჭირდა, რადგან კარს გამოცდილი მეკარეები, **ხუსტო ვილარი** და **აუგუსტინ სილვა** იცავდნენ.

მერე მან მაინც მიაღწია მიზანს. ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები ხელში იმ ფონდმა ჩაიგდო, რომელზეც ზემოთ დავწერეთ და შედგა ძალიან საეჭვო ტრანსფერი ურუგვაულ კლუბში, რათა ფეხბურთელი იაფად გაყიდულიყო ევროპაში.

ჯერ სულ ესაა. ხერონიმო რულიზე მოსაყოლი კიდევ გვექნება. ის მხოლოდ ახლა იწყებს.

გვერდი მოამზადა
ალეკო ᲙᲐᲙᲐᲣᲠᲘᲫᲔ

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

მსროლელები ოლიმპიურ ბაზებს ზვერავენ

ნინო სალუქვაძე

რიო დე ჟანეიროში მიმდინარეობს მსოფლიოს თასი სროლის სახეობებში, თუმცა იქ ჩვენგან მხოლოდ ტყვიის მსროლელები გამოდიან, სულ სამი სპორტსმენი. ესაა ერთგვარი სატესტო შეჯიბრება, როგორსაც ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში თამაშების პროგრამაში შეტანილ სპორტის ყველა სახეობაში ატარებენ შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციები. ამით პოტენციური ოლიმპიელები ეცნობიან იმ ბაზებს, სადაც თამაშების დღეებში მოუწევთ ასპარეზობა. თავის მხრივ, ორგანიზატორებიც ამოწმებენ საკუთარ შესაძლებლობებს, რამდენად მზად არიან ისეთი დიდი ღონისძიების მასპინძლობისთვის, როგორიც ოლიმპიური თამაშებია, რათა ყველა მოსალოდნელი პრობლემა წინასწარ გათვალონ, გაიარონ ერთგვარი რეპეტიცია და უშუალოდ შეჯიბრებისას არ შეექმნათ რაიმე პრობლემა.

შეჯიბრება უკვე დამთავრდა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში და სპორტულიდან ვაჟთა შორის, ქალები კი ამ დისციპლინაში წუხელ, თბილისის დროით გამთენიისას ჩაებმებოდნენ.

ერთი შეხედვით, ჩვენები პნევმატურში ურიგოდ არ გამოსულან, თუმცა ფინალში მაინც ვერ მოხვდნენ. მაგალითად, ევროპის სამგზის, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** საკვალიფიკაციო ეტაპზე 383 ქულა დააგროვა, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არაა, მაგრამ მაინც მე-12 ადგილზე გავიდა და ფინალურ ოქტეტში ვერ მოხვდა. თუმცა ის დამატებითი მაჩვენებლებით გამოაკლდა მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს, თორემ 383 გამსვლელი აღმოჩნდა - სწორედ ამ მაჩვენებლით ფინალში მერვე მონაწილედ შევიდა ტაივანელი მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ჩია ინ ვუ**. მთლიანობაში, 383 ქულა ექვსმა მსროლელმა დააგროვა, მაგრამ ბედმა მხოლოდ ვუს გაუღიმა. სალუქვაძეს სულ რაღაც ერთი ქულაც ჰყოფნიდა ფინალის საგზურისთვის. არადა, ეს ნამდვილად შეეძლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაზე ცუდად ბოლო სერიაში ისროლა, როცა მთელ ეტაპზე ანუ 40 გასროლიდან ერთადერთი 8-იანი გამოურია, ისიც ბოლოსწინა გასროლაში. თუმცა მდგომარეობის გამოსწორება ბოლო ტყვიაშიც შეეძლო, ათიანში თუ გაარტყამდა, მაგრამ 9-იანი „დასვა". არადა, ამ ბოლო სერიაში ხუთჯერ მოარტყა 10-იანში. სალუქვაძემ სხვა სერიებში 97 და 96-96 ქულა დააგროვა.

შესარჩევში პირად რეკორდს ოთხი ქულით ჩამორჩა მისი ვაჟი **ცოტნე მაჭავარიანი** - 576 და მე-20 ადგილზე დარჩა. **ლევან ქადაგიძემ** ადრინდელ ტურნირებზე უკეთ ისროლა და 571-ით დაასრულა გამოსვლა, რაც 44-ე შედეგია. მაჭავარიანმა სტაბილურად საშუალო დონეზე ჩაატარა ტურნირი, სერიოზული ჩავარდნა არ ჰქონია. სამაგიეროდ, მესამე სერიაში საყურადღებო შედეგი ჰქონდა - 99 ქულა ანუ მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა. სხვა სერიებში მან 95, 96, 95, 96 და ისევ 95 ქულა დააგროვა. ამ 60 გასროლიდან მხოლოდ ორი მოარტყა 8-იანში. ქადაგიძე ყველაზე უკეთ მეხუთე სერიაში გაისარჯა, როცა 98 ქულა მოინადავლა. პირველ ორში 96 დააგროვა, მეოთხეში - 97, დანარჩენებში კი - 92-92 ქულა.

ქალთა ტურნირი უკრაინელმა ევროპის ორგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლენა კოსტევიჩმა** მოიგო 201.7 ქულით, ვინც შესარჩევში მესამე იყო. ვერცხლი ბულგარელმა ევროპის ორგზის ვერცხლის მედალოსანმა **ანტოანეტა ბონევამ** მოიპოვა 197.7-ით (ფინალში მეხუთე შედეგით შევიდა), ბრინჯაოს კი სინგაპურელი **შუნ ხიე ტეო** დაეუფლა 178.0-ით, ვინც საკვალიფიკაციოშიც მეექვსე იყო. 389 ქულით შესარჩევის მომგები ჩინელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ვენჯუნ გუო** მეშვიდეზე გავიდა.

ვაჟებში ესპანელმა ევროპის ჩემპიონმა **პაბლო კარერამ** გაიმარჯვა 199.3 ქულით, სერბმა ევროპის ვიცეჩემპიონმა **დამირ მიკეცმა** ვერცხლი მოიპოვა 198.9-ით, ბრინჯაოს კი სლოვაკი ევროპის მესამე პრიზიორი **იურაი ტუზინსკი** დაეუფლა 179.2-ით.

როგორც გითხარით, სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ჯერ მხოლოდ ვაჟები გამოვიდნენ. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი დუეტიდან უფრო უკეთ ქადაგიძემ იასპარეზა, ვინც 529 ქულა დააგროვა, რაც თავის ჯგუფში 29-ე შედეგი აღმოჩნდა, მაჭავარიანი კი 517-ით თავისთან 30-ზე გავიდა. ჩვენებურებს არ ჰქონდათ დიდი შედეგები, თუმცა ამაში მათი დადანაშაულება ძნელია - საქართველოში ხომ 50-მეტრიანი ტირი ფიზიკურად არ გვაქვს და ესენი 25-მეტრიან სასროლეთზე ვარჯიშობენ.

ნინო სალუქვაძე ამ დისტანციზე წუხელ გვიან ღამე დაიწყებდა გამოსვლას. ჩვენს სამეულს აგვისტოში ისევ მოუწევს რიო დე ჟანეიროში ჩასვლა, ამჯერად - ოლიმპიადაზე, სადაც სალუქვაძე და მაჭავარიანი იასპარეზებენ, ქადაგიძე კი მწვრთნელის რანგში მიდის.

ცოტნე მაჭავარიანი

ჭიდაობა. მონღოლეთის ტურნირი

სერბეთიდან მონღოლეთში გადაინაცვლეს

ქართველი მოჭიდავეები უკვე გაფრინდნენ მონღოლეთში, სადაც ზეგ მსოფლიოს პირველი, სულ კი სეზონის რიგით მეორე სალიცენზიო ტურნირი იწყება. მოგეხსენებათ, ამგვარ პირველ შეჯიბრებას წინა შაბათ-კვირას სერბულმა ზრენჯანინმა უმასპინძლა, ოღონდ ის ევროპის ჭიდაობის ფედერაციის ეგიდით ჩატარდა, ახლანდელიც და მისი მომდევნოც კი მსოფლიოს ფედერაციის სახელით იმართება.

ჩვენი მწვრთნელ-მოჭიდავეების უმეტესობა სერბეთიდან არც დაბრუნებულა საქართველოში, სტამბოლში ჩამოვიდნენ და იქიდან გადაფრინდნენ ულან ბატორში. მოგეხსენებათ, სერბეთში ჩვენმა ფალავნებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს ლიცენზიებისკენ - „თავისუფლებმა" ერთი მოიპოვეს და ახლა ამდენივე დარჩათ საძიებელი, ბერძენ-რომაელებმა კი ორი საგზური ირგუნეს და ახლა ოთხისთვის მოუწევთ ბრძოლა. ულან ბატორშიც ხუთი ჩვენებური იჭიდავებს. თან მწვრთნელებმა უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანეს სერბეთში ნამყოფ გუნდში: „თავისუფლებში" ისევ **ზურაბ იაკობაშვილი** შეეცდება ლიცენზიის მოპოვებას 65 კილოგრამში, ბერძენ-რომაელებში კი კვლავ ეცდებიან შანსის გამოყენებას ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ფინალისტი **რევაზ ლაშხი** (59) და ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **რობერტ კობლიაშვილი** (85). საკადრო ცვლილება მხოლოდ დანარჩენ ორ წონას შეეხო: თბილისიდან მათთან შესახვედრად ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **რევაზ ნადარეიშვილი** (98) და 23-წლიანებში ევროპის წლევანდელი გამარჯვებული **იაკობ ქაჯაია** (130) გაფრინდნენ.

სერბული სტარტისგან განსხვავებით, სადაც ლიცენზიას მხოლოდ ფინალისტები იღებდნენ, ულან ბატორში ყველა წონაში სამ-სამი საგზური გაიცემა. მოგეხსენებათ, ჭიდაობაშიც წონაში ორ-ორი ბრინჯაო გაიცემა და მათ მფლობელებს საუკეთესო მესამეადგილოსნის გამოსავლენად ერთმანეთში აჭიდავებენ ეგრეთ წოდებულ დასაყვან შეხვედრას.


რევაზ ლაშხი (მარცხნივ)

მონღოლური შეჯიბრება სამ დღეზეა გადანაწილებული და ყველა მათგანი ერთ საჭიდაო დისციპლინას ეძღვნება. ასე მაგალითად, ის 22 აპრილს იწყება და იმ დღეს მხოლოდ ბერძენ-რომაელები იასპარეზებენ, ექვსივე წონაში. 23-ში ლეიბი მთლიანად ქალებს დაეთმობათ, ხოლო „თავისუფლები" 24 აპრილს იჭიდავებენ.

იმედია, ჩვენები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებენ სალიცენზიო მონაგარს. მით უფრო, ამ ტურნირში არ გამოდიან უკვე ლიცენზირებული ფალავნები. მაგალითად, რუსებს ვაჟებში არც ერთ ტურნირში არ ეყოლებათ მონაწილე, რადგან ორივეგან ექვსივე წონაში მოპოვებული აქვთ ლიცენზია. „თავისუფალთა" შორის არც ირანელები იქნებიან იმავე მიზეზით, ხოლო ყაზახეთს, კუბას, მონღოლეთს და აზერბაიჯანს მხოლოდ თითო კაცი ეყოლებათ. თუმცა ყველაფერს ხომ ბედი უნდა და იაკობაშვილს ძლიერი კონკურენტები არც აქ მოაკლდებიან - ამ წონაში ულიცენზიოდ რჩებიან თურქეთი, აშშ, ყაზახეთი, ბელარუსი...

ბერძენ-რომაელებში ჩვენზე უარეს დღეშია თურქეთი - მხოლოდ ერთი საგზური აქვთ, მძიმე წონაში, რომელიც დაუმარცხებელმა **რიზა კაიაალპმა** მოიპოვა, როცა შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ეს ძალიან კარგია ქაჯაიასთვის, ვისაც ამ დონის კონკურენტი არ ეყოლება, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ წონაში წამყვანი ქვეყნების უმეტესობას აღებული აქვს საგზური: რუსეთს, აშშ-ს, აზერბაიჯანს, უკრაინას, ყაზახეთს, ესტონეთს... ძლიერებიდან რჩებიან ირანი და, ჰა-ჰა - უნგრეთი-ბულგარეთიც, თუმცა მათ არ ჰყავთ უმაღლესი დონის ფალავნები.

სხვა ძლიერი გუნდებიდან მონღოლეთში ერთი მონაწილე ეყოლება კუბას (მათ 85-ში არ აქვთ საგზური ანუ ეს ქვეყანა კობლიაშვილის პოტენციურ მეტოქედ რჩება), ორ-ორი - აზერბაიჯანსა და ირანს, სამი საგზური დარჩათ საძიებელი აშშ-ს, უკრაინას, ყაზახეთს, უნგრეთს, ჩვენსავით ოთხი - ბულგარეთს. თუმცა ირანთან ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს გასაყოფი, სხვებმა იკითხონ - ჩვენ მსგავსად, 66-ში და 75-ში მათაც გაინაღდეს რიოს საგზურები ანუ ჩვენი გზები ოთხის ნაცვლად მხოლოდ ორ წონაში გადაიკვეთება. და მაინც - ყველაფრის მიუხედავად, ეს საშუალო დონის ტურნირი იქნება, რადგან იქ ლიდერებს ნაკლებად ვიხილავთ, უფრო საშუალო ფალავნები იქნებიან ჩასულები და, წესით, ჩვენებს არ უნდა გაუჭირდეთ კიდევ რამდენიმე საგზურის მოპოვება. თუ მაინც საწინააღმდეგო მოხდება და ხელმოცარულებს ერთი შანსი კიდევ დარჩებათ - 6-8 მაისს სტამბოლში მესამე და საბოლოო სალიცენზიო ტურნირი იმართება, ოღონდ საგზურს იქ მხოლოდ ფინალისტები მიიღებენ.

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

ჩოგბურთი

ჩიმკენტში ქართული დუელი გაიმართება

ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობს ჩიმკენტში ვაჟთა 25.000-იან ტურნირში. როგორც ვწერდით, **გიორგი ცივაძემ** წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი - ორ მეტოქეს აჯობა (უზბეკ ცოისა და ბელარუს ლიუტარევიჩს) და ძირითად ბადეში გააღწია. გუშინ სტარტზე ანტონ გალკინს (რუსეთი) მოუგო სამ სეტში - 5:7, 6:2, 6:2 და მერვედფინალში თანამემამულეს, ტურნირზე მესამე ნომრად განთესილ **ალექსანდრე მეტრეველს** დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა პირველ წრეში მასპინძელი ალექსეი კედრიუკი ჩამოიშორა გზიდან - 6:0, 6:1.

მეტრეველმა გუშინ წყვილებშიც იყოჩაღა: მარკოს კალოველონისთან (რუსეთი) შეამხანაგებული განთესვით მეორე ნომერია. ქართულ-რუსულმა დუეტმა გლებ ალექსეენკოს (უკრაინა) და ანტონ გალკინს (რუსეთი) მოუგო - 7:6, 6:3. მეოთხედფინალში ალექს მოლჩანისა (სლოვაკეთი) და ალექსანდრ ვასილენკოს (რუსეთი) ტანდემთან გაარკვევს ურთიერთობას.

წინა კვირას ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავად ითამაშა 14 წლის **ანა შანიძემ** როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში. ანა ანტალიაშივე დარჩა და ახალ ტურნირში ჩაება. ამჯერად დუეტში კარინა კალკენოვასთან (ყაზახეთი) ერთად იასპარეზა და სტარტზე გერმანელებთან - ჰანა ლანდენერსა და ჯენიფერ ვაკერთან დამარცხდა - 5:7, 4:6. ერთეულებში დღეს მე-6 ნომრად განთესილ დიანა ნეგრეანუს (რუმინეთი) გაუწევს მეტოქეობას.

სტამბოლში ჩოგბურთელ ქალთა 250.000-იან ტურნირში **სოფიო შაფათავა** ერთეულებში ვერაფერს გახდა - საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხდა, წყვილებში რუს მარინა მელნიკოვასთან ერთად დღეს ელენა ბოგდანსა და კრისტინა დინუს (ორივე-რუმინეთი) შეხვდება. ამ შეჯიბრების მეოთხედფინალში ითამაშებს თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** შვედ იოჰანა ლარსონთან ერთად. ასპარეზობის პირველ დღეს ამ დუეტმა მასპინძლები - აილა აკსუ და მელის სეზერი ჩამოიშორა გზიდან, **ეკატერინე გორგოძე** კი ანასტასია ვასილიევასთან (უკრაინა) ერთად შეჯიბრებას გამოეთიშა.

გუშინ ამერიკული სავანას ჩელენჯერში (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) ჩაება **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** სტარტზე იგი ჩილელ ნიკოლას ხარისთან (რეიტინგით 467-ე) დამარცხდა - 6:7, 2:6.

წყვილებში ვენესუელელ ლუის დავიდ მარტინესთან შეამხანაგებული ბასილაშვილი გზიდან დენის ნოვიკოვისა (აშშ) და ხულიო პერალტას (ჩილე) ჩამოშორებას შეეცდება.

აქვე განახლებულ მსოფლიო რეიტინგში ქართველ ჩოგბურთელ ვაჟთა მაჩვენებლებს გაგაცნობთ: 130 (126). ნიკოლოზ ბასილაშვილი (456), 277 (274). ალექსანდრე მეტრეველი (184), 854 (849). გიორგი ცივაძე (22), 1103 (1105). გიორგი ჯავახიშვილი (9), 1424 (1425). ალექსანდრე ბაკში (3), 2070 (2071). ირაკლი მეტრეველი (1 ქულა).

ხელბურთი

გორი ერთპიროვნულად დაწინაურდა

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირის მესამე ტურში რუსთაველებმა 28:20 დაამარცხეს აჭარის გუნდი, „თელავმა“ თავიდან წინააღმდეგობა გაუწია „წყალტუბოს“, მაგრამ მეორე ტაიმში ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს, 27:43 დათმო ორთაბრძოლა.

აჭარა-რუსთავი 20:28

აჭარა: შავიშვილი, გ. ბერიძე, ნიკოლაიშვილი- 8, ქამადაძე- 3, ნიტაიშვილი- 3, ურუშაძე- 3, დიასამიძე- 2, მალაყმაძე- 1, შაინიძე, კუპრეიშვილი, კვასხვაძე, კონცელიძე, ხინკილაძე, გორგაძე.

რუსეთი: ჯანგიძე, მ. დავითაშვილი, მძელური- 12, მუქთიაშვილი- 5, რ. შეყელაშვილი- 3, მენაბდიშვილი- 3, კიკნაძე- 2, თაბაგარი- 1, მუმლაძე- 1, ჩუბინიძე- 1, კახურაშვილი-, ბ. შეყელაშვილი, გავაშელიშვილი.

მსაჯები: გ. სამყურაშვილი, გ. სურმავა.

თელავი-წყალტუბო 27:43

თელავი: ლილუაშვილი- 1, წვერიკმაზაშვილი, გ. სვიმონიშვილი- 10, ვ. გიგაური- 8, იაგორაშვილი- 3, გიორგელაშვილი- 2, კაიშაური- 2, ნ. სვიმონიშვილი- 1, გ. გიგაური, ჟამურაშვილი, ჩაბრაშვილი, ბაჩიაშვილი, ბიწკინაშვილი.

წყალტუბო: აფხაძე, ვარდანიძე, ხელაძე- 12, გველესიანი- 11, დარსაველიძე- 7, გიორგაძე- 6, მეტონიძე- 5, ბენდელიანი- 2, ლომიძე, ჩიხლაძე, გოგიძე.

მსაჯები: ზ. აბრამიშვილი, ი. ჭკუასელი.

მეოთხე ტურში ლიდერები არკვევდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას: „გორმა“ დაძაბულ პაექრობაში აჯობა „რუსთავს“ 31:28, „თელავმა“ კი „აჭარას“ სძლია - 32:27 და ტურნირზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

აჭარა-თელავი 27:32

აჭარა: შავიშვილი - გოგიჩაიშვილი 6, მალაყმაძე 4, კონცელიძე 3, შაინიძე 3, ქავთარაძე 3, დიასამიძე 2, ქამადაძე 2, ნიკოლაიშვილი 2, კვასხვაძე 1, ნიტაიშვილი 1, კუპრეიშვილი, ხინკილაძე

თელავი: ლილუაშვილი, წვერიკმაზაშვილი - ვ. გიგაური 11, გ. სვიმონიშვილი 8, კაიშაური 4, იაგორაშვილი 3, გიორგელაშვილი 3, ნ. სვიმონიშვილი 2, გ. გიგაური 1, ჟამურაშვილი, ჩაბრაშვილი, ბაჩიაშვილი, ბიწკინაშვილი

მსაჯები: გ. სამყურაშვილი, ი. ჭკუასელი.

რუსთავი-გორი 28:31

რუსთავი: ჯანგიძე, დავითაშვილი, მძელური- 11, მენაბდიშვილი- 4, თაბაგარი- 3, მუქთიაშვილი- 3, რ. შეყელაშვილი- 2, კიკნაძე- 2, მუმლაძე- 2, გავაშელიშვილი- 1, ბ. შეყელაშვილი, კახურაშვილი, ჩუბინიძე.

გორი: ვათიაშვილი, თითირაშვილი, ტიელიძე- 11, გაგლოშვილი- 7, ახალბედაშვილი- 4, ზუბიშვილი- 3, ნიაზაშვილი- 3, მჭედლიშვილი- 2, მურადაშვილი- 1, ტარუაშვილი, მამაცაშვილი, დალაქიშვილი.

მსაჯები: გ. სამყურაშვილი, ი. ჭკუასელი.

გუშინ პირველი წრის ბოლო ტურში „გორმა“ 38:20 დაამარცხა აჭარის გუნდი და 8 ქულით ერთპიროვნულად ჩაუდგა გათამაშების ცხრილს სათავეში. „რუსთავისა“ და „წყალტუბოს“ მატჩს უნდა გაერკვია, ვინ იქნებოდა საშუალედო მეორე. ქვემოქართლელთაგან თავი გამოჩინა რატი შეყელაშვილმა, რომელმაც 24 გოლი (!) გაიტანა. ცხადია, „რუსთავმა“ მოიგო ეს დაპირისპირება - 48:35.

წყალტუბო-რუსთავი 35:48

წყალტუბო: აფხაძე, ვარდანიძე, ხელაძე- 10, ბენდელიანი- 7, გველესიანი- 6, დარსაველიძე- 5, ლომიძე- 4, გიორგაძე 3, მეტონიძე, ძნელაძე, ჩიხლაძე, გოგიძე.

რუსთავი: ჯანგიძე, რ. შეყელაშვილი- 24, თაბაგარი- 9, გავაშელიშვილი- 5, ეძგვერაძე- 3, მენაბდიშვილი- 3, კიკნაძე- 2, ბ. შეყელაშვილი- 1, კახურაშვილი- 1, მუმლაძე, ჩუბინიძე.

მსაჯები: გ. სამყურაშვილი, ი. ჭკუასელი.

გორი-აჭარა 38:20

გორი: თითირაშვილი, ვათიაშვილი, ტარუაშვილი- 13, ნიაზაშვილი- 8, იაშვილი- 6, მურადაშვილი- 4, ზუბიაშვილი- 2, გაგლოშვილი- 2, ახალბედაშვილი- 1, დალაქიშვილი- 1, ტიელიძე- 1.

აჭარა: შავიშვილი, გოგიჩაიშვილი- 5, ქავთარაძე- 4, კუპრეიშვილი- 3, დიასამიძე- 3, ქამადაძე- 2, მალაყმაძე- 1, კონცელიძე- 1, ხინკილაძე- 1, შაინიძე.

მსაჯები: შ. სტურუა, გ. სამყურაშვილი.

პირველი წრის შემდეგ: გორი- 8, რუსთავი- 6, წყალტუბო- 4 - თელავი- 2, აჭარა- 0 ქულა.

მეორე წრის შეხვედრები 3-7 მაისს გაიმართება.

ფარიკაობა



მარცხნიდან: სანდრო ბაზაძე, საბა სულამანიძე, ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი

ჯერ მსოფლიო, მერე ოლიმპიადა

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში მოფარიკავეთა ევროპის ბოლო საკვალიფიკაციო ტურნირში რიოს ოლიმპიადის 12 ლიცენზია (ქალთა და ვაჟთა შორის) გათამაშდა. წარმატებულ სპორტსმენებში დაიბევა ადგილი ქართველმა მოხმალავე **სანდრო ბაზაძემ** - 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებში იგი საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს.

ჩეხურ ბატალიებთან დაკავშირებით შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **მერაბ ბაზაძეს.**

- ამ ბედნიერი დღისთვის რამდენიმე წელიწადი ვემზადებოდით მონდომებით, - გვითხრა მან. - კარგია, რომ თავდადებულმა გარჯამ უკვალოდ არ ჩაიარა. პრაღაში დაძაბული პაექრობები გაიმართა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ დაშნაში გერმანელი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ბრიტა ჰეიდემანი ულიცენზიოდ დარჩა. ეს შეჯიბრება ევროპელი მუშკეტერებისთვის ბოლო საოლიმპიადე ტურნირი იყო. რადგანაც რიოს პროგრამაში ვაჟთა გუნდური ხმალი და ქალთა გუნდური რაპირა არ შედის, ამ სახეობებში 4-4 საგზური გათამაშდა, დანარჩენებში - თითო-თითო.

- და 12 ლიცენზიიდან ერთი ჩვენ გვერგო.

- მოხმალავე ვაჟებში სხვადასხვა ქვეყნის 20 წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის რვა სპორტსმენი მსოფლიო გრან პრისა და თასის ეტაპების გამარჯვებული ან პრიზიორი გახლდათ. ამის მიუხედავად, სანდრომ ჯგუფში ოთხი შეხვედრა იოლად მოიგო და მხოლოდ ერთი პაექრობა დათმო კონსტანტინ ვორონოვთან (ისრაელი). ეს მოფარიკავე ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ვიცე ჩემპიონია. კონტინენტის პირველობაზე გადამწყვეტი შეხვედრა მან სწორედ სანდროსთან დათმო. ჯგუფში მასთან მარცხი ტრაგედიად არ აღგვიქვამს. აი, პლეი ოფში ესპანელი ფერნანდო კასარესის ძლევის (15:7) შემდეგ მეოთხედფინალში ისევ ვორონოვთან შეხვედრისას კი უკან დასახევი გზა აღარ იყო - ის ორთაბრძოლა უნდა მოგვეგო. პირველ ნახევარში სანდრო 8:2 დაწინაურდა. შესვენების შემდეგ მეტოქემ ქულათა სხვაობა საგრძნობლად რომ შეამცირა და სიტუაცია დაიძაბა, ძალიან გამიკვირდა. ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ სანდრომ მითხრა, დიდი უპირატესობით რომ დავწინაურდი, თავი ოლიმპიადაზე წარმოვიდგინე და კონცენტრაცია დავკარგეო. საბედნიეროდ, დროზე მოეგო გონს და ყველაფერი კარგად დასრულდა. ამ წარმატებაში ჩვენი დელეგაციის წევრების აქტიურმა ქომაგობამაც შეიტანა თავისი წვლილი. ქართველ მოფარიკავეებს აქტიურად გულშემატკივრობდნენ ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი არჩილ გოგელია, საპატიო პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი იური ოსიპოვი, ვეტერანი მოფარიკავე გივი ცაგარეიშვილი,საერთაშორისო არბიტრები - დავით სახვაძე და ზაზა მჭედლიძე, პრაღაში მცხოვრები ქართველები. ესპანეთიდან სპეციალურად ჩამოვიდა ყოფილი ფეხბურთელი, ბატონი იურის მეგობარი ვლადიმერ ბენიაშვილი.

სალიცენზიო ტურნირზე შესანიშნავად იფარიკავა თეოდორა კახიანმა. ნიჭიერი გოგოა. საკმაოდ აიმაღლა ოსტატობა. რთული ორთაბრძოლები მოიგო. პლეი ოფში 15:11 დაამარცხა ძლიერი მეტოქე - ესპანელი ნავარო. ნახევარფინალში ორი ჩხვლეტით დამარცხდა ბელარუს პალინა კასპიაროვიჩთან და მესამე ადგილი დაიკავა, რაც რიოს საგზურის მოსაპოვებლად არ ეყო. თუ ასე განაგრძობს წვრთნას, დარწმუნებული ვარ, იგი ოთხი წლის შემდეგ ტოკიოში ფავორიტთა შორის იქნება.

- 25-27 აპრილს მოხმალავეთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება...

- დიახ. ამ შეჯიბრებას რიო დე ჟანეირო უმასპინძლებს. ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ზაზა მჭედლიძის ხელმძღვანელობით დღეს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი და საბა სულამანიძე. მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. რეიტინგით ბოლო ადგილზე ვართ, პირველი კი ამერიკის ნაკრებია. თუ არაფერი შეიცვალა, შესაძლოა, პირველი სწორედ ოკეანისგაღმელებს დავუპირისპირდეთ. მოსაგებად ცუდი შანსიც არ გვაქვს... თუმცა, პროგნოზებს ჯობია, ცოტაც დავიცადოთ. მართალი გითხრათ, ახლა ჩვენთვის მსოფლიოზე მეტად მნიშვნელოვანი სანდრო ბაზაძის ოლიმპიური თამაშებისთვის სათანადო მომზადებაა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

სპორტული ტანვარჯიში

უკრაინული ვერცხლი და ბრინჯაოები

მაგდა რობაქიძე

შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ უკრაინის დედაქალაქ კიევში სპორტულ ტანმოვარჯიშეთა XIV საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ქალთა მრავალჭიდში **მაგდა რობაქიძემ** 46,7 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა (54,8 ქულით პირველი იყო მასპინძელი იანა გოროხოვა). სამაგიეროდ, ქართველმა ტანმოვარჯიშემ ცალკეულ იარაღებზე იყოჩაღა: დვირზე ვარჯიშში მან 13,5 ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. უკრაინელმა იანა ფიოდოროვამ ჩვენებურს 0.275 ქულით გაუსწრო. თავისუფალ ვარჯიშში მაგდა 13.175 ქულით მესამე ადგილზე გავიდა. პირველი-მეორე ადგილები მასპინძლებმა - ანასტასია ბუდიაშკინამ (13.7) და იანა ფიოდოროვამ (13.4) გაინაწილეს. რობაქიძე ორძელზე მეხუთე (11.325) იყო. ახალგაზრდებში ქართველთაგან **ქრისტინე მორჩაძე** მრავალჭიდში მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას მეორე ბრინჯაოს მედალი მამაკაცთა ტურნირზე ბჯენით ხტომებში **საბა აბესაძემ** მოუტანა - 13.350 ქულით ის მესამე ადგილზე გავიდა. ამ სახეობაში 14.625 ქულით ოქრო მაქსიმ ივანოვს (უკრაინა), ვერცხლი კი ილია იაკოვლევს (ბელარუსი, 14.525) ერგო. მრავალჭიდში აბესაძე 61.350 ქულით მე-8 ადგილს დაყაბულდა.

ახალგაზრდებში ჩვენებურთაგან მრავალჭიდში **ნიკიტა ლეტნიკოვმა** 78.9 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა. იგი, ასევე, მეოთხე იყო ღერძსა და თავისუფალ ვარჯიშში, ხოლო ტაიჭსა და ორძელზე მე-6 ადგილები ხვდა. მრავალჭიდში **ბიძინა სიჭინავას** (72.000) მე-7, იოანე ჯიმშელეიშვილს (71.000) კი მე-8 ადგილი ხვდა.

ქართველი ტანმოვარჯიშეები ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ამ შეჯიბრებას მაისის მიწურულს შვეიცარიული ბერნი უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია

ცურვა

ქართული დესანტი ბრესტში

საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **ზურაბ ხომასურიძის** (მწვრთნელი **მანანა თურქია,** მსაჯი **დავით გელაშვილი**) ხელმძღვანელობით გუშინ ბრესტს გაემგზავრა საქართველოს მოცურავეთა ეროვნული (**ირაკლი რევიშვილი, ირაკლი ბოლქვაძე, თეიმურაზ კობახიძე, გიორგი ბიგანიშვილი**) და ახალგაზრდული (**აკაკი ვაშაკიძე, ირაკლი კვარაცხელია, მერი მუმლაძე, ლევან ბახტურიძე, ჯუდერ ბიჭიკაშვილი, ელენე ბერაია, საბა მდივანი, რუსუდან გოგინაშვილი**) ნაკრები გუნდები. 20-23 აპრილს ისინი ბელარუსის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს. იმის გარდა, რომ ბრესტში რიოს ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაა შესაძლებელი, ეს შეჯიბრება სამზადისიცაა ევროპული ბატალიებისთვის. უფროსები 16-22 მაისს ლონდონში მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ, ხოლო ახალგაზრდები 6-10 ივლისს კონტინენტის პირველობაზე გაეჯიბრებიან თანატოლებს.

ბელარუსში გამგზავრებამდე საქართველოს ეროვნული გუნდის წევრებმა ეინდჰოვენში ჰოლანდიის პრესტიჟულ „Swim Cup Endhoven 2016“-ზე იასპარეზეს. თეიმურაზ კობახიძემ 200 მეტრი თავისუფალი ყაიდით საკვალიფიკაციო გაცურვისას 1.54,07-ში დაფარა, ფინალში კი ეს შედეგი გაუმჯობესა - 1.52,85. საგულისხმოა, რომ ამ დისტანციაზე საქართველოს რეკორდი ირაკლი რევიშვილს ეკუთვნის - 1.51,84; რიოს სალიცენზიო დროა 1.51,75.

კობახიძემ უკეთ იცურავა 200 მეტრზე ბატერფლაით: ფინალში 2.02,90 წუთით ვერცხლის მედალი მოიპოვა, თან პირადი შედეგი გაუმჯობესა, ხოლო 32 წლის წინათ დიმიტრი იაკოვლევის მიერ დამყარებული საქართველოს რეკორდის (2.02,53) მოსახსნელად მცირედი დაკლდა. შევნიშნავთ, რომ ამ დისტანციაზე სალიცენზიო დროა 2.01,48.

200 მეტრზე ბატერფლაით ახალგაზრდა სპორტსმენმა აკაკი ვაშაკიძემ ფინალში 2.06,10-ით (საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგი - 2.05,81) მე-6 ადგილი დაიკავა. 400 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ირაკლი რევიშვილი (4.03,44) მეშვიდე იყო.

გიორგი ბიგანიშვილმა 100 მეტრი თავისუფალი ყაიდით 53,28 წამში დაფარა, პირადი შედეგი 0,4 წამით გააუმჯობესა და სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება საქართველოს ნაკრების წევრი დავით შახნაზაროვი. მოცურავეთა ტურნირ „2016 Eastern Zone Speedo Short Course Super Sectionals“-ზე, რომელშიც 60-მდე კლუბის 1000-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა, დათომ 50 იარდზე (20,84) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ვაჟა დანელია

თეიმურაზ კობახიძე

კრივი

ბაქო – ბოლო შანსი

სამსუნში (თურქეთი) ევროპელ მოკრივეთა სალიცენზიო ტურნირი გაიმართა, რომელშიც რიოს ოლიმპიური თამაშების საგზურების მოსაპოვებლად საქართველოს შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ევროპის ვიცე ჩემპიონმა **ოთარ ერანოსიანმა** (60 კგ) პირველი შეხვედრა ანგელო ბერჰარდ ტორესს (ნორვეგია) მოუგო, მაგრამ მერვედფინალში ირლანდიელ დავიდ ოლივერთან ვერაფერს გახდა. მისი ბედი გაიზიარა **გელა აბაშიძემ** (69) - პირველ წრეში მან ვაჰრამ ხუდელას (შვეიცარია) აჯობა, მაგრამ მეორე პაექრობა პაველ კოსტრომინთან (ბელარუსი) დათმო. პირველსავე პაექრობაში დამარცხდნენ **მერაბ თურქაძე** (56), **კონსტანტინე ხვისტანი** (75), **ნიკოლოზ სეხნიაშვილი** (81) და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი **მიხეილ ბახტიძე** (+91). ქართველებს, შესაბამისად, ქაის აშფაგმა (დიდი ბრიტანეთი), ანტონი ფოლნერმა (დიდი ბრიტანეთი), ნადირ მეჰმეტ უნალიმ (თურქეთი) და რუბენ ნაზარიანმა (ბელგია) მოუგეს.

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ავთანდილ ქუბაბრიამ** მერვედფინალურ ორთაბრძოლაში გაბრიელ ესკობარი (ესპანეთი) დაჯაბნა, მაგრამ მეოთხედფინალში დანიელ ასენოვთან (ბულგარეთი) დამარცხდა და ისიც უსაგზაროდ დარჩა.

ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის - მუსტაფა დაღისტანლის სახელობის სპორტის სასახლის რინგზე განცდილი მარცხის მიუხედავად, ქართველ მოკრივეებს რიოს ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი კიდევ დარჩათ - 14-26 ივნისს აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო მოკრივეთა მსოფლიო სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

ტრანსფერის დროა? ფაჩულია ჩიკაგოსკენ?

„ორშაბათს „ოკლაჰომას“ წინააღმდეგ **ზაზა ფაჩულიამ** სტარტიდან დაიწყო და 20 წუთში 2 ქულა, 6 მოხსნა და ჩაჭრა მიითვალა. სალაჰ მეჯრიმ დაცვაში ძალიან კარგად იმუშავა. ამიტომაც ფაჩულიას მეტი სათამაშო დრო ამ შეხვედრაში არ შეხვდა.

რადგან **დევიდ ლი** ისევ ტრავმირებულია, „დალასის“ ცენტრის პოზიციაზე წუთებს ისევ მეჯრი და ფაჩულია გაიყოფენ“, - წერს rotoworld.com.

dailyherald.com-ი ავრცელებს ინფორმაციას „ჩიკაგო ბულსის“ შემადგენლობის სავარაუდო ცვლილებებზე. გამოცემის თანახმად, თუ „ჩიკაგო“ ზაფხულში **პაუ გასოლისა** და **იოაკიმ ნოას** შენარჩუნებას ვერ შეძლებს, რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია, გუნდი თავისუფალ აგენტთა ბაზარზე გავა.

„ჰერალდი“ ერთ-ერთ ვარიანტად ზაზა ფაჩულიასაც ასახელებს. თუმცა, ეს ივლისამდე არ მოხდება, მანამდე კი NBA-ს პლეი ოფია.

ვაჟა სიმონიშვილი

არ ელოდით?



ზაზა ფაჩულიას „დალას მავერიქსმა“ NBA გააკვირვა - „ოკლაჰომა თანდერსი“ მისსავე მოედანზე 85:84 დაამარცხა. როცა გუნდი ნაციონალური ასოციაციის პლეი ოფში თამაშობს, მისგან სტუმრად თუნდაც „ოკლაჰომასთან“ გამარჯვებასაც უნდა ელოდო, მაგრამ „დალასმა“ პირველი მატჩი ისე წააგო, ბევრი დარწმუნებით ამბობდა - „თანდერსი“ სერიას 4:0-ს მოიგებსო.

აი, სწორედ ასეთი თავდაჯერებაა დამღუპველი. ძნელია იმის თქმა, თითქოს, მასპინძლებს მეორე მატჩიც წინასწარ მოგებული ეგონათ და ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ. მათი მარცხის მიზეზი უფრო „დალასის“ სახეცვლილებაში უნდა ვეძებოთ. დაცვაში ასეთი აგრესიული ტეხასელები დიდი ხანია არ გვინახავს. **კევინ დურანტისა** და **რასელ ვესტბრუკის** გუნდი 48 წუთში მხოლოდ 84 ქულას რომ ჩაგიგდებს, მოედანი შეგიძლია თავმომწონედ დატოვო. ...და თავაწევითაც - ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელებს გარჯა დაუფასდათ, დურანტს ბურთს შვიდჯერ რომ აართმევ, სწრაფი კონტრიერიშის წამოწყებაც იოლია. სწრაფი გარღვევით „მავერიქსმა“ 20 ქულა მოიპოვა. არადა, ეს კომპონენტი პირველ მატჩში მთლიანად იყო „დაბლაგვებული“.

თუ სერიის გახსნით შეხვედრაში დალასელებმა თამაშიდან მხოლოდ 29-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნეს, გუშინ სამიზნე კარგად გაისწორეს და 42.7 პროცენტამდე ავიდნენ, მაშინ, როცა „ოკლაჰომა“ 33.7-ზე ჩამოვიდა. სტუმრებმა 19-დან 5 სამქულიანი ჩააგდეს. ბევრი არ არის, მაგრამ პროცენტული თვალსაზრისით ურიგო სულაც არ გახლავთ. მთავარი კი იცით, რა იყო? - „მავერიქსმა“ მატჩი შესანიშნავად დაიწყო: სასტარტო ხუთეულში დაბრუნებული ზაზა ფაჩულია თანაგუნდელებს ძველებურად ეხმარებოდა, ბლოკებსაც უყენებდა (რითაც არაერთხელ ისარგებლა დერონ უილიამსმა), დაცვაში კი მტკიცედ იდგა და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მეურვე **სტივენ ადამსს** მხოლოდ ერთი ბურთი მოახსნევინა. არც ტეხასელთა ფარქვეშ შესვლა იყო იოლი საქმე. მოკლედ, უმთავრესად დერონ უილიამსის სიზუსტის წყალობით „მავსი“ მე-7 წუთზე 15:7 დაწინაურდა, რითაც თავადაც დარწმუნდა, რომ თამაშის მოგება შესაძლებელი იყო და „ოკლაჰომას“ კალათბურთელებსაც დიდი საფიქრალი გაუჩინა.

მატჩის შუაში ტრავმა მიიღო უილიამსმა და ლიდერის „ყვითელი“ მაისური **რეიმონდ ფელტონმა** მოირგო, რომელიც საბოლოოდ მატჩის ბომბარდირი გახდა - 21 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. ასევე 21 ქულა

როგორ გაათანაბრა დალასმა ოკლაჰომაში

ჰქონდა კევინ დურანტს, რომელმაც თამაშიდან 33-ჯერ სტყორცნა და მხოლოდ 7(!) ჩააგდო. ზაზა ფაჩულია მეორე ტაიმში დაცვაში ჩვეულად კი იბრძოდა, მაგრამ შეტევისას ისეთივე აქტიური ვერ იყო, როგორიც დასაწყისში.

მატჩის ვიდეორეპორტაჟი ვინც რუსულ „ვიასატზე" ნახა, უთუოდ დაამახსოვრდებოდა კომენტატორის ნათქვამი. იგი რეპორტაჟისას შიგადაშიგ გულშემატკივრების კითხვებს პასუხობდა. ერთი შეკითხვა ასე ჟღერდა: სეზონის პირველ ნახევარში ზაზა ფაჩულია სულ სხვანაირად, ეფექტურად თამაშობდა, რატომ შეიცვალა მეორე ნახევარში?

კომენტატორმა მოკლედ და გასარკვევად თქვა: „საქმე ფაჩულიაში კი არა, მწვრთნელშია. რიკ კარლაილი შეიცვალა შუა სეზონში ზაზას მიმართ. არ ვიცი, რატომ."

„ოკლაჰომასთან" მეორე მატჩში ზაზამ 20 წუთში 2 ქულა (6-დან 1 ორქულიანი), 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მატჩის მთავარი მოვლენები კი მის გარეშე განვითარდა: საფინალო სირენამდე 6:43 წუთით ადრე ზაზა სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა. მატჩი კი ცენტრის პოზიციაზე **სალაჰ მეჯრიმ** ჩაამთავრა.

დრამატიზმით სავსე გამოდგა ფინალური წუთები. შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მასპინძლები 78:71 იგებდნენ და კიდევ ერთხელ ირწმუნეს გამარჯვებისა, თუმცა ტეხასელები არ დანებდნენ, **ვესლი მეტიუზის** (რომელსაც მეოთხე პერიოდამდე ქულა არ ჰქონდა), სალაჰ მეჯრის და რეიმონდ ფელტონის ქულებით 79:78 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ შეხვედრა ქულა-ქულაში გაგრძელდა.

...საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე მეტიუზის ორქულიანით დალასელები 85:81 გალიდერდნენ.

...9 წამით ადრე კევინ დურანტმა სამქულიანით მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა.

...ფელტონმა კი საპასუხო შეტევაში ორივე საჯარიმო ააცილა და ოკლაჰომელებს 7 წამი რჩებოდათ.

...სწრაფ შეტევაში დურანტს დაუფარა **ჯასტინ ანდერსონმა**, თუმცა ბურთს რასელ ვესტბრუკი დაეუფლა და მანაც ააცილა. მესამე ცდა, რომელიც სტივ ადამსმა შეასრულა, წარმატებული აღმოჩნდა და საფინალო სირენის შემდეგ ოკლაჰომელები გამარჯვებას ზეიმობენ. ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდეოგამეორებამ აჩვენა, რომ ადამსს ბურთი ჯერაც ხელში ჰქონდა, საფინალო სირენა რომ გაისმა.

...85:84.

სერიაში ანგარიში გათანაბრდა - 1:1. მესამე მატჩი უკვე დალასში თბილისის დროით 22 აპრილს, გამთენიისას (3 საათზე) გაიმართება.

ოკლაჰომა-დალასი 84:85

20:24, 23:21, 19:14, 22:26

ო: დურანტი (21+9 მოხსნა), უესტბრუკი (19+14 მოხსნა+6 პასი), იბაკა (12+8 მოხსნა), ადამსი (9+7 მოხსნა), უეიტერსი (8), მოროუ (7), კანტერი (6+8 მოხსნა), რობერსონი (2).

დ: ფელტონი (21+11 მოხსნა+3 პასი), ნოვიცკი (17), უილიამსი (13+5 პასი), მეჯრი (12+3 დაფარება), ჰარისი (8+7 მოხსნა), ანდერსონი (6+5 მოხსნა), მეტიუზი (6+6 მოხსნა), ფაჩულია (2+6 მოხსნა).

რეალიზაციის პროცენტი: თამაშიდან (33.7/42.7), სამქულიანები (21.9/26.3), საჯარიმოები (83.3/52.6).

სერია: 1-1

მეტოქის თვალით: ადამსი ფაჩულიას იწვევს: ...არადა, მე დამცინიან, რამხელა თავი გაქვსო

პლეი ოფში მოასპარეზე გუნდებისადმი ყურადღება ათმაგდება. როგორც წესი, ყველაზე საინტერესო მწვრთნელების კომენტარებია, თუმცა არანაკლებ ინტერესს მეტოქე გუნდის კალათბურთელების შეფასება იწვევს.

გამოცემა „დალასნიუსი" აქვეყნებს მცირე პუბლიკაციას, რომელიც „ოკლაჰომას" ცენტრის, **სტივენ ადამსის,** კომენტარებითაა გაჯერებული. იგი მეტოქე ცენტრებზე, **ზაზა ფაჩულიასა** და **სალაჰ მეჯრიზე** ლაპარაკობს.

აი, თარგმანიც: „ახალზელანდიელი ადამსი საინტერესო პიროვნებაა, მას ცხოვრებაზე, კალათბურთზე თავისი განსხვავებული შეხედულებები აქვს. ...მოწინააღმდეგეებზეც:

- ზაზა ფაჩულია სასტარტოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ცოტა მეტს ესვრის. იგი თითქოს მსუბუქი ფორვარდია, მეოთხე ნომრად თამაშობს, დირკ ნოვიცკის მსგავსად, სამწამიანი ზონიდან პერიმეტრისკენაა აწეული. თუმცა ერთი-ორი კალათბურთელის გარდა „დალასში" თამაშის სურათის შეცვლა არ შეუძლიათ.

ფაჩულია ფიზიკურად უფრო ღონიერია, ვიდრე მეჯრი...

- დიახ, ზაზა გაცილებით დიდი გაბარიტებისაა. ნახეთ მისი თავი? დიდი თავი აქვს. არადა, ჩემი თანაგუნდელები მე დამცინიან, რამხელა თავი გაქვსო...

აი, რას ამბობს სტივენ ადამსი სალაჰ მეჯრის შესახებ:

- იცით საიდან მოვიდა? მე არ ვიცი. ალბათ არსაიდან. ერთი, რაც შევამჩნიე, მეჯრი ემოციური ბიჭია და ძალიან უყვარს ლაპარაკი, თამაშისას მიდის და თან მელაპარაკება, ოღონდ მის ერთ სიტყვასაც ვერ ვიგებ. მომომომო - მისგან მხოლოდ ეს მესმის".

ვაჟა სიმონიშვილი

„ა" ლიგა

კაკტუსი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა

19 აპრილი, თბილისი

კაკტუსი-ვითა 83:63

20:20, 20:13, 20:14, 23:16

კაკტუსი: ჰენრი (22ქ, 7მ, 4პ), ბაკაშვილი (6ქ, 6პ), ჩიკვილაძე (7ქ, 9მ, 5პ), უილიამსი (21ქ, 5მ), ლოლიშვილი (6ქ), ათანალიშვილი (3ქ), ლომიძე (19ქ, 5მ).

ვითა: მაისურაძე (7მ), ჩლაიძე (14ქ), რევაზაშვილი (2ქ, 8მ), ჯონსი (21ქ, 7მ, 3პ, 2დ), სტარატელევი, ანიკიენკო (10ქ, 9მ), წივწივაძე (13ქ, 6მ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

გუშინ „ა" ლიგის სუპერმატჩი იყო. ერთმანეთს „ვითა" და „კაკტუსი" დაუპირისპირდნენ. ტურნირის ბოლო შეხვედრა ფინალის ტოლფასი გამოვიდა, მოგებული „ა" ლიგის ოქროს მედალსაც მიიღებდა და სუპერლიგის (2016-17) საგზურსაც.

მოკლედ, სასწორის ორივე პინა ძალიან იყო დამძიმებული. ემოციები მოედანზეც დუღდა და ტრიბუნებზეც.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა თანაბრად დაიწყო და მესამე პერიოდამდე ასე გაგრძელდა, ვიდრე „კაკტუსი" 14:0 გაქცევას არ მოაწყობდა. სწრაფი გარღვევებითა და სამქულიანებით არჩილ ჟღენტის შეგირდებმა სოლიდური სპურტის შემდეგ 17-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს - 58:41.

დარჩენილ დროში „ვითა" ბევრს ეცადა, მაგრამ თამაშის შემობრუნდება ვერ შეძლო...

არჩილ ჟღენტი („კაკტუსის" მთავარი მწვრთნელი):

- სეზონის მანძილზე ჩვენ სირთულე გვქონდა, რაც ერთად გადავლახეთ. სასიხარულოა, რომ „ვითიბი" ლიგაში მოასპარეზე ძლიერი „ვითას" დამარცხება შევძელით ფინალის დარ მატჩში და მთავარი მიზანი, რომელიც სუპერლიგაში მოხვედრა იყო, შევასრულეთ. „კაკტუსი" ყოველთვის ამბიციური იქნება.

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. კაკტუსი	15	13	2	1257/945	28
2. ვითა	15	13	2	1160/920	26
3. წყალტუბო	14	7	7	944/956	21
4. სეუ	15	6	9	1038/1206	21
5. თსუ	14	5	9	983/1122	19
6. ვინგსი	15	0	15	993/1226	15

ვაჟა სიმონიშვილი

სპორტული ოსკარები

ნოვაკ ჯოკოვიჩი

ნოვაკი და სერენა - მესამედ

სერბსა და ამერიკელს სამ-სამი დიდი სლემის მოგება დაუფასდათ

ლაურეუსის სპორტულმა აკადემიამ, რომელშიც სპორტის ლეგენდები არიან გაერთიანებულნი, ბერლინში 2015 წლის ლაურეატები დააჯილდოვა. ცნობისთვის, ამ პრესტიჟულ ჯილდოს, არაოფიციალურად, „სპორტულ ოსკარებს უწოდებენ. საზეიმო ცერემონია ცნობილ მსახიობს **ბილ მიურეის** მიჰყავდა.

წლის საუკეთესო მამაკაც სპორტსმენად სერბი ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დასახელდა, რომელმაც ამ ნომინაციაში აჯობა **ლუის ჰემილტონს** (ბრიტანეთი, ფორმულა 1), **უსაინ ბოლტს** (იამაიკა, მძლეოსნობა), **სტივენ კარის** (აშშ, კალათბურთი), **ლიონელ მესის** (არგენტინა, ფეხბურთი) და **ჯორდან სპაიეტს** (აშშ, გოლფი). ჯოკოვიჩი წლის საუკეთესო სპორტსმენად მესამედ დაასახელეს.

ასევე მესამედ მოიპოვა „სპორტული ოსკარი" ამერიკელმა ჩოგბურთელმა **სერენა უილიამსმა.** მისი კონკურენტები იყვნენ: ამერიკელი მოცურავე **კეტი ლედეკი,** ავსტრიელი სამთო მოთხილამურე **ანა ფენინგერი,** იამაიკელი მძლეოსანი **შელი-ენ ფრეიზერ-პრაისი,** ამერიკელი ფეხბურთელი **კარლი ლოიდი** და ეთიოპიელი მძლეოსანი **გენზებე დიბაბა.**

წლის საუკეთესო გუნდის ნომინაციაში ახალი ზელანდიის სარაგბო ნაკრებმა დაამარცხა „ბარსელონა" (ფეხბურთი), აშშ-ის ქალთა ნაკრები (ფეხბურთი), „გოლდენ სტეიტ უორიორზი" (კალათბურთი), „მერსედესი" (ფორმულა 1) და დიდი ბრიტანეთის საჩოგბურთო ნაკრები.

სხვა ნომინაციებში პრიზები ასე განაწილდა:

„წლის დაბრუნების" ჯილდო ერგო ახალი ზელანდიის ნაკრების წევრ **დენ კარტერს,** „წლის გარღვევის" ნომინაციაში გაიმარჯვა ამერიკელმა მეგოლფე **ჯორდან სპაიეტმა,** ხოლო სპეციალური პრიზი - „სპორტის სული" სიკვდილის შემდეგ მიაკუთვნეს ლეგენდარულ ჰოლანდიელ ფეხბურთელს **იოჰან კრუიფს.** ჯილდო **კარლეს პუიოლისგან** მისმა ვაჟმა **ხორდი კრუიფმა** ჩაიბარა.

გია თვალაგეიშვილი

წლის სპორტსმენი (კაცი)

2015 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, ჩოგბურთი)
2014 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, ჩოგბურთი)
2013 სებასტიან ფეტელი (გერმანია, ფორმულა 1)
2012 უსაინ ბოლტი (იამაიკა, მძლეოსნობა)
2011 ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, ჩოგბურთი)
2010 რაფაელ ნადალი (ესპანეთი, ჩოგბურთი)
2009 უსაინ ბოლტი (იამაიკა, მძლეოსნობა)
2008 უსაინ ბოლტი (იამაიკა, მძლეოსნობა)
2007 როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი)
2006 როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი)
2005 როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი)
2004 როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი)
2003 მიხაელ შუმახერი (გერმანია, ფორმულა 1)
2002* ლენს არმსტრონგი (აშშ, ველოსპორტი)
2001 მიხაელ შუმახერი (გერმანია, ფორმულა 1)
2000 ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი)
1999 ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი)

** - ლენს არმსტრონგს ჩამოერთვა ოსკარი დოპინგის გამოყენებისთვის*

წლის სპორტსმენი (ქალი)

2015 სერენა უილიამსი (აშშ, ჩოგბურთი)
2014 გენზებე დიბაბა (ეთიოპია, მძლეოსნობა)
2013 მისი ფრანკლინი (აშშ, ცურვა)
2012 ჯესიკა ენისი (გრიტანეთი, მძლეოსნობა)
2011 ვივიან ჩერუიოტი (კენია, მძლეოსნობა)
2010 ლინდსი ვონი (აშშ, თხილამურები)
2009 სერენა უილიამსი (აშშ, ჩოგბურთი)
2008 ელენა ისინბაევა (რუსეთი, მძლეოსნობა)
2007 ჟუსტინ ანენი (ბელგია, ჩოგბურთი)
2006 ელენა ისინბაევა (რუსეთი, მძლეოსნობა)
2005 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია, თხილამურები)
2004 კელი ჰოლმსი (გრიტანეთი, მძლეოსნობა)
2003 ანიკა სიორენსტამი (შვედეთი, გოლფი)
2002 სერენა უილიამსი (აშშ, ჩოგბურთი)
2001 ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, ჩოგბურთი)
2000 კეტი ფრიმენი (ავსტრალია, მძლეოსნობა)
1999* მერიონ ჯონსი (აშშ, მძლეოსნობა)

** - მერიონ ჯონსს ჩამოერთვა ჯილდო დოპინგის გამოყენებისთვის*

წლის გუნდი

2015 ახალი ზელანდია (რაგბი)
2014 გერმანია (ფეხბურთი)
2013 ბაიერნი (ფეხბურთი)
2012 ევროპა (გოლფი)
2011 ბარსელონა (ფეხბურთი)
2010 ესპანეთი (ფეხბურთი)
2009 ბრაუნ გრანპრი (ფორმულა 1)
2008 ჩინეთის ოლიმპიური ნაკრები
2007 სამხრეთ აფრიკა (რაგბი)
2006 იტალია (ფეხბურთი)
2005 რენო (ფორმულა 1)
2004 საბერძნეთი (ფეხბურთი)
2003 ინგლისი (რაგბი)
2002 ბრაზილია (ფეხბურთი)
2001 ავსტრალია (კრიკეტი)
2000 საფრანგეთი (ფეხბურთი)
1999 მანჩესტერ იუნაიტედი (ფეხბურთი)

MIKE TYSON: UNDISPUTED TRUTH

მაიკ ტაისონი დაუნდობელი სიმართლე



(გაგრძელება. დასაწყისი 2015 - N160-163, 165-168, 170-72, 175-78, 180-82, 185-88, 190, 192, 193, 195-198, 201-203, 205-08, 212-13, 215-18, 220-23, 225-26, 228, 230-33, 235-38, 240-41, 243, 245-48, 250-51, 253, 255-56; 2016 - N2-4, 6, 8-9, 11, 13, 16, 17, 19-21, 23-24, 27, 29, 31-32, 34, 37, 39, 46, 47, 49, 51-54, 56, 59, 61-63, 66, 69, 71, 72)

XIV თავი

ერთხელ, ცხრა წლის ასაკში, ჩემზე უფროს ბიჭთან ერთად ძარცვაში მივიღე მონაწილეობა. მან მიბრძანა ფანჯარაში გავმძვრალიყავი და კარი შიგნიდან გამეღო. მაშინ ბევრი რამ მოვიპარეთ: დიდი ტელევიზორი, შესანიშნავი სტერეოაპარატურა, რამდენიმე პისტოლეტი და ფული. იმ ბიჭს **ბუ** ერქვა. მიცნობდა, როგორც კარგ და გონიერ პარტნიორს. ის ჩემი დახმარებით იტყუებდა ოთახში ბიჭს, რომელსაც პატარა ბიჭებთან სექსი უნდოდა. და იქ მეგობრებთან ერთად სცემდა და ფულს ართმევდა მას.

იმ ქურდობის შემდეგ, ბუმ თავის სახლში წამიყვანა ვიღაც მოხუც შავ ქალბატონთან. საერთოდ, ეს ქალი უნამუსო და საზიზღარი ძუკნა იყო, მაგრამ, გაცნობისას, ძალიან კეთილი და ყურადღებიანი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. იქ უამრავი ბიჭი დამხვდა, რომლებსაც ჰეროინი ჰქონდათ მიღებული. ბევრი მათგანი იატაკზე უგონოდ იწვა. ბუმ ქალს ფული მისცა და სანაცვლოდ, რაღაც თეთრი ფხვნილით სავსე კონვერტი გამოართვა. ბუს თვალს ვერ ვაშორებდი, როცა ფხვნილი კოვზზე დაყარა და სანთებელით გააცხელა. როცა ამ ნაგავს ბუშტუკები გაუჩნდა, შპრიცი ამოიღო და სითხე შეიწოვა. შემდეგ ხელი გადაიხვია და ის იყო, ვენაში უნდა შეეყვანა, რომ უცებ ჩემკენ შემობრუნდა.

- შებრუნდი, პატარავ! - მითხრა მან.

ბუნებრივია, ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად მომინდა ჰეროინის გასინჯვა. და როცა ასაკით უფროსმა, უკვე ჩამოყალიბებულმა ნარკომანმა მიმითითა - უარი მეთქვა ნარკოტიკზე, პასუხად გავიფიქრე: „რატომ? მათთვის ხომ შეიძლება?"

ახალგაზრდობაში, ერთხელ მართლაც გავსინჯე ჰეროინი. მოვწიე და ამის შემდეგ თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი. გული ამერია. ამ ნარკოტიკისთვის ერთი თვალის შევლებაც კი საკმარისი იყო, რომ ჰეროინის მიმართ სურვილი გამქრობოდა. როცა ამ ნარკოტიკზე დამოკიდებულს ვუყურებდი, მასში ამ ნაგვით მოწამლულ სულს ვხედავდი. და იოლი წარმოსადგენი იყო - ბოლოში რაც გელოდა.

11 წლიდან დავიწყე კოკაინის შეძენა და ყნოსვა, ხოლო სპირტიანი სასმელი ბავშვობაში გავსინჯე. საერთოდ, ლოთების საპატივცემულო დინასტიიდან მოვდივარ. როგორც წესი, დედაჩემი „თანდერბერდს" ან „გორდონსის" ჯინს მაძლევდა, რომ დროზე დამეძინა. 10 წლის ვიყავი, როცა მეგობრებთან ერთად ვყიდულობდი ძლიერ ღვინოს „მედ დოგ 20/20"-ს, რომს „ბაკარდი 151"-ს, ალკოჰოლურ კოქტეილს „ბრას მანკის" - იაფფასიან სასმელებს, რომლებიც ნანლავებს ხვრეტდნენ. თან ვეწეოდით მარიხუანას, ჰაშიშს და ოპიუმსაც კი. ერთხელ, ახალგაზრდობაში ცოტა ლსდ-ც გავსინჯე. და ამ ნარკოტიკის კაიფში, საქურდავად წავედით, მაგრამ ბევრი არაფერი გამოგვივიდა. ქალს ჩანთა გამოვტაცეთ, ხარხარი დავიწყეთ და გავიქეცით, შემდეგ ყვირილით: „პოლიციელები! პოლიციელები! აი, ისინი!" ისევ ხარხარით მანქანის ქვეშ დავიმალეთ.

ერთი ორწლიანი პერიოდისა და ციხეში ყოფნის გარდა, სასმლისთვის თავი არ გამინებებია. და ეს არც ყოფილა გასაკვირი, რადგან ჩემი მისაბაძი პიროვნებები, რომელთა შესახებაც ბევრს ვკითხულობდი, გამოუსწორებელი ლოთები იყვნენ - **მიკი უოკერი**, **გარი გრები**. ჩემი გმირები თეთრი ირლანდიელი ლოთები იყვნენ - ბიჭები, რომლებიც ბარებში სეირნობდნენ, სვამდნენ და მხიარულობდნენ, იმ დროს, როცა მათი მეტოქეები დარბოდნენ და სახტუნაოთი მუშაობდნენ.

სასმელმა ჩემი ხასიათის ყველაზე უარყოფითი მომენტები გამოავლინა. როცა ვთვრებოდი, საერთოდ ფეხებზე მეკიდა სხვა ადამიანების გრძნობები. ზედიზედ ვჩხუბობდი ყველასთან, პოლიციელებთანაც კი. ყველა, ვინც მიცნობდა, ასე ამბობდა: *„ნუ აძლევთ მაიკს დალევის საშუალებას. შეგიძლიათ მარიხუანა მისცეთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სასმელი"*.

მოვწევდი თუ არა მარიხუანას - ბედნიერი ვიყავი. მზად ვიყავი მეტირა და ყველასთვის ფული დამერიგებინა. ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ არ მთხოვდნენ, რომ მარიხუანას კაიფი შემეწყვიტა. ამ დროს ვბრაზდებოდი, ამიტომაც ერჩივნათ - კაიფში ვყოფილიყავი. ამ დროს მესმოდა ჩემი მისამართით ასეთი კითხვები: *„დარწმუნებული ვარ, არ გჭირდება ის მდიდრული „პორშე"?"*

ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბევრი კოკაინის მოხმარება დავიწყე ის იყო, რომ ჩემი საკრივო კარიერის განმავლობაში ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ვგრძნობდი. ზოგიერთი ჰოკეისტი იმავეს მიყვებოდა. ის, ვინც ასეთი ტკივილს განიცდის, ვერ შეძლებს ვერავისთან ნორმალურად ურთიერთობას. ის დაჭრილი ლომივითაა. ხოლო, როცა ცხოველი დაჭრილია, მას შეიძლება სხვა ცხოველები დაესხან თავს. აი, სწორედ ასე ვგრძნობდი თავს ტკივილის დროს - დაუცველი და შეშინებული ვიყავი. და ასეთი გრძნობისგან რომ გათავისუფლდე, კოკაინი უნდა მიიღო. ოთახში მარტო ხარ, კოკაინთან ერთად, გინდა, რომ შენთან იყოს ქალი, რადგან თავს დამნაშავედ გრძნობ იმის გამო, რომ ნარკოტიკს იღებ. ხოლო, როცა ქალთან ერთად ხარ, დანაშაულის გრძნობა ქრება.

კოკაინის მიღების მხრივ, პრობლემა არ მქონია, მაშინაც კი, როცა ფული საერთოდ არ მქონდა. ვიცნობდი უამრავ მსხვილ ნარკომოვაჭრეს - ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ისინი ბავშვები იყვნენ და მათ მიმართ სიყვარულს გამოვხატავდი. ახლა ისინი მულტიმილიონერები გახდნენ, დიდ კლუბებს ფლობენ. და როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, ჩემ მიმართ პატივისცემას იჩენდნენ. მე კი ისე ვეპყრობოდი, თითქოს ისევ პატარა ბიჭები იყვნენ. უბრალოდ ვამბობდი: *„მინდა ერთ ადგილას წასვლა, მომეცით პატარა პაკეტები"*. ან შემეძლო შევხვედროდი სრულიად უცნობ ადამიანს, რომელიც ნარკოდილერს იცნობდა. და ისინი ერთმანეთში მოილაპარაკებდნენ: *„მიეცი მაიკს კოკაინი ჩემს ხარჯზე"*.

როცა კოკაინის მიღებას იწყებ, უცებ აღმოაჩენ, რომ ის, ვისაც მთელი ცხოვრება იცნობდი და მასზე ეჭვს ვერ აიღებდი, ასევე იღებს ამ ნარკოტიკს. ერთხელ, ერთ ძალიან ცნობილ ადამიანთან ერთად ვსვამდი და უცებ მითხრა:

- შემთხვევით, ცოტა ფხვნილი არ გაქვს?

- რა?

ვცადე სიფრთხილე გამომეჩინა. ჯანდაბა, საიდან გაიგო, რომ ნარკოტიკს ვიღებდი?

- რა თქმა უნდა, ცოტა მოიძებნება. მაგრამ საიდან გაიგეთ? - ვკითხე მე.

- მაიკ, ვინც ამით არის დაკავებული, იმასაც გაიგებს, ვინ ერთობა კოკაინით, - მიპასუხა მან. - ჩვენ გვყავს ასეთი ლოკატორი.

როცა კოკაინი გაქვს, შუაღამით გართობის დროს, შეიძლება უდაბნოში აღმოჩნდე და უცებ, შენ წინ გაჩნდეს მეძავი საცურაო კოსტიუმში. ჩემს ქალებს მოსწონდათ კოკაინი, როცა ნარკოტიკს მათ პატივსაცემად ვარქმევდით სახელებს. როცა ვინმეს კოკაინი მოუნდებოდა, კითხვას ასე სვამდა: „სად არის ეს თეთრი ძუკნა?", „მინდა ეს მეძავი". ასევე, კოკაინს ვუწოდებდით „ბლონდის" ან „თეთრ გოგონას".

პირველი სერიოზული შეხება კოკაინთან მაშინ მქონდა, როცა თან წამოვიღე ნახევარი კილოგრამი ფხვნილი. იმდენი იყო, რომ „გასაყიდ" კატეგორიაში გადიოდა, მაგრამ ფეხებზე მეკიდა, უბრალოდ, მინდოდა სხვებისთვის დამერიგებინა და ყველა ჩემი მეგობარი კაიფით ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ნებისმიერთან მივდიოდი და ვთავაზობდი: „არ გინდა დაყნოსვა?" თანხმობას მეუბნებოდნენ ისინიც, ვისზეც ამას ვერ ვიფიქრებდი. საინტერესო მომენტია - ყველა ეს ნაბიჭვარი ჩემს კოკაინს ყნოსავდა და შემდეგ, ჩემს საქონელზე კრიტიკული შენიშვნები ჰქონდა. ან გამოჩნდებოდა ბიჭი, რომელიც უცებ ექსპერტი ხდებოდა. ის რამდენიმე რიგს დაყნოსავდა, ცხვირს მოხდენილად მოიწმენდდა, ჭკვიან სახეს მიიღებდა და ამბობდა: *„შემიძლია უკეთესი შემოგთავაზო"*.

ხანდახან გხვდებოდნენ ბიჭები, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ - როდის გაგასინჯებდნენ საკუთარ კოკაინს.

- მაიკ, მზად ხარ გასინჯო ეს ნაგავი? ცხადია, მზად ხარ, - შემომთავაზა ერთ-ერთმა. - კეთილი იყოს შენი მოსვლა ქალაქში, სახელად „ნეტარება"!

მან რამდენიმე ბილიკი გამიკეთა და ისინი დავყნოსე.

- ნამდვილი „პერუული ბურბუშელაა"! („პერუული ბურბუშელა" - ნარკოსლენგზე ნიშნავს კოკაინის ძალიან სუფთა ფორმას) - თქვა მას ისეთი სიამაყით, თითქოს „ლაფიტ-როტშილდის" ღვინის ბოთლი გახსნა.

და ის მართალი იყო. ეს ნაგავი იმდენად კარგი იყო, რომ თვალები ორბიტაზე ამივიდა.

მაკბრაიდის ბრძოლის შემდეგ, სრულიად დათრგუნვილი ლოს ანჯელესში მეგობრებთან ერთად ვერთობოდი. სწორედ ამ დროს, ტელეფონმა დარეკა. ეს იყო **ჯეფ გრინი** - ჩემი ახალი მეგობარი. ერთი შეხედვით, ნაკლებად დასაჯერებელი იყო, რომ მეგობრები ვიყავით. ჯეფი ებრაელი ბიზნესმენი იყო, რომელმაც უძრავი ქონების ბაზარზე თამაშით მილიარდი დოლარი გამოიმუშავა, მე კი ვიყავი მოკრივე-მუსლიმანი, ვინც თითქმის მილიარდი დოლარი დახარჯა მეძავებზე, ავტომობილებზე და სასამართლო გარჩევებზე. ერთმანეთს შევხვდით ჩვენი საერთო მეგობრის წყალობით. და მან დაიწყო სიარული ჩემს ევროპულ ბრძოლებზე, მე კი მასთან ერთად მოგზაურობა დავიწყე მთელ მსოფლიოში - მისი იახტის მეშვეობით.

- ეი, მაიკ, შემომიერთდი სენტროპეში ჩემს იახტაზე. თვითმფრინავს გამოგიგზავნი, რომელიც საფრანგეთში ჩამოგიყვანს, იქ კი ჩემი ბიჭი დაგხვდება და იახტასთან მოგიყვანს.

ჯეფს ეშინოდა, კრივიდან წასვლის შემდეგ დეპრესიაში არ ჩავვარდნილიყავი და გადაწყვიტა, რომ წვეულებები და მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ქალებთან ურთიერთობა სწორედ ის იყო, რაც ყველაზე მეტად მჭირდებოდა.

იქამდე, სანამ გზას გავუდგებოდი, **ზიპს** დავურეკე იმის გასაგებად, ჩემთან ერთად ხომ არ წამოვიდოდა.

- არა, მეგობარო, არ შემიძლია, - მიპასუხა მან. - რომელიღაც ზანგმა მესროლა და მინდა გავარკვიო, რატომ.

- ზიპ, გავფრინდეთ! კერძო თვითმფრინავს გვაძლევენ, მთელ ხმელთაშუა ზღვას იახტით შემოვივლით

- ეს ყველაფერი სისულელეა, მეგობარო. მესროლეს. ვიღაცამ უნდა მიიღოს ტყვია. ტყვია ტყვიის პასუხად.

- ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ იქ, სადაც კაცობრიობის ისტორიაში საუკეთესო გოგონები იქნებიან, შენ კი იმაზე მელაპარაკები, რომ ვიღაცამ ტყვია უნდა მიიღოს! მათ არ აინტერესებთ - ნარკომანი ხარ თუ გაკოტრებული. იქ უმაღლეს დონეზე მოგემსახურებიან, - ვცადე დაყოლიება.

მაგრამ ზიპი ჯიუტად იმეორებდა, რომ შური უნდა ეძია.

(გაგრძელება იქნება)

გია თვალაგეიშვილი

დოპინგი

შარაპოვა არ იქნებოდა... მელდონიუმის გარეშე

აკრძალული პრეპარატის მელდონიუმის შემქმნელმა, ლატვიელმა პროფესორმა **ივარს კალვინშმა** ჟურნალისტებს უამბო დისკვალიფიცირებული რუსი ჩოგბურთელის, **მარია შარაპოვას,** პრობლემებზე.

„ვიცოდი, რომ მარია მელდონიუმს იყენებდა. შარაპოვა უბრალოდ ვერ იარსებებდა, ბოლო წლებში „მილდრონატი" რომ არ მიეღო. მას გარკვეული პრობლემები აქვს.

არა მხოლოდ უმაღლესი დონის სპორტსმენები, არამედ პოლიტიკოსებიც რუსეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჩოგბურთის თამაშისას ამ პრეპარატს იღებენ. მერე რა? მელდონიუმი არ ზრდის ადამიანის შესაძლებლობებს, არამედ აღადგენს მის მაჩვენებლებს ნორმალურ დონემდე. და სპორტსმენები, უბრალოდ, ვალდებულნი არიან ის მიიღონ, რათა შეუქცევადი მოვლენები აიცილონ თავიდან", - ამბობს მელდონიუმის შემქმნელი.

როგორც იცით, მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომერი 14 აპრილს, როლან გაროსის მონაწილეთა სიიდან ამოიღეს.

■ ■ ■

ამასობაში, **ნოვაკ ჯოკოვიჩი** გამოეხმაურა ბრიტანელი **ენდი მარეის** სიტყვებს იმის თაობაზე, რომ მას არაერთხელ შეუტანია ეჭვი თავის კოლეგებზე აკრძალული პრეპარატების გამოყენების მხრივ.

„მე ამ სიტყვებს არ ვიზიარებ. სანამ არ არსებობს მტკიცებულება იმაზე, რომ ჩვენი სპორტი სუფთა არ არის, ის სუფთად უნდა ჩავთვალოთ. წავიკითხე ენდის სიტყვები. მე მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი და მას კონკრეტულად არავინ უგულისხმია.

დღეს, ჩოგბურთში რთული პერიოდია. ბევრი ლაპარაკი მიდის ფსონებზე, ჩაწყობილ თამაშებზე, დოპინგ ზე... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაც ამას სპეციალურად აკეთებს. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, რაც შეეხება დოპინგის თემას - ეს ანტისადოპინგო სააგენტოების პრეროგატივაა. სანამ მათ მტკიცებულება არ ექნებათ, ეს ყველაფერი, უბრალოდ, ჭორებად მოინათლება. მე ამაყი ვარ, რომ წარმოვადგენ სუფთა სპორტს", - თქვა ჯოკოვიჩმა ბერლინში, „სპორტული ოსკარების" გადაცემის ცერემონიაზე.

დისკვალიფიკაციის პერიოდში შარაპოვა კარგად ერთობა

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი

აღმოსავლეთი

ფილადელფია-ვაშინგტონი 1:6

1:1, 0:1, 0:4

გოლები: 1:0 რაფლი-1 (მენინგი-1, სემ განიე-1), 1:1 მ. იოჰანსონი-1 (ჯ. კარლსონი-2, ბექსტრიომი-4), 1:2 ოვეჩკინი-2 (ბექსტრიომი-5, ოში-2), 1:3 კუზნეცოვი-1 (ჯასტინ უილიამსი-1, ჰოლტბი-1), 1:4 ჯ. კარლსონი-3 (ოვეჩკინი-1, ჯასტინ უილიამსი-2), 1:5 ოვეჩკინი-3 (ჯ. კარლსონი-3, ოში-3), 1:6 ბიგლი-2 (შმიდტი-1, ორლოვი-1).

სერია: 0-3

დასავლეთი

მინესოტა-დალასი 5:3

1:2, 2:0, 2:1

გოლები: 0:1 შარპი-1 (გოლიგოსკი-1), 0:2 შარპი-2 (იკინი-2, ჯეიმი ბენი-3), 1:2 პორტერი-1 (ჰაულა-1, ბროდინი-1), 2:2 ჰაულა-1 (პომინვილი-1, ნიდერაიტერი-1), 3:2 პომინვილი-1 (ნიდერაიტერი-2, დუმბა-2), 4:2 მ. კიოვუ-1 (სპარჯონი-1, კოილი-1), 4:3 სკევიური-1 (დემერსი-1, ფიდლერი-1), 5:3 პომინვილი-2.

სერია: 1-2

სან ხოსე-ლოს ანჯელესი 1:2 (ო)

1:1, 0:0, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ჯ. ტორნტონი-1 (ჰერტლი-1), 1:1 კოპიტარი-1 (ლუჩიჩი-3, მუზინი-2), 1:2 პირსონი-1 (დ. ბრაუნი-1, ლეკავალიე-1).

სერია: 2-1

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი	1:1

ჩემპიონშიფი

ბირმინგემი-პრესტონი	2:2
ბრენტფორდი-კარდიფი	2:1
ბრაიტონი-ქუინზ პარკი	4:0
ბრისტოლი-დერბი	2:3
ბარნლი-მიდლსბრო	1:1
იფსვიჩი-ფულჰემი	1:1
ლიდსი-ვულვზი	2:1
ნოტინგემი-ბლექბერნი	1:1
როტერჰემი-ჰადერსფილდი	1:1
უენსდი-მილტონი	0:0
ბოლტონი-ჩარლტონი	0:0
რედინგი-ჰალი	1:2

I ლიგა

ბარნსლი-პიტერბრო	1:0
ბარტონი-უიგანი	1:1
ჩესტერფილდი-დონკასტერი	1:1
ქოვენთრი-ბრედფორდი	1:0
ქრიუ-კოლჩესტერი	1:1
მილუოლი-ფლიტვუდი	1:0
როჩდეილი-ჯილინგემი	1:1
სკანთორფი-ბერი	2:1
შრიუსბერი-შეფილდი	1:2
საუთენდი-ოლდჰემი	0:1
უოლსოლი-სუინდონი	1:1

II ლიგა

ბარნეტი-ნოტსი	3:1
კემბრიჯი-მორეკამბი	7:0
კარლაილი-ლუტონი	1:2
დაგენჰემი-უიმბლდონი	0:2
ექსეტერი-მენსფილდი	2:3
ჰარტლპული-აკრინგტონი	1:2
ლეიტონი-პლიმუტი	1:3
ნიუპორტი-ოქსფორდი	1:1
ნორტჰემპტონი-ძროული	2:1
სტევენეიჯი-როვერსი	0:0
უიკომბი-იეოვილი	0:0
იორკი-პორტსმუტი	3:1

კონფერენსი

ჰალიფაქსი-ისტლი	0:0
უოკინგი-ბრიმსბი	1:3

იტალია

ნაპოლი-ბოლონია	6:0

სერია B

ასკოლი 1898-ბარი	0:1
აველინო-ტრაპანი	1:3
ბრეშა-ენტელია	2:0
კომო-კალიარი	1:1
ლივორნო-ლატინა	1:0
მოდენა-პერუჯა	3:0
სალერნიტანა-ვიჩენცა	0:0
სპეცია-პესკარა	0:1
ტერნანა-პრო ვერჩელი	2:2
ლანჩანო-ნოვარა	2:1

ესპანეთი

ესპანიოლი-სელტა	1:1
ბეტისი-ლას პალმასი	1:0

გერმანიის თასი

1/2 ფინალი

ბაიერნი-ვერდერი	2:0

საფრანგეთის თასი

1/2 ფინალი

ლორიანი-პსჟ	0:1

პოლანდია

გრონინგენი-როდა	1:0
პსვ ეინდჰოვენი-ვიტესი	2:0

ბელგია

ოსტენდე-ვარეგემი	3:3

შვედეთი

იურგორდენი-ჰამარბიუ	1:3

ავსტრიის თასი

1/2 ფინალი

ადმირა-სტ. პოლტენი	2:1

შვეიცარია

ციურიხი-გრასჰოპერსი	1:1

ჩრ. ირლანდია

კერიკი-პორტდაუნი	1:2
კლიფტონვილი-კრუზეიდერსი	1:3
დუნგანონი-გალინამალარდი	4:2
გლენავონი-კოლრეინი	3:0
გლენტორანი-ლინფილდი	1:3
უორენპოინტი-ბალიმენა	4:1

ჩეხეთი

II დივიზიონი

პარდუბიცე-ჭრადეცი	1:2

სლოვაკეთი

ტრენჩინი-რუჟომბეროკი	1:0
პოდგრეზოვა-სპარტაკი	2:0
სპალიცა-მორავცე	1:0
ზემპლინი-დ. სტრედა	1:1

პოლონეთი

კრაკოვია-ზაგლებე	1:0
ლეხი-პიასტი	2:2
ლეჩია-პოგონი	2:0
რუხი-ლეგია	0:0

ხორვატია

ზაგრები-სპლიტი	2:0
რიეკა-დინამო	0:0

უნგრეთი

ბეკეშჩაბა-ვაშაში	1:1

ჩემპიონთა ლიგა

აზია

ალ ჰილალი-ტრაქტორი	0:2
ალ ჯაზირა-ფახთაქორი	1:3
ნასაფი-ალ აინი	1:1
ელ ჯაიში-ალ აჰლი	1:4
გამბა ოსაკა-სუვონი	1:2
შანხაი-მელბურნი	3:1
პოჰანგი-გუანგჯოუ	0:2

კალათბურთი

ევროლიგა

პანათინაიკოსი-ლაგორალ კუტჩა	75:84
ბარსელონა-ლოკომოტივი	82:70
რეალი-ფენერბაჰჩე	63:75

საფრანგეთი

შალონი-პარიზი	95:60
გრაველენი-ნანსი	85:77
ჰავრი-ლიონი	79:66
ნანტი-ჟოლე	91:81
ორლეანი-შალონი	78:77
რუანი-ლიმოჟი	94:99
მონაკო-ანტიბი	68:61

ჩოგბურთი

ATP. ბარსელონა

კარენო ბუსტა-ისტომინი	7:5, 7:5
ფუშოვიჩი-გულბისი	5:7, 6:4, 6:1
რამი-**იუჟნი**	2:6, 2:6
კაჩინი-**დოდიგი**	7:5, 2:6, 4:6
დონსკოი-**დოლგოპოლოვი**	6:4, 6:7, 4:6
გრანოლერსი-მუნიოსი	6:4, 6:3
დე ბაკერი-იმერი	6:4, 6:7, 6:3
ბაუტისტა აგუტი-**ხაჩანოვი**	2:6, 7:6, 3:6
შარდი-ესტრელია	7:5, 6:2
პერი-გაბაშვილი	6:2, 7:5
რამოსი-მუნარი	6:3, 6:2

ATP. ბუქარესტი

ლაიოვიჩი-**პუიე**	3:6, 4:6
ლორენციი-შვარცმანი	6:3, 6:4
მანარინო-**ხიმენო ტრავერი**	6:3, 4:6, 4:6
ბაღდატისი-**ჩეკინატო**	2:6, 4:6
არნაბოლდი-**ჰაასე**	6:7, 4:6
მარჩენკო-სელა	6:4, 4:6, 6:4
სეტკიჩი-**ვერდასკო**	7:6, 1:6, 5:7
ალბოტი-მატიო	7:6, 2:6, 6:1

WTA. სტამბოლი

კნაპი-**ჰსიე**	7:6, 5:7, 1:6
პირონკოვა-სასნოვიჩი	6:2, 6:2
შმიედლოვა-**საკარი**	2:6, 3:6
ზანევსკა-**ლარსონი**	2:6, 6:2, 6:7
კრუნიჩი-**სევასტოვა**	0:6, 0:6
ბუიუქაქჩაი-მელნიკოვა	6:3, 6:3
ბონდარენკო-გოვორცოვა	5:7, 6:3, 6:4
გლუშკო-**კუკოვა**	3:6, 2:6
აქსუ-**იანი**	3:6, 4:6
კირსტეა-ცურენკო	6:3, 6:4

WTA. შტუტგარტი

კვიტოვა-ჩირიკო	6:0, 6:0
ჯორჯი-**ბეეკი**	4:6, 2:6
ზიგემუნდი-პავლიუჩენკოვა	6:0, 7:5
ვიტჰოფტი-**ივანოვიჩი**	6:7, 0:6
სუარეს ნავარო-დოდენი	6:3, 6:0

ცხელი ხაზი

SILK SPORT HD1

20 აპრილი. ოთხშაბათი

22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი (LIVE).

SILK SPORT HD2

20 აპრილი. ოთხშაბათი

23:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი (LIVE).
06:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. კლიპერსი-პორტლენდი (LIVE).

SILK SPORT HD3

20 აპრილი. ოთხშაბათი

15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-კრ. პალასი (LIVE).

SILK-უნივერსალი

21 აპრილი. ხუთშაბათი

22:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ბრომვიჩი (LIVE).

SETANTA SPORT

20 აპრილი. ოთხშაბათი

21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი (LIVE).
03:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფილადელფია-ვაშინგტონი (LIVE).
06:30 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი (LIVE).

SETANTA SPORT+

20 აპრილი. ოთხშაბათი

20:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სასუოლო-სამდორია (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო (LIVE).

ამინდი

20 აპრილი

თბილისი	9	27	**მზე**
ქუთაისი	15	32	**უნალექოდ**
ბათუმი	15	27	**მზე**
ბორჯომი	5	26	**მზე**
ზუგდიდი	13	32	**მზე**
ბაკურიანი	3	19	**მზე**
გორი	6	28	**მზე**
თელავი	7	26	**მზე**
მესტია	6	20	**მზე**
სიღნაღი	8	25	**მზე**
ფოთი	13	31	**მზე**

ვალუტის კურსი

20 აპრილი

აშშ დოლარი	**2.2447 ლარი**
ევრო	**2.5367 ლარი**
გირვანქა სტერლინგი	**3.1852 ლარი**
100 რუსული რუბლი	**3.3188 ლარი**

ამბები

ფორმულა 1

მილიონერზე ორდერი გაიცა

ინდოეთის სასამართლომ დაპატიმრების ორდერი გასცა ფორმულა 1-ის საჯინიბოს - „ფორს ინდიას" მფლობელსა და ხელმძღვანელ **ვიჯეი მალიაზე**. ინდოეთის მთავრობის მიმართ მალიას დავალიანებამ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ამ მომენტისთვის, „ფორს ინდიას" შეფი დიდ ბრიტანეთში იმყოფება. თუ მალია სასამართლოზე არ გამოცხადდება, ინდოეთის მთავრობა ბრიტანეთს ექსტრადიციაზე მოთხოვნას გაუგზავნის.

ჩოგბურთი

ისნერმა რიოს აჯლანჯა ამჯობინა

ამერიკის მამაკაცთა ჩოგბურთის ლიდერმა **ჯონ ისნერმა** გადაწყვიტა გამოტოვოს რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც 6-14 აგვისტოს გაიმართება. ერთი კვირით ადრე, 30 წლის ისნერს ტიტულის დაცვა უწევს ატლანტას ტურნირზე, სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში იმარჯვებდა. მსოფლიოს მე-16 ჩოგანის თქმით, *„პრაქტიკულად შეუძლებელია ატლანტაში და რიოში გამოსვლა".*

ოთხი წლის წინათ, ლონდონის ოლიმპიადაზე ისნერმა მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც **როჯერ ფედერერთან** წააგო.

აზარენკას უხამსობა 2.5 ათასად შეფასდა

ბელარუსი ჩოგბურთელი **ვიქტორია აზარენკა** 2.5 ათასი დოლარით დასაჯეს უხამსი ჟესტისთვის, რომელიც მან მოსკოვში, რუსეთის წინააღმდეგ ფედერაციის თასის მატჩის დროს რუს გულშემატკივრებს უჩვენა. ჩოგბურთელის მოქმედება შეფასდა, როგორც არასპორტული საქციელი, - წერს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

ინციდენტი აზარენკასა და **დარია კასატკინას** მატჩზე მოხდა. მეორე სეტში ერთ-ერთი გათამაშების შემდეგ, ბელარუსმა უხამსი ჟესტით უპასუხა ტრიბუნებიდან ატეხილ ხმაურსა და შეძახილებს. სხვათა შორის, გულშემატკივრების ამგვარი საქციელის გამო, აზარენკამ მატჩის მსვლელობისას მსაჯს რამდენჯერმე მიმართა.

ფედერაციის თასის მსოფლიოს ჯგუფში დასარჩენი მატჩი ბელარუსმა 3:2 მოუგო რუსეთს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ვიქტორია აზარენკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

ტორონტომ შანსი დაიტოვა, ჰიუსტონი უშანსოდ ჩანს

სერიის პირველი მატჩის წაგების შემდეგ, „ტორონტომ“ მოახერხა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია, მაგრამ ეს გაცილებით რთულ ბრძოლაში შეძლო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია - კანადური გუნდის ვარსკვლავურმა დუეტმა, **დემარ დეროზანისა** და **კაილ ლოურის** შემადგენლობით, ზედიზედ მეორე შეხვედრა ჩააგდო. „ტორონტოს“ მცველებმა 31-დან მხოლოდ ცხრა ტყორცნა გამოიყენეს, დეროზანს 30 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ უსვრია საჯარიმო, მეოთხე მეოთხედში კი საერთოდ არ გამოჩენილა მოედანზე.

„ინდიანამ“ ვერ შეძლო მეტოქის საჩუქრის გამოყენება, რისი მიზეზიც სამწამიან ზონაში ლიტველი **იონას ვალანჩუნასის** ბატონობა იყო. მარტო პირველ მეოთხედში, „პეისერსმა“ 18 ქულა (!) მიიღო სამწამიანიდან და მეტოქის 17:1 გაქცევა გამოეპარა. ამას დაემატა გუნდის ლიდერ **პოლ ჯორჯის** ნაადრევი ორი პერსონალური და მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა.

ჯორჯი მეორე მეოთხედის შუაში დაბრუნდა მოედანზე და თითქოს მისი გუნდიც გამოფხიზლდა, თუმცა იმ მომენტში ანგარიშში სხვაობა - „18“ იყო და თამაშის გადარჩენის ყველანაირი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა.

ტორონტო-ინდიანა 98:87

27:16, 26:32, 21:18, 24:21

ტ: ვალანჩუნასი (23+15 მოხსნა+2 დაფარება), ლოური (18+9 პასი+7 მოხსნა), ჯოზეფი (16+3 პასი), პატერსონი (14+6 მოხსნა), დეროზანი (10), ბიიომბო (6), როსი (6), პაუელი (3), კეროლი (2).

ი: ჯორჯი (28), ელისი (15+5 მოხსნა+3 პასი), ტერნერი (8+2 დაფარება), სტაკი (7), მაილსი (6), მაინმი (5+5 მოხსნა), ლოუსონი (4+3 პასი), ჰილი (4), იანგი (4), ჰილი (2+6 მოხსნა), ალენი (2), რობინსონი (2).

რეალიზაციის პროცენტი: თამაშიდან (43.8/41.4), სამქულიანები (27.8/20), საჯარიმოები (92/83.3).

სერია: 1-1

■ ■ ■

სტივენ კარის ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავად ეგონა. წინასამატჩო ვარჯიშზე ჩემპიონების ლიდერმა კოჭის არეში ტკივილი იგრძნო და ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ, უარი თქვა მოედანზე გასვლაზე.

თუმცა კარის არყოფნა თითქმის არ დასტყობია ფავორიტს. მართალია, „გოლდენ სტეიტმა“ გაცილებით ნაკლები შორეული ტყორცნა შეასრულა, სამაგიეროდ, პოზიციური შეტევებისას ისეთი სისწრაფით ათამაშებდა ბურთს, რომ თავბრუს ახვევდა ჰიუსტონელებს.

მოკლედ, „გოლდენ სტეიტის“ რიგებში იმ საღამოს ყველა კარგი იყო: კარის შემცვლელი **შონ ლივინგსტონი** აშკარად ჯაბნიდა **პატრიკ ბევერლის** (გამთამაშებელმა ცხრიდან შვიდი ტყორცნა გამოიყენა და თამაში „+19“ სარგებლიანობის კოეფიციენტით დაასრულა; **კლეი ტომპსონმა** სნაიპერობა იკისრა და 34 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო ორივე გუნდში; **ანდრე იგუოდალამ** უფრო მეტი სათამაშო დრო მიიღო და ყველას შეახსენა, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება (რვიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო); როგორც ყოველთვის, სასარგებლო იყო **დრეიმონდ გრინი**, რომელსაც 39 წუთში არც ერთი შეცდომა არ ჰქონია და სულ ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

გ. სტეიტი-ჰიუსტონი 115:106

33:30, 33:28, 20:21, 29:27

გ-ს: ტომპსონი (34+5 პასი), იგუოდალა (18+3 პასი), ლივინგსტონი (16+6 პასი), გრინი (12+14 მოხსნა+8 პასი), ბოგუტი (10+7 მოხსნა+3 დაფარება), სპეიტსი (9), ბარნსი (6+5 მოხსნა), ბარბოზა (6), ეზელი (4).

ჰ: ჰარდენი (28+11 პასი), ბევერლი (13+7 მოხსნა+2 დაფარება), ტერი (13), ჰოვარდი (12+10 მოხსნა+4 პასი+2 დაფარება), ბიზლი (10+5 მოხსნა), სმიტი (9), არიზა (7+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), მოტეიუნასი (7), მაკდანიელსი (3), ბრიუერი (2), კაპელა (2).

რეალიზაციის პროცენტი: თამაშიდან (49.4/44.3), სამქულიანები (34.8/40), საჯარიმოები (71.1/78.8).

სერია: 2-0

კარის ჯერ არ ათამაშებენ

„ჰიუსტონიან“ სერიის მეორე მატჩის მოგების შემდეგ, „გოლდენ სტეიტის“ მთავარმა მწვრთნელმა **სტივ კერმა** განაცხადა, რომ იქამდე არ აპირებს მოედანზე **სტივენ კარის** გამოშვებას, სანამ გამთამაშებელი ბოლომდე არ მოირჩენს კოჭის ტრავმას, რომელიც პლეი ოფის პირველ შეხვედრაში მიიღო.

„უნდა დავრწმუნდეთ, რომ სტივენი სრულ წესრიგშია და არანაირ ტკივილს არ გრძნობს. არ ვაპირებთ საფრთხის წინაშე დავაყენოთ მისი ჯანმრთელობა. საბედნიეროდ, ხუთშაბათამდე თამაში არ გვიწევს, ასე რომ, მას აქვს გამოჯანმრთელებისთვის დრო“, - მოჰყავს მწვრთნელის სიტყვები ESPN-ს.

კლეი ტომპსონი ყველაზე შედეგიანი იყო

ამბები

საუკეთესო მეექვსე კროუფორდია

გამოცემა USA Today-ის ინფორმაციით, „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ მცველმა **ჯამალ კროუფორდმა** გაიმარჯვა 2015-16 ნლების სეზონის „საუკეთესო მეექვსე მოთამაშის“ გამოკითხვაში. ოფიციალურად, ამის შესახებ მოგვიანებით გამოცხადდება.

კროუფორდმა რეგულარულ სეზონში 79 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 14.2 ქულა, 1.8 მოხსნა და 2.3 შედეგიანი პასი დააგროვა.

36 ნლის კროუფორდი გახდება პირველი მოთამაშე ლიგის ისტორიაში, ვინც ამ ჯილდოს კარიერაში მესამედ მოიპოვებს. მცველი 2010 და 2014 ნლებში იყო დასახელებული „ნლის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ“.

ფიბას ბრძოლა გრძელდება

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია აგრძელებს ბრძოლას ევროლიგასთან. კერძოდ, FIBA არ აღიარებს ევროლიგის ახალ, 10-ნლიან ხელშეკრულებას ევროპის 11 კლუბთან. როგორც La Gazzetta dello Sport წერს, საერთაშორისო ფედერაცია ლეგიტიმურად მიიჩნევს კლუბებსა და ევროლიგას შორის ხელშეკრულებას, რომელიც ორი ნლის წინ გაფორმდა და 2017 ნლის ბოლომდეა ძალაში.

დღეისთვის, FIBA არ ერევა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის საქმეებში, მაგრამ სერიოზულად ცდილობს კონტროლზე აიყვანოს რანგით მეორე ტურნირის - ევროთასის კლუბები. როგორც იცით, საერთაშორისო ფედერაცია დისკვალიფიკაციით ემუქრება იმ ქვეყნებს, რომელთა კლუბები ევროთასზე თამაშს აპირებენ.

როგორც იტალიური გამოცემა წერს, 2017 წელს, FIBA უკვე ევროლიგის კლუბებსაც შეუტევს და შეეცდება მათ გადაბირებას აღდგენილ ჩემპიონთა თასში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ISSN 2233-3827
9 772233 382000
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს „გამომცემლობა ლელო“
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი გია თვალაბეიშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 ნლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ***ელფოსტა: leloltd@gmail.com;*** მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (**რედაქცია**). ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70; გაზეთის გამოწერა: 238 26 73.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ანგ. GE19CR0120007000043608**